



კონსტიტუციის
ნაწესრიგობა

ეროვნული
უმცირესობების
ინტეგრაცია
საქართველოში

**ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია
საქართველოში**

პოლიტიკის ნარკვევების კრებული

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD) და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის მოსაზრებებს (OSCE-HCNM).

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ქართული ტექსტის რედაქტორი: **ელზა ნაბახტვეელი**

დიზაინი: **ვიოლა ტულუში**

ფოტო: **გვანცა დიასამიძე**

ISBN 978-9941-0-9920-5

© ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის, 2017

© ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისი, 2017

ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში

1. საარჩევნო სისტემები და ეროვნული უმცირესობები

ქრისტინე მარგველაშვილი, ანა ნიკლაური (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი)

2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ლევან კახიშვილი

3. ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში

დიანა ბოგიშვილი, ირინა ოსეფაშვილი (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი)

4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებისთვის საქართველოში

დიანა ბოგიშვილი, ანა ნიკლაური (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი)

სარჩევი

წინასიტყვაობა

7

ლევან ცუცქერიძე

საარჩევნო სისტემაები და ეროვნული უმცირესობები

ქრისტინე მარგველაშვილი, ანა წიკლაური

შეჯამება	9
მეთოდოლოგია	10
შესავალი	11
ძირითადი გამონწვევები ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით	19
საარჩევნო სისტემების მიმოხილვა, საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილებები	22
კვლევის შედეგები	30
რეკომენდაციები	43
გამოყენებული ლიტერატურა	46

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ლევან კახიშვილი

შეჯამება	49
შესავალი	50
პოლიტიკაში მონაწილეობის არაპირდაპირი ფორმები	53
პოლიტიკაში მონაწილეობის პირდაპირი ფორმები	58
ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე	60
დასკვნა და რეკომენდაციები	79
გამოყენებული ლიტერატურა	85

**ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური
მდგომარეობა საქართველოში**

დიანა ბოგიშვილი, ირინა ოსეფაშვილი

შესავალი	87
მეთოდოლოგია	89
არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა	91
კვლევის შედეგები	93
დასკვნა და რეკომენდაციები	119
გამოყენებული ლიტერატურა	124

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული
უმცირესობებისთვის საქართველოში**

დიანა ბოგიშვილი, ანა ნიკლაური

შესავალი	133
მეთოდოლოგია	137
არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა	138
კვლევის შედეგები	142
დასკვნა და რეკომენდაციები	168
გამოყენებული ლიტერატურა	171

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD) საქართველოს ისეთი გარემოს შექმნაში ეხმარება, სადაც მრავალფეროვნება და პლურალიზმი იქნება ძლიერება და არა პოლარიზაციისა და დაპირისპირების დამღუპველი უფსკრული. საქართველო მის ყველა მოქალაქეს ეკუთვნის – მათი განსხვავებების მიუხედავად, ამიტომაც, ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ მოქალაქეების მონაწილეობა, რომლებიც სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ჩვენი მომავლის გადანყვეტისას.

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, 2014-2016 წლებში NIMD, ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის (OSCE-HCNM) ფინანსური მხარდაჭერით, მუშაობდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებთან, რათა მათ უკეთ წარმოედგინათ ეროვნული უმცირესობები და მათი ინტერესები პოლიტიკაში და შემდგომ ეს ინტერესები თუ საჭიროებები სათანადოდ აესახათ საკუთარ პროგრამებსა თუ ხედვებში. ამ მიზნის მისაღწევად მასშტაბური საქმიანობა გავნიეთ: გავმართეთ პოლიტიკური ლიდერების ათი შეხვედრა თბილისში – პარტიულ ლიდერებს მივეცით შესაძლებლობა, ერთად ესაუბრათ ისეთ პრობლემებზე, რომლებსაც ხშირად თანხმობით სჭირდება მოგვარება; აგრეთვე – რვა შეხვედრა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, რათა ერთმანეთთან უკეთ დაგვეკავშირებინა პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება. ხალხისა და პოლიტიკური პარტიების კავშირი ის საფუძველმორყეული ხიდია, რომლის ხელახლა გამაგრება ჩვენს უპირველეს მისიად მიგვაჩნია. ამ მიზნითვე, დავაფინანსეთ ერთთვიანი სტაჟირებები პოლიტიკური პარტიების სათავეო ოფისებში საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების

ახალგაზრდა მოქალაქეებისთვის. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად მოვამზადეთ ოთხი ტელეგადაცემა ფართო საზოგადოებისთვის პოლიტიკური პარტიების პოზიციებისა და მოსაზრებების გასაცნობად.

ამგვარი საქმიანობით ხელი შევუწყვეთ პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის პრობლემის წინ წამოწევას და ამ პრობლემის გადაჭრის შესახებ ინფორმირებულ დისკუსიას. წინამდებარე საკითხავიც სწორედ ამ მიზნით მომზადდა: საზოგადოებას გააცნოს ექსპერტული ანალიზი იმის თაობაზე, თუ რა პრობლემები აწუხებთ ჩვენს მოქალაქეებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში და როგორ შეიძლება მათი გადაწყვეტა.

ამ თვალსაზრისით წინ ჯერ კიდევ ბევრი საქმეა. ჩვენ, ყველას ერთად, კვლავ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება საიმისოდ, რომ შევქმნათ სახელმწიფო, რომელშიც, მარტინ ლუთერ კინგის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, მთავარი იქნება არა ადამიანის ეროვნული კუთვნილება, არამედ მისი პიროვნული თვისებები. სწორედ ასეთ სახელმწიფოსა და საერთაშორისო გარემოს ვესწრაფვით ჩვენ.

ლევან ცუცქერიძე

NIMD-ის აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლოს ოფისის დირექტორი

საარჩევნო სისტემა და ეროვნული უმცირესობები

ქრისტინე მარგველაშვილი, ანა წიკლაური

შეჯამება

ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, მაგრამ მათი მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე დაბალია. სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობითა და უმცირესობათა დაცვის ევროპული კონვენციის გათვალისწინებით, ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის თანაბარი გარემოა შექმნილი, თუმცა პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიღების პროცესში უმცირესობათა ჩართულობის ხარისხი კვლავ დიდ პრობლემად რჩება.

არსებული შერეული საარჩევნო სისტემა ეროვნულ უმცირესობებს ვერ სთავაზობს მათი პოლიტიკური ჩართულობის სრულ რეალიზაციას. ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში მათი წარმომადგენლობითობა მეტად დაბალია, რაც თავისთავად განაპირობებს ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს (და ასევე განპირობებულიცაა ეს მაჩვენებელი).

საარჩევნო სისტემა ერთ-ერთი ინსტრუმენტია ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, საჭიროა ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ლანდშაფტის გათვალისწინება და ოპტიმალური საარჩევნო სისტემისა და დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რათა ქვეყნის ყველა მოქალაქე, და მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი, სრულყოფილად იყოს ჩართული სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყოველივე ეს მოითხოვს პარტიული პოლიტიკის დივერსიფიცირებას, ასევე პროპორციულ სისტემაზე

თანამიმდევრულ გადასვლას, ხოლო გარდამავალი პერიოდისთვის – დამატებითი მექანიზმების შემოღებას. პოლიტიკის ამ დოკუმენტში განხილულია სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობების პრობლემატიკა, რაც ფოკუსჯგუფებში გამოიკვეთა. სახელმწიფო ენის არცოდნა, სოციალურ-ეკონომიკური ფონი, სამოქალაქო განათლების ნაკლებობა და პოლიტიკური ჩართულობის არარსებობა, ასევე უნდობლობა საარჩევნო და პოლიტიკური სისტემებისადმი, ზოგადად, მათი წარმომადგენლობითობის დაბალ დონეს განაპირობებს. პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისა და მთავრობისთვის: როგორ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემის მეშვეობით ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის ზრდა; რომ აუცილებელია შეიქმნას პოლიტიკურ პარტიათა რეგიონული წარმომადგენლობები; სახელმწიფომ დამატებითი მექანიზმების საშუალებით უნდა მოახერხოს პარტიების ნახალისება და ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა.

1. მეთოდოლოგია

საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის შესწავლისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: მეორეული წყაროების ანალიზი (desk research), სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები. თავდაპირველად გაანალიზდა მეორეული წყაროები და მომზადდა სადისკუსიო გეგმა ფოკუსჯგუფებისთვის. საკვლევ პოპულაციას საქართველოში მცხოვრები ორი ყველაზე დიდი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები – აზერბაიჯანელები და სომხები შეადგენდნენ. ამის გათვალისწინებით ფოკუსჯგუფების ჩატარება დაიგეგმა ეროვნული უმცირესობებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებულ ორ რეგიონში: ქვემო ქართლიდან – ქალაქ მარნეულში და სამცხე-ჯავახეთიდან – ქალაქ ახალქალაქში. სულ 4 ფოკუსჯგუფი ჩატარდა – 2 ახალქალაქში და 2 მარნეულში. თითოეული ფოკუსჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე 8 მონაწილისგან. სამიზნე აუდიტორია ორ ასაკობრივ კატეგორიად დაყავით – 18-იდან 40 წლამდე და 41-იდან 65 წლამდე. იმისთვის, რომ ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ჰომოგენურობა თავიდან აგვერიდებინა, ასაკობრივი კატეგო-

რიების მიხედვით დაყოფის გარდა, ისინი შევარჩიეთ განათლებისა (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და დასაქმების სტატუსის მიხედვითაც. ფოკუსჯგუფების დისკუსია დაახლოებით 1,5 საათს გრძელდებოდა და გაკეთდა მისი აუდიოჩანაწერი. შემდეგ მოხდა ამ ჩანაწერის ტრანსკრიფცია და მასალის დამუშავება.

ანალიზის შემდეგ კვლევის მომდევნო ეტაპზე გადავედით და ჩავატარეთ 14 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების ლიდერებსა და წარმომადგენლებთან („ქართული ოცნება“, „თავისუფალი დემოკრატები“, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ახალი მემარჯვენეები“), აგრეთვე ექსპერტებთან, რომლებიც ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობენ. გარდა ამისა, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებთანაც. თითოეული სიღრმისეული ინტერვიუ დაახლოებით 1 საათამდე გრძელდებოდა. ყველა მათგანისთვის მომზადდა აუდიოჩანაწერი.

2. შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი ჩართულობა. დემოკრატიზაცია ეფუძნება ადამიანის უფლებების, თვითგამოხატვისა და ჩართულობის პრინციპებს. ქვეყანაში ყველა მოქალაქისთვის მისაღები გარემოს შესაქმნელად სახელმწიფომ და არასახელმწიფო აქტორებმა უნდა უზრუნველყონ თანაბარი გარემოს შექმნა.

პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ სისტემებში, ისეთში, როგორც საქართველოშია, ორმაგად მნიშვნელოვანია დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, რადგანაც ისტორიული გამოცდილება დაღს ასვამს მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურას. საბჭოთა კავშირის დაშლასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებას საქართველოში ეთნონაციონალიზმის გაღვივება მოჰყვა, რამაც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია მოიტანა. დღესდღეობით, პოლიტიკურ-

კულტურული ლანდშაფტი რადიკალურად განსხვავებულია და უკეთესობისკენაა შეცვლილი, თუმცა ეროვნულ უმცირესობასთან მიმართებით კვლავ რჩება ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ, მათ აზერბაიჯანელი მოსახლეობა მოჰყვება – 6,3 პროცენტი, ხოლო სომხური ეროვნული უმცირესობა მოსახლეობის 4,5 პროცენტს შეადგენს.¹ 2002 წლის აღწერასთან შედარებით, მოსახლეობის კონფიგურაციამ ცვლილებები განიცადა, ასევე აღინიშნა ეროვნული უმცირესობის წილის შემცირებაც: აზერბაიჯანელი მოსახლეობისა 6,5-იდან 6,3 პროცენტამდე, სომეხი მოსახლეობისა უფრო მეტად – 5,7-იდან 4,5 პროცენტამდე.

საარჩევნო სისტემების სპეციფიკა და ტიპი განსაზღვრავს ქვეყნის წარმომადგენლობითი სტრუქტურების შემადგენლობას და შესაბამისად – დემოკრატიის ხარისხსაც. დემოკრატიზაციის პროცესისთვის ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობის ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი ინტეგრაციის დაბალ დონესაც გულისხმობს, რაც პოტენციურად შეიძლება ეთნოსებს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდეს. აქედან გამომდინარე, ოპტიმალური საარჩევნო სისტემის ფორმირება ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

კულტურულ-პოლიტიკური მსგავსების გამო აუცილებელია განვიხილოთ საარჩევნო სისტემების მონეობის ევროპული, განსაკუთრებით აღმოსავლეთევროპული პრაქტიკა, აგრეთვე არსებული ბერკეტები, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაზრდას უზრუნველყოფს. ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში (დაახლოებით 70 პროცენტი) პროპორციული საარჩევნო სისტემა მოქმედებს, პოპულარობით მას შერეული საარჩევნო სისტემა მოსდევს, ხოლო მაჟო-

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ეროვნული შემადგენლობა, გვ. 9.

რიტარული საარჩევნო სისტემა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს.²

სახელმწიფოს განვითარების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის მკაფიო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ხორვატია, სადაც დამკვიდრებულია პროპორციული საარჩევნო სისტემა – ქვეყანა 10 საარჩევნო ოლქად იყოფა, თითოეული ოლქიდან წარმომადგენლობით ორგანოში ირჩევა 14 ადამიანი და მათგან 5 ადგილი ეროვნული უმცირესობისთვის არის გამოყოფილი. გარდა ამისა, საზღვარგარეთ მცხოვრები ხორვატიელებისთვის დამატებით ერთი საარჩევნო ოლქია შექმნილი. მსგავსი პრივილეგიებით სარგებლობენ ეროვნული უმცირესობები რუმინეთსა და სლოვენიაშიც.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასევე აქტიურად გამოიყენება ე. წ. reserved seats პრაქტიკა ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით. მაგალითად: კოლუმბიაში (შავკანიანი მოსახლეობისთვის), ახალ ზელანდიაში (მაორის ტომისთვის), პაკისტანში (არამუსლიმანი მოსახლეობისთვის) და ტაივანში (აბორიგენი მოსახლეობისთვის).³

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საარჩევნო სისტემაში არანაირი დამატებითი მექანიზმი არ არის ჩადებული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობითობის გასაზრდელად. ცენტრალური საარჩევნო კომისია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახალხო დამცველი და არაერთი სამთავრობო სტრუქტურა არასამთავრობო სექტორთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული უმცირესობებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შედეგად ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც უმცირესობის სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ადამიანის უფლებები,

² International Institute for Democracy and Electoral Assistance. Electoral System Design Data. European States, 2016: <http://www.idea.int/esd/field.cfm?field=156®ion=50>

³ International Institute for Democracy and Electoral Assistance. Electoral System Design: New International IDEA Handbook, 2005.

მათ შორის იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ, ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობაა.⁴ კარგი მმართველობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა და, შესაბამისად, გასათვალისწინებელია.

შემდეგ ქვეთავებში განხილულია სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელთაც სახელმწიფო ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით ახორციელებს. ასევე, ვეხებით ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის მხრივ არსებულ ძირითად გამოწვევებს და განვიხილავთ სხვადასხვა საარჩევნო სისტემის მოდელს. საბოლოოდ, ჩატარებული ფოკუსგუფებისა და ინტერვიუების გაანალიზების შედეგად ვაყალიბებთ რეკომენდაციებს პარტიებისა და სხვა აქტორებისთვის, რათა ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა საარჩევნო სისტემაში არსებული თუ რეფორმის შედეგად დანერგილი ბერკეტების მეშვეობით გაიზარდოს.

2.1. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობამ ეროვნული უმცირესობების საკითხების მიმართულებით შეიმუშავა ხუთწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.⁵ სტრატეგიის მიზანია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, დემოკრატიულად განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი შუალედური მიზანია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის ნახალისება, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

⁴ ასოცირების ხელშეკრულება 2013. საგარეო საქმეთა სამინისტრო. მუხლი 3, 349.

⁵ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. თბილისი, 2015: <http://new.smr.gov.ge/Uploads/--a5f10e90.pdf>

- ეროვნულ უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფას;
- საარჩევნო პარტიულ სიებსა და პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობის ნახალისებას;
- საჯარო სამსახურში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის გაზრდას.

სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რომელი უწყებები იმუშავებენ აღნიშნული შუალედური მიზნის შესასრულებლად. პოლიტიკური ჩართულობის პროცესში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობისას, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლი. საარჩევნო უფლებასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკურ პარტიებში ეროვნული უმცირესობების წევრთა გაზრდის საკითხსაც. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ დაგეგმილია მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება პოლიტიკური პარტიების მიმართ, რამაც უნდა დააინტერესოს ისინი და უზრუნველყოს პარტიულ სიებში ეროვნულ უმცირესობათა ჩართვის ზრდა.

სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების მიზნით კი, სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობა შექმნის სპეციალურ უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეისწავლის ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშემწყობ და საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ სამართლებრივ მექანიზმებს, განიხილავს საქართველოში ამ მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებს შესაბამის ინიციატივას.

მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული სიდრმისეული ინტერვიუს დროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამინისტრო უკვე გეგმავს სამუშაო ჯგუფის შექმნას გადამწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის წასახალისებლად. ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, მოამზადებს რეკომენდაციებსა და დასკვნებს; მოახდენს კონკრეტული წინადადებების ინიცირე-

ბას, აგრეთვე ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებისა თუ პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებებს უკავშირდება. საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები ჩამოყალიბდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, თემების წარმომადგენლებისა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობით.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ექსპერტების უმეტესობა ამ სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტს დადებითად აფასებს; თუმცა ამბობენ იმასაც, რომ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის თვალსაზრისით კიდევ არსებობს არაერთი საკითხი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული გეგმაში. მაგალითად, სასურველია უფრო მეტი აქცენტი მედიასა და კომუნიკაციის საშუალებებზე. გარდა ამისა, ექსპერტები ფიქრობენ, რომ მთავრობის სამოქმედო გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი კულტურის სფერო, როგორც ინტეგრაციის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი გზა. *„ინტეგრაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით კულტურა, როგორც ასეთი, პრაქტიკულად არ გამოიყენება. ამ ნაწილში კულტურა ძალიან მიზერულად არის წარმოდგენილი, მხოლოდ ეთნოსის თვითგამოხატვის საშუალებაა და სხვა არაფერი. და ეს მაშინ, როდესაც კულტურას აკისრია ძალიან დიდი როლი, გააჩნია დიდი შესაძლებლობა“* (ექსპერტული ინტერვიუ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელთან, თბილისი).

ექსპერტები მიუთითებენ საფრთხეზე, რომ სამოქმედო გეგმა არ შესრულდება ეფექტიანად ან/და სრულად. გარდა ამისა, ექსპერტების ნაწილის მოსაზრებით, თუკი გვსურს სამოქმედო გეგმამ ეფექტიანად იმუშაოს, წინასწარ უნდა შემუშავდეს გარკვეული შეფასების ინდიკატორები, რომელთა მეშვეობითაც განვსაზღვრავთ, როგორი ვითარება იყო მანამდე და რა შეიცვლება ამ სამოქმედო გეგმის შესრულების შემდეგ, 2020 წელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქმედო გეგმაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის პროცესის წასახალისებლად. კვლევის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეუ-

ლი ინტერვიუს დროს ცესკოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობა 2012 წლიდან დაიწყო. 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით მთავარი პრიორიტეტი ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნაა. ცესკო ყველა საარჩევნო დოკუმენტაციას თარგმნის როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე. მათი თქმით, რუსულად თარგმანის საჭიროება არ არის. *„ცესკოს მიდგომა ასეთია – ჩვენ ამომრჩევლებს ვთავაზობთ თანაბარ სერვისებს. რაში გამოიხატება ეს თანაბარი სერვისი: თუ გვაქვს ქართულად საარჩევნო ბიულეტენი და იმ რეგიონში საჭიროებაა, ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, მათთვის იყოს ხელმისაწვდომი ბიულეტენი, ამომრჩეველთა ერთიანი სია და ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია [ითარგმნება მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე]. ყველა დოკუმენტაცია არის ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე“* (ექსპერტული ინტერვიუ ცესკოს წარმომადგენელთან, თბილისი).

გარდა ამისა, ცესკოს სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადებასა და ტრენინგებს ქართულ ენასთან დაკავშირებული ბარიერის დასაძლევად. ისინი უზრუნველყოფილი არიან ნებისმიერი სასწავლო მასალითა და სასწავლო ვიდეოებით მათთვის ხელმისაწვდომ ენებზე.⁶

როგორც ცესკოს წარმომადგენელმა აღნიშნა, ცესკო არ ახდენს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების იდენტიფიცირებას ეროვნული კუთვნილების მიხედვით – საქართველოს პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში ეს გრაფა გაუქმებულია. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ საუბარი იმ სტატისტიკაზე, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გარკვეულიყო, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

⁶ ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების შესახებ (ანგარიში). ცენტრალური საარჩევნო კომისია, თბილისი, 2012: <http://cesko.ge/geo/list/show/11290-angarishi-etnikuriumciresobebis-amomrchevelta-saarchevno-procesebis-gamartivebisa-daxelshewyobis-miznit-dagegmili-da-ganxorcielebuli-saqmianobebis-shesaxeb-14536>


ცესკოს წარმომადგენლის თქმით, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები (მაგალითად, არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაციის თარგმნა, სასწავლო მასალებითა და ტრენინგებით უზრუნველყოფა უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომ ენებზე) განაპირობებს ამომრჩეველთა ინტეგრაციის პროცესს და საარჩევნო კულტურის განვითარებას. მისივე ინფორმაციით, ცენტრალური საარჩევნო კომისია სრულად ახორციელებს მთავრობის სამოქმედო გეგმით დაკისრებულ ვალდებულებებს. ამ ვალდებულებებში იგულისხმება: საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის თარგმნა; უმცირესობების ენებზე აუდიო-და ვიდეოფორმატში ინფორმაციის გავრცელება; მცირე გრანტები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, რომლებსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად – კვალიფიკაციის ასამაღლებლად გასცემს (მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მომზადება).

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების უმეტესობა დადებითად აფასებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობას. თუმცა ამბობენ, რომ ხშირად საკმარისი არ არის ცესკოს მიერ ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ზოგჯერ ისიც კი არ იციან, თუ რა პროცედურები ხორციელდება არჩევნების დღეს. ამას მონიშნავს უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ 2015 წელს სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული კვლევის შედეგებიც. ECMI-ს მიერ გამოკითხულ ეთნიკურად სომეხ რესპონდენტთა უმრავლესობამ ცესკოს (56,5 პროცენტი) და საუბნო კომისიების (58,3 პროცენტი) მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. გამოკითხვის მონაწილეთა 44,5 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი საარჩევნო გარემო ისეთივეა, როგორც ეთნიკურად ქართველებისა; 13 პროცენტის შეფასებით, ის ამ უკანასკნელზე უკეთესია და ძალიან ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც საარჩევნო გარემოს უარყოფითად აფასებენ. ამასთან, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა უკმაყოფილება გამოხატა საუბნო კომისიის წევრთა პროფესიონალიზმთან დაკავშირებით.⁷

⁷ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის კვლევა, უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი, თბილისი, 2015: <http://electionreforms.ge/files/library/453.pdf>


3. ძირითადი გამოწვევები ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ხელს უშლის ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი წარმომადგენლობითობის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. პრობლემა კომპლექსურია და არსებობს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა გაუმჯობესების შედეგადაც შესაძლებელი იქნება არსებულ პრობლემებთან გამკლავება. ქვემოთ მოცემული დიაგრამა იმ ძირითად ურთიერთგანმაპირობებელ პრობლემებს აჯამებს, რომლებიც საკითხის სიმწვავეს განსაზღვრავს და, გარკვეულწილად, მათი მოგვარების გზებზეც მიანიშნებს.



უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული პრობლემები. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, სომხები და აზერბაიჯანელები, ძირითადად არ ფლობენ ქართულ ენას, რაც, თავის მხრივ, ქმნის წინაღობას ინდივიდის სახელმწიფოსთან ურთიერთობისას და ზოგადად საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. ზოგადი განათლების შესახებ კანონის 4.3 და 7.1 მუხლების თანახმად, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, განათლება მიიღოს სახელმწიფო ან

მშობლიურ ენაზე.⁸ თუმცა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის 2012 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები 6 წელზე უფროსი ასაკის ეროვნული უმცირესობების 71,5 პროცენტი ვერ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია აზერბაიჯანელებში – 78,3 პროცენტი, ხოლო სომეხ მოსახლეობაში – 36,6 პროცენტი. ქვემოთ მოცემული გრაფა ასახავს ქვემო ქართლის მოსახლეობის გადანაწილებას ენის ცოდნის მიხედვით. გრაფაზე ჩანს, რომ ქვემო ქართლის მკვიდრნი ძირითადად ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე საუბრობენ. ქალაქის მცხოვრებნი ქართულ ენას უკეთ ფლობენ, ვიდრე სოფლის მოსახლეობა.⁹



რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ზოგადი ტენდენცია ასეთია: ეთნიკური სომხებით დასახლებულ ამ რეგიონში ქართული ენის ცოდნის დონე დაბალია.

⁸ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxe.pdf>

⁹ ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012: <http://www.issageorgia.com/sites/issa/files/uploads/attachments/A4-01-GEO.pdf>

ციურიხის უსაფრთხოების სწავლებების ცენტრის მკვლევარი ანგელა ულმანი, თავის ბოლო ანალიტიკურ ნაშრომში, ეთნიკურად ქართველი და საქართველოში მცხოვრები უმცირესობების თანაცხოვრების გამონვევებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ქართული ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელია ორი მახასიათებელი: რელიგიური მიკუთვნებულობა (მართლმადიდებელი) და ეთნიკური კუთვნილება (ქართველი). შესაბამისად, ამ ორი კატეგორიის მიღმა მყოფ მოქალაქეებს ინტეგრაციის გარკვეული პრობლემა ექმნებათ იმის გამო, რომ მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად არ მიიჩნევენ.¹⁰ ეროვნული უმცირესობების მარგინალიზაციასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათ არასაკმარის ჩართულობაზე ყურადღებას ამახვილებს ასევე უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფის პუბლიკაცია, რომლის თანახმადაც, უმცირესობები საქართველოში უჩინარი მოქალაქეები არიან. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო საკანონმდებლო დოკუმენტებზეც არ მიუწვდებიან ხელი, რაც სრულიად განიარაღებულს ტოვებს მათ სახელმწიფოს წინაშე.¹¹

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა ასეთი ვითარება: საქართველოში დღესდღეობით არსებული საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების ადეკვატურ პოლიტიკურ ჩართულობასა და წარმომადგენლობითობას. საქართველოს პარლამენტში ეროვნული უმცირესობების მხოლოდ 7 წარმომადგენელია, და ეს მაშინ, როცა 2002 წლის აღწერის მონაცემებით მათი წილი ქვეყანაში 16 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2014 წლის აღწერის მიხედვით ეს მაჩვენებელი 13,2 პროცენტია. ეროვნულ უმცირესობებზე მომუშავე ექსპერტის, გიორგი სორდიას აზრით, მათი ნაკლები ჩართულობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დაბალი დონეა. ასევე,

¹⁰ Ullmann A. (2016) Challenges to Coexistence in Georgia, CSS Analysis in Security Policy, №186, Editor: Matthias Bieri. <http://www.css.ethz.ch/en/publications/css-analyses-in-security-policy/details.html?id=/n/r/1/8/nr-186-herausgeforderter-koexistenz-in-ge>

¹¹ Breaking the Cycle of Exclusion: Minority Rights in Georgia. Minority Rights Group International. London, United Kingdom, 2009. <http://www.refworld.org/pdfid/4b698a592.pdf>

თუ დავაკვირდებით პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა წარმოდგენის დინამიკას, ECMI-ის მონაცემებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1992-1995 წლების მონვევის პარლამენტში აღინიშნებოდა – სულ 4 დეპუტატი, ხოლო 1995-1999 და 1999-2004 წლებში პარლამენტის წევრი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო და 16-16 დეპუტატს შეადგენდა. დღევანდელი მაჩვენებელი, ფაქტობრივად, ისეთივეა, როგორც იყო 1991-1992 წლების მონვევის საკანონმდებლო ორგანოში – 7 წარმომადგენელი. რაც შეეხება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს, იქ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე პოლიტიკური ჩართულობა მაღალია: მაგალითად, ახალქალაქის საკრებულოს 32 წევრიდან 28 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია; ასევეა მარნეულში – 29 ადგილიდან 20-ს ეროვნული უმცირესობა იკავებს.¹² ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მეტ-ნაკლებად შესამჩნევია ადგილობრივი მოსახლეობის, შესაბამისად, ეთნიკური სომეხისა თუ აზერბაიჯანელის პოლიტიკური ჩართულობა.


4. საარჩევნო სისტემების მიმოხილვა, საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილებები

საარჩევნო სისტემების შესახებ საბაზისო ინფორმაციას გვაძლევს ჯ. კოლომერის რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელო „*The Handbook of Electoral System Choice*“. შესავალ ნაწილში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ მსოფლიოში საარჩევნო სისტემების ცვლილებების ტენდენცია ერთგვაროვანია. შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ ინკლუზიურ საარჩევნო სისტემებს, ორიენტირებულს ამომრჩევლის მაქსიმალურ ჩართულობაზე, უფრო მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს, ვიდრე აკრძალვით საარჩევნო პრაქტიკას. ამიტომაც უნდა ველოდოთ უფრო მეტად მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისთავად

¹² Sordia G. (2014) Challenges of Minority Governance and Political Participation in Georgia. Caucasus Analytical Digest №64, 9 July 2014. Tbilisi, Georgia: <http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD-64-2-5.pdf>

მყარ ინსტიტუციურ წონასწორობას შექმნის. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მომავალში, ინკლუზიური და ნაკლებად სარისკო საარჩევნო კანონებისა და პროცედურების განვითარებისას, უპირატესობა მიენიჭება პროპორციული წარმომადგენლობითობის პრინციპს. საარჩევნო სისტემები უფრო მეტად კონცენტრირდება მრავალი გამარჯვებული მხარის წარმოქმნაზე და რისკის შემცველი იქნება ალტერნატიული წესების შემოღება, რათა სისტემაში ერთი გამარჯვებულისა და მრავალი დამარცხებულის არსებობა უზრუნველყოს.¹³

ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით, საქართველოში არსებული შერეული საარჩევნო სისტემის თავისებურებებზე საუბრისას შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე ძირითადი უცვლელი მახასიათებელი, რომლებიც, საერთო ჯამში, მანკიერ პრაქტიკას ნერგავს. ასეთებია:



პრობლემების უფრო ნათლად აღსაქმელად აუცილებელია გავიზრდეთ საარჩევნო სისტემის მახასიათებლები და მათი განვითარების ისტორია. საქართველოში არჩევნები იმართება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით და მისი სამართლებრივი საფუძველი საქართველოს კონსტიტუციაა. საარჩევნო სამართალი საქართველოში

¹³ The Handbook of Electoral System Choice. The Strategy and History of Electoral System Choice, pp. 3-81. Editor: Colomer J. M. Palgrave Macmillan, United Kingdom, 2004.

ხუთ ძირითად პრინციპს ეყრდნობა. ეს პრინციპებია: საყოველთაო საარჩევნო უფლება, თანასწორი საარჩევნო უფლება, პირდაპირი საარჩევნო უფლება, კენჭისყრის ფარულობა და ნების თავისუფალი გამოვლენა.

დამოუკიდებელი საქართველოს საარჩევნო სისტემების ევოლუცია დიდ ისტორიას არ ითვლის. პირველ თავისუფალ არჩევნებს საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს მიღებული „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, რომელიც, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 130 წევრის არჩევას (პარტიული სიებით) ითვალისწინებდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნები ხელმძღვანელობდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შესახებ“, რომელიც 2001 წელს მიღებულმა საარჩევნო კოდექსმა ძალადაკარგულად ცნო, ხოლო თავად ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.¹⁴

აქვე გავიხსენოთ მეოცე საუკუნის დასაწყისის საკანონმდებლო გამოცდილება: „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ“ 1918 წლის 13 სექტემბრის კანონის მიხედვით, „იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება“, ჰქონდათ ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლის ყოლის უფლება.¹⁵

1990 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით გაიმართა – 125 კანდიდატი პროპორციული და 125 მაჟორიტარული წესით აირჩა. 4-პროცენტისანი საარჩევნო ბარიერი მხოლოდ ორმა

¹⁴ საარჩევნო სისტემები. დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, გვ. 8-15 (ცესკო; საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი). 2014-2015: <http://electionreforms.ge/files/library/415.pdf>

¹⁵ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია, საქართველოს პარლამენტის აპარატი. <http://www.parliament.ge/files/617-8236-358700-samxret-oseti.pdf>

პარტიამ გადალახა, მაჟორიტარული წესით კი მანდატები 5 პოლიტიკურ ერთეულზე გადანაწილდა. ყოველი მომდევნო არჩევნები იმავე პრინციპით იმართებოდა, და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საარჩევნო სისტემა დღემდე რეალურად არ შეცვლილა, რაც თავისთავად განაპირობებს უცვლელ პატერნებსა თუ ტენდენციებს, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების ჩართულობის მხრივ. 2008 წლის არჩევნებში პარტიულ სიებში მონაწილე 1767 კანდიდატიდან მხოლოდ 24 იყო აზერბაიჯანელი და 16 სომეხი. თითოეულ მათგანს სიაში ისეთი ნომერი ჰქონდა, რომ მათი არჩევა მხოლოდ თეორიულად თუ იყო შესაძლებელი. მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიაში: 29-ე, 31-ე, 50-ე, რესპუბლიკური პარტიის სიაში: მე-9 და მე-11, ხოლო გაერთიანებულ ოპოზიციას ეროვნული წარმომადგენელი საერთოდ 85-ე ნომრად ჰყავდა შეყვანილი. რაც შეეხება მაჟორიტარებს, 434 მაჟორიტარობის კანდიდატს შორის მხოლოდ 15 იყო ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (10 აზერბაიჯანელი, 4 სომეხი და 1 აფხაზი). 2012 წლის არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ თავის პარტიულ სიაში ეროვნული უმცირესობის მხოლოდ 9 წარმომადგენელი შეიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ, ეროვნული უმცირესობების ინტერესებზე მორგებული სპეციფიკური კამპანიის არარსებობის პირობებში, ოპოზიციურ პარტიას არ უცდია ეროვნული უმცირესობების ხმების მოზიდვა.¹⁶ 2012 წლის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ორ პოლიტიკურ გაერთიანებას: „ქართულ ოცნებასა“ და „ახალ მემარჯვენეს“ აქვთ თავიანთ საარჩევნო პროგრამებში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ცალკეული ქვეთავები. კოალიცია „ქართული ოცნების“ 72-გვერდიან პროგრამაში გამოყოფილია ქვეთავი სახელწოდებით – „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა“, რომელშიც ეროვნული უმცირესობების საჭიროებებზეა საუბარი, ხოლო „ახალი მემარჯვენის“ 108-გვერდიან პროგრამაში არსებობს ცალკეული თავი უმცირესობების უფლებების შესახებ, რომელშიც განხილულია

¹⁶ გედენიძე ი. ეროვნული უმცირესობების როლი 2008 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებში. რადიო თავისუფლება, 5 ივნისი, 2014: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/25412637.html>

ეროვნული უმცირესობების საჭიროებები.¹⁷ ყოველივე ეს გამოკვეთს ტენდენციას, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიებისთვის ეროვნული უმცირესობების თემა პრიორიტეტული არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს პოლიტიკური პარტიების იმ ძალისხმევის შესახებ, რომელიც საქართველოში არსებული საარჩევნო სისტემის ცვლილებების განხორციელებას ეხება. 2010 წლიდან დღემდე, იქნებოდა ეს რვა ოპოზიციური პარტიის თუ სხვა რომელიმე ფორმატი, განიხილებოდა შერეული საარჩევნო სისტემის შეცვლა პროპორციულით, რომლის შედეგადაც მანდატები ერთიანი პროპორციული სიითა და რეგიონული პროპორციული სიით არჩეულ კანდიდატებს შორის განაწილდებოდა. 2015 წელს, ხმების თანაბარპროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, შეიცვალა საარჩევნო ოლქების საზღვრები და შემადგენლობა. ამ საკითხში პოლიტიკური პარტიების ერთსულოვნების მიუხედავად, საარჩევნო სისტემის ძირეული გარდაქმნა არ მომხდარა.

თავად საარჩევნო სისტემების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: საარჩევნო ოლქების მასშტაბი – ერთმანდატიანი/მრავალმანდატიანი; საარჩევნო ბიულეტენის სტრუქტურა – კატეგორიული/პრეფერენციული; საარჩევნო ზღურბლი – ბარიერი.

საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია საარჩევნო ფორმულა, რომელიც მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას განსაზღვრავს. გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი საარჩევნო სისტემის პრაქტიკა: მაჟორიტარული, პლურალური (Majority, Plurality); პროპორციული (Proportionality); შერეული (Mixed) და სხვა სისტემები.

აუცილებელია განვიხილოთ საქართველოში დამკვიდრებული საარჩევნო სისტემის თითოეული კომპონენტი და შევაფასოთ მათი დადებითი თუ უარყოფითი გავლენა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობაზე.

¹⁷ სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამები. თბილისი, 2016: <http://www.ivote.ge/archevnebi/saparlameto-archevnebi/archevnebi-2012/monatsile-partiebi-da-blokebi/partiis-programebi/2453-nomeri-41-saarchevno-bloki-qbidzna-ivanishvili-qarthuli-ocnebaq.html?lang=ka-GE>

4.1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

მაჟორიტარული პრინციპი თავისი არსით დამოკიდებულია უმრავლესობის ნების დომინანტობაზე. კოლომერი ასკვნის, რომ დომინანტი პარტია, რომელსაც ოპტიმისტური მოლოდინი გააჩნია მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, უპირატესობას მიანიჭებს ისეთ საარჩევნო ფორმულებს, როგორებიცაა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებად ქვეყნის დაყოფა და „ბლოკური“ დახურული სიების გამოყენება პლურალულობის პრინციპით.¹⁸ აქ უნდა მოვიხილოთ დომინანტი პარტიის შესაძლო დანაკარგი, თუ წარმომადგენლობითი ორგანო ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობის გარკვეული დოზით ჩართულობას; არ არის გამორიცხული, იგი მოპოვებული ძალაუფლების დაკარგვის წინაშე აღმოჩნდეს და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი სტაბილურობა შეირყეს იმ მცირე პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან აგორებული უკმაყოფილების ფონზე, რომლებიც თავიანთი პასიური საარჩევნო უფლების გამოყენებას ვერ შეძლებენ. შესაბამისად, მაჟორიტარული სისტემის რისკები მეტად მაღალია საიმისოდ, რომ მისი შენარჩუნება სასურველი იყოს.

თუკი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის უარყოფით მხარეებზე ვისაუბრებთ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები დაკარგული ხმების რაოდენობას უკავშირდება. არსებობს კიდევ ერთი პრობლემა – მხარდამჭერთა რაოდენობით მეორე პარტიამ, თუნდაც ის ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ პარტიას უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდეს, შეიძლება ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღოს (ან ძალიან ცოტა მიიღოს), თუ ორივე პარტიის მხარდამჭერები თანაბრად არიან განაწილებული საარჩევნო ოლქებში.¹⁹ მაჟორიტარული სისტემის ფარგლებში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა შესაძლებელია დამატებითი მექანიზმების მეშვეობით ან საარჩევნო ოლქების საზღვრების ტრანსფორმაციის გზით.

¹⁸ The Handbook of Electoral System Choice. The Strategy and History of Electoral System Choice, pp. 3-81. Editor: Colomer J. M. Palgrave Macmillan, United Kingdom, 2004.

¹⁹ საარჩევნო სისტემები (საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის განყოფილება): <http://www.parliament.ge/files/1055-16721-957521-saarchevno-sistemi-bi.pdf>

4.2. პროპორციული საარჩევნო სისტემა

პროპორციულობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ადგილების რაოდენობასა და კვოტასთან დაკავშირებული ფორმულებია. არსებობს სხვადასხვა სისტემური ალტერნატივა პროპორციულობის განსახორციელებლად:

ერთი გადაცემადი ხმის სისტემა – შეიძლება იყოს ერთ-ერთი ალტერნატივა, რომელიც მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. ამომრჩეველს აქვს რამდენიმე ხმა, მაგრამ მათ, ფაქტობრივად, იყენებს როგორც ერთ გადაცემად ხმას. ამომრჩევლები ახდენენ საარჩევნო ბიულეტენებში კანდიდატთა რანგირებას უპირატესობების მიხედვით. ეს სისტემა ითვალისწინებს არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე უპირატესობებსაც.

ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა – გამოიყენება მრავალმანდატიან ოლქში. ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა და, ამდენად, ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევს. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს მოცემულ საარჩევნო ოლქში.

შეზღუდულ კენჭისყრას – ასევე იყენებენ მრავალმანდატიან ოლქში. ამომრჩეველს შეუძლია ხმა რამდენიმე კანდიდატს მისცეს. ხმების რაოდენობა შეზღუდულია – იგი გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე ნაკლები უნდა იყოს. გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

ბორდას დათვლა – არის პრეფერენციული სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც ერთმანდატიან, ისე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ამომრჩეველი კანდიდატებს პრეფერენციებს (უპირატესობებს – 1, 2, 3, 4 და ა. შ.) ანიჭებს. დათვლის დროს კანდიდატებს ქულები ენიჭებათ; მაგალითად, ვინც პირველი პრეფერენცია მიიღო – 1 ქულა, ვინც მეორე პრეფერენცია მიიღო – 2 ქულა და ა. შ. ყველა ქულა ჯამდება და გამარჯვებულად ცხადდებიან ყველაზე ნაკლები ქულების მქონე კანდიდატები.²⁰

²⁰ საარჩევნო სისტემები. დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, გვ. 8-15 (ცესკო; საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი). 2014-2015: <http://electionreforms.ge/files/library/415.pdf>

ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც პროპორციულ სისტემას გააჩნია ეროვნული უმცირესობების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ეს არის სისტემის ფუნქციონირებისას დამატებითი მექანიზმების ეფექტიანობა – მცირერიცხოვან პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს წარმოადგენენ, უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები გახდნენ.²¹

არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გარდაუვალად მიიჩნევს საარჩევნო სისტემის რეფორმას საქართველოში. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, შეიმუშავა საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ცვლილებების აუცილებლობას გვთავაზობს. შერეული საარჩევნო სისტემა ისტორიული რელიკვიაა და, თუ პოლიტიკურ ელიტას სურს მიიღოს ფუნქციური სახელმწიფო, საარჩევნო სისტემა სრულად რეგიონულ, მრავალმანდატიან პროპორციულ რელსებზე უნდა გადავიდეს.²²

4.3. საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილებები ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად

გასათვალისწინებელია დამატებითი მექანიზმების პრაქტიკა, ურომლისოდაც პირველ ეტაპზე ეროვნული უმცირესობების სრულყოფილი ჩართულობა ვერ მოხერხდება. ამ მხრივ მრავალფეროვანი გამოცდილება არსებობს ევროპის ბევრ ქვეყანაში. საქართველოში რამდენიმე მათგანის წარმატებით დანერგვა სავსებით შესაძლებელია. ესენია: პარტიულ სიებში ეროვნული უმცირესობებისთვის კვოტის დაწესება, საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაში

²¹ კილურაძე კ. საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი. საარჩევნო სისტემის ანალიზი და რეკომენდაციები (კვლევის შედეგები). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). თბილისი, 2013: <https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book-geo-web1.pdf>

²² Dahl R. Legal Policy Advisor, Georgia's Parliamentary Electoral System: Options for Advancing Voter Equality, International Foundation for Electoral Systems, USAID of The United States Government, 2011.

კვოტის დაწესება, ე. წ. reserved seats, და ასევე ფინანსური წახალისება, რათა პარტიებმა საარჩევნო სიაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ჩართონ. მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინა დამატებით მექანიზმებს იყენებს მმართველობის სამ დონეზე – ადგილობრივ, რეგიონულ და ფედერალურ დონეებზე. ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება: გარანტირებული ადგილები საკანონმდებლო ორგანოში, პროპორციული სისტემა და ეროვნული უმცირესობებით დაკომპლექტებული სპეციალური სიები. უნგრეთსა და ხორვატიაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობა უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო დონეზე, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის სისტემას.²³

იდეალური საარჩევნო მოდელი არ არსებობს. ქართული პოლიტიკური ელიტა არჩევანის წინაშე დგას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სისტემის არჩევისას გათვალისწინებული და დაცული იყოს ეროვნული უმცირესობების უფლებები.

5. კვლევის შედეგები

5.1. ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ უმცირესობებთან ფოკუსჯგუფების მონაცემების ანალიზი

ჩატარებული ფოკუსჯგუფების ანალიზმა აჩვენა, რომ სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის ქართული ენის არცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა, რაც ინვესს ინფორმირებულობის დაბალ დონეს, ზოგადად განათლებისა და სამოქალაქო აქტივობის ნაკლებობას, უმუშევრობის პრობლემას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობებში დაბალ ჩართულობას.

ახალქალაქსა და მარნეულში ჩატარებული ფოკუსჯგუფების მონაცემებით გამოიკვეთა, რომ ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მონაწილეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა სისტე-

²³ Report on Electoral Rules and Affirmative Action for National Minorities Participation in Decision-making Process in European Countries. Venice Commission. Strasbourg, 2005.

მატურად დადის არჩევნებზე ხმის მისაცემად. ისინი ფიქრობენ, რომ ხმის მიცემა მათი მოქალაქეობრივი ვალდებულებაა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალქალაქში, ისე როგორც მარნეულში, ახალგაზრდებიც და შედარებით ასაკოვანი მონაწილეებიც, არ არიან დარწმუნებული, რომ მათი ხმა გავლენას ახდენს არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ამიტომაც მათში სკეპტიციზმი ქარბობს. ორივე ქალაქში, 18-40 წლის მონაწილეებში, 41-65 წლის ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეებისგან განსხვავებით, უფრო მეტად შესამჩნევია სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა, რაც აისახება კიდევ ელექტორულ ქცევაში – ახალგაზრდები უფრო მოტივირებული არიან, რომ არჩევნებზე წავიდნენ და საკუთარი აზრი გამოხატონ. მარნეულში მცხოვრები 41-65 წლის მონაწილეები, ახალქალაქის იმავე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტად არიან ინტეგრირებული როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე. ინტეგრაციაში იგულისხმება რეგიონის სოციალურ ცხოვრებაში ადგილობრივ ქართველებთან ერთად აქტიური მონაწილეობა. გარდა ამისა, ტერიტორიულად მარნეული თბილისთან ახლოს არის და, აქედან გამომდინარე, დედაქალაქთან ხშირი მიმოსვლა აქვთ. ფოკუსჯგუფის ზოგიერთი მონაწილე უნივერსიტეტსა თუ სამსახურში ყოველდღე დადის მარნეულიდან თბილისში. მარნეულისგან განსხვავებით, ახალქალაქის ფოკუსჯგუფის მონაწილეები უფრო მეტად კონცენტრირებული არიან საკუთარ გარემოში, იქვე მუშაობენ და დედაქალაქთან მათი კონტაქტიც მხოლოდ სტუდენტების სასწავლებლად წასვლით შემოიფარგლება.

ორივე ქალაქში ფოკუსჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი თავის სკეპტიკურ განწყობას იმით ხსნის, რომ წლების განმავლობაში არ სრულდება საარჩევნო დაპირებები და პოლიტიკური პარტიები მათთან ინტერაქციას თითქმის საარჩევნო პერიოდის დასრულებისთანავე წყვეტენ. „*არჩევნებამდე ვახსოვართ, არჩევნების შემდეგ ყველას ვავიწყდები*“ (ახალქალაქი, ქალი, 41-65).

როგორც მარნეულში, ისე ახალქალაქში, ორივე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეებმა კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმებზე საუბრისას აღნიშნეს, რომ გადანყვეტილების მისაღებად, თუ ვის მისცენ ხმა, მნიშვნელოვანია კანდიდატების შეხვედრები

მოსახლეობასთან. რაც შეეხება პარტიის პროგრამებს, მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის, რომ ასეთი რამ არსებობს. ფოკუს-გუფების მონაწილეთაგან პოლიტიკური პარტიების პროგრამების შესახებ ინფორმირებულია მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომლებიც ძირითადად საჯარო სამსახურში არიან დასაქმებული და, სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მეტი შეხება აქვთ საჯარო ინფორმაციასთან. თუმცა ინტერესის უქონლობის გამო პროგრამას, ჩვეულებისამებრ, არ ეცნობიან. გარდა ამისა, ახალქალაქის ფოკუს-გუფის წარმომადგენლებს პრობლემად მიაჩნიათ, რომ წლების განმავლობაში არ იცვლება ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტია წარმოადგენს მმართველ ძალას.

ახალქალაქისგან განსხვავებით, მარნეულში ჩატარებული ფოკუს-გუფის მონაწილეები აღნიშნავენ მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის ზრდას – ამომრჩევლები ბრმად აღარ იღებენ გადაწყვეტილებას, ითხოვენ კანდიდატებთან შეხვედრებსა და მათი შეხედულებების გაცნობას. *„ადრე ძალიან ადვილი იყო, ხალხი მიდიოდა და ისე ყრიდა ფურცლებს. ხალხი ახლა უფრო გახსნილი გახდა. ამომრჩევლები აუცილებლად ითხოვენ კანდიდატების ნახვას, მათთვის თავიანთი პრობლემების გაცნობას და შემდგომ – შედეგს. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლებმაც საქმე გააკეთეს და ხალხი უფრო ინფორმირებული გახდა. თუ სოფელში სამი-ოთხი ადამიანი კანდიდატის ნახვას ითხოვს, განა ეს არ არის წინ გადადგმული ნაბიჯი?“* (მარნეული, ქალი, 18-40).

როგორც მარნეულში, ისე ახალქალაქში ჩატარებული ფოკუს-გუფებიდან გამოიკვეთა, რომ მათი ინტერესი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი მაღალია, თუმცა სხვადასხვა ფაქტორისა და, უმეტესწილად, ენობრივი ბარიერის (ქართული ენის არასათანადო ცოდნის) გამო ეროვნული მედიასაშუალებებიდან ინფორმაციის მიღებას ვერ ახერხებენ. ინფორმაციის ნაკლებობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მათ უყალიბებს მოსაზრებას, რომ საქართველოს დანარჩენ მხარეებში საერთო სიტუაცია უკეთესია, ვიდრე კონკრეტულად მათთან, პრობლემებიც მხოლოდ და მხოლოდ მათს რეგიონშია. *„ამინდის პროგნოზშიც კი არ აცხადებენ ახალქალაქს. ვემკითხაობთ, როგორი ამინდი იქნება. ახალციხეს აცხადებენ, ახალქალაქს – არა. ეს შეიძლება ელემენტარულია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს*

მოსახლეობისთვის. ჩვენ არ ვარსებობთ? ჩვენზე რატომ არ არის ინფორმაცია?“ (ახალქალაქი, ქალი, 41-65).

რაც შეეხება მაჟორიტარული მანდატით არჩეულ წარმომადგენელს – ორივე ქალაქის ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა იციან, თუ ვინ არის მათი დეპუტატი, მასთან შეხებაც ჰქონიათ მიმოწერისა თუ პირადი შეხვედრის სახით, თუმცა მონაწილეთა უმეტესობა დეპუტატების საქმიანობას არადაამაკმაყოფილებლად აფასებს. „ზოგადად თუ ვიტყვით, თვითონ ამ დეპუტატებს უფლებამოსილების ფარგლებში რისი გაკეთებაც შეუძლიათ და რასაც აკეთებენ, არც მე მაკმაყოფილებს და არც საზოგადოებას“ (მარნეული, კაცი, 41-65).

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2015 წელს საქართველოს ორგანულ კანონში – „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შევიდა ცვლილებები, რომლებიც 2016 წლიდან მაჟორიტარული ოლქების საზღვრების გადანაწილებას ითვალისწინებს. ეს ცვლილებები შეეხო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსაც, მაგრამ მარნეულისა და ახალქალაქის ფოკუსჯგუფის მონაწილეთაგან ეს ამბავი მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა. მათთვის ინფორმაცია არ მიუწოდებიათ შესაბამის ინსტანციებს, რაც იწვევს მოსახლეობის ინფორმირებულობის ზედაპირულ ხასიათს. „ეს ინფორმაცია ვრცელდება ჭორების სახით. კონკრეტულად არავინ ჩამოსულა და არ შეგვხვედრია“ (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას მარნეულის ფოკუსჯგუფის მონაწილეები ძირითად პრობლემად საკრებულოს და გამგეობის წევრების კვალიფიკაციის დაბალ დონესა და განათლების შეუსაბამობას ასახელებენ. გარდა ამისა, ამბობენ, განათლებული კადრი რომც გამოჩნდეს, დიდხანს არავინ გააჩერებსო. „ჩემს სოფელში ერთი კაცი ცხოვრობდა, დაამთავრა მაგისტრატურა და დოქტორანტურა. დანიშნეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ, მაგრამ ათ დღეში მოხსნეს, ძალიან განათლებული ყოფილაო“ (მარნეული, კაცი, 18-40).

ამჯერადაც, როგორც მაჟორიტარულ დეპუტატზე საუბრისას, გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი საჯარო მოხელეები ინფორმირებული არიან რეგიონის პრობლემების შესახებ, მაგრამ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიებები არ ტარდება.

ორივე რეგიონში სამოქალაქო აქტივობა დაბალია, ამიტომაც ორივე ქალაქის ფოკუსჯგუფის წარმომადგენლები ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვის არავითარ სურვილს არ გამოთქვამენ. რაც შეეხება პარლამენტში მათს წარმომადგენლობითობას, ახალქალაქის ფოკუსჯგუფის მონაწილეების შეფასებით, მათი ინტერესები არ არის წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით (ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას პარლამენტში ორი წარმომადგენელი ჰყავს). მათგან განსხვავებით, მარნეულის ფოკუსჯგუფის მონაწილეები უფრო პოზიტიურად აფასებენ მდგომარეობას და ამბობენ, რომ პარლამენტში მათი ინტერესების დაცვის პრობლემა არ არსებობს (ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობასაც ორი წარმომადგენელი ჰყავს: ერთი – პროპორციული სიით და ერთი – მაჟორიტარი დეპუტატი).

ჩატარებული ფოკუსჯგუფების დემოგრაფიული მაჩვენებლების თანახმად, როგორც მარნეულის, ისე ახალქალაქის ფოკუსჯგუფის მონაწილეების უმრავლესობამ ქართული ძალიან ცუდად იცის. უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი ტენდენცია – 18-40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ქართული ენის ცოდნის დაბალი დონის მიუხედავად, სახელმწიფო ენის ფლობის სურვილი მაღალია, რასაც ვერ ვიტყვით 41-65 წლის ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეებზე, რომელთა უმეტესობაც ქართული ენის შესწავლას სკეპტიკურად უყურებს. ეს შეიძლება აიხსნას ასაკობრივი განსხვავებით – ახალგაზრდები უფრო აქტიურად ცდილობენ ისწავლონ ქართული, მიიღონ უმაღლესი განათლება და დასაქმდნენ, შედარებით ასაკოვანები ფიქრობენ, რომ მათთვის რაიმეს სწავლა უკვე დაგვიანებულია.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არ გამოირჩევიან სამოქალაქო განათლების მაღალი დონით და ამ პრობლემის გამოსასწორებლად არ ხორციელდება შესაბამისი პროგრამები. ამ მხრივ განსაკუთრებით რთულია ასაკოვანი მოსახლეობის მდგომარეობა. კითხვაზე, მიიღებდით თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ფოკუსჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა ან თავს არიდებს პასუხს, ან ზოგადად პოლიტიკისადმი ნიჰილისტურადაა განწყობილი. ხმის მიცემა განიხილება როგორც ვალდებულება, რომელიც უნდა შეასრულო, თუმცა საკუთარი პოზიციის გამოხატვის აუცილებლობაზე არავინ საუბრობს. მით უმეტეს, რომ, რესპონდენტთა შეფასებით, არჩევნებში მათი მონაწილეობით მაინც არაფერი შეიცვლება, შესაბამისად, მათს ხმას მნიშვნელობა არა აქვს. „არ

აქვს მნიშვნელობა, რადგან მაინც ისე იქნება, როგორც უნდა იყოს. აუცილებლად გაყალბდება“ (ახალქალაქი, ქალი, 41-65). „მე არ დავდივარ არჩევნებზე, ჩემთან თავად მოდიან, დიდი ხანია არ დავდივარ არჩევნებზე. ხალხს მანქანას უგზავნიან, რომ წავიდნენ არჩევნებზე. ასე ტარდება არჩევნები“ (ახალქალაქი, კაცი, 41-65).

როგორც უკვე აღინიშნა, მარნეულისა და ახალქალაქის ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები არ იყვნენ ინფორმირებული 2015 წელს საქართველოს ორგანულ კანონში – „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ – ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ოლქების კონფიგურაცია შეიცვალა. კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების, ასევე ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ოლქები გაერთიანდა, ხოლო შედარებით დიდი ბოლნისის ოლქი ორად გაიყო, რაც ხმების თანაბარპროპორციულობის პრინციპს ექვემდებარება. გარდა ამისა, გაერთიანდა ბორჯომის, ასპინძისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები ერთი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის შესაქმნელად.

5.2. პოლიტიკურ პარტიებთან სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

5.2.1. პოლიტიკური პარტიების მოსაზრება არსებულ საარჩევნო სისტემასა და ეროვნული უმცირესობების ჩართულობასთან დაკავშირებით

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობის შეფასებით, საქართველოში არსებული საარჩევნო სისტემა მხოლოდ მინიმალურად უზრუნველყოფს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობას. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ახლანდელი საარჩევნო სისტემა ხელს არ უშლის უმცირესობების ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა არც უზრუნველყოფს მას. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ დღევანდელი საარჩევნო სისტემა ოპტიმალურია, ხოლო უმცირესობების ინტერესები – დაცული.

რესპონდენტები პრობლემად აფასებენ იმას, რომ თავად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პარლამენტარები საკანონ-

მდებლო დონეზე არასოდეს აქტიურობენ. მათი თქმით, რამდენიმე წლის წინ, როდესაც ეროვნულ უმცირესობებს უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ პარლამენტში, ვიდრე დღეს ჰყავთ, ხარისხობრივი მაჩვენებელი მაინც იგივე რჩებოდა – ისინი არასოდეს აქტიურობდნენ და საპარლამენტო საქმიანობაში მათი ჩართულობის დონე ყოველთვის დაბალი იყო.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პარტიათა უმეტესობა თანხმდება, რომ მაჟორიტარული სისტემა სრულიად არაეფექტიანია და ხშირ შემთხვევაში იგი ხელისუფლების ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, ამიტომ არც ერთ ხელისუფლებას არ სურს მაჟორიტარული სისტემის გაუქმება. *„რეალურად, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ ინსტრუმენტად სწორედ მაჟორიტარული სისტემის არსებობას ხედავენ და მაჟორიტარი დეპუტატები მონა-მორჩილი სუბიექტები არიან მმართველი ძალის რაოდენობრივი ხარისხის შენარჩუნებისთვის“* (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, თბილისი).

რესპონდენტები არსებული საარჩევნო სისტემის უარყოფით მხარეებზე საუბრობენ. უმეტესობას მაჟორიტარული სისტემის ხარვეზად მიაჩნია ის, რომ რომელიმე პარტიის სახელით არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები ხშირად ლალატობენ პარტიის პრინციპებს. მათი აზრით, ასეთ შემთხვევაში პარტიას უნდა ჰქონდეს დეპუტატის უკან განვევის უფლება. რესპონდენტების აზრით, არსებულ სისტემას აქვს კიდევ ერთი ნაკლი – თუკი კანდიდატი ხმათა 51 პროცენტს მიიღებს, ის ავტომატურად გამარჯვებულია, ხოლო თუკი მეორე კანდიდატმა 49 პროცენტი მიიღო, ამომრჩეველთა ხმების 49 პროცენტი, ფაქტობრივად, დაკარგულია.

რაც შეეხება საარჩევნო ოლქების გადანაწილების შესახებ მიღებულ ცვლილებას,²⁴ გამოკითხული პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ამას უარყოფითად აფასებს – ოლქების ამგვარი გადანაწილება მხოლოდ მექანიკური დაყოფაა, რაც ხარისხობრივად დადებით

²⁴ საქართველოს კანონპროექტი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ, ძი-ძიგური ზ., ჟორჯოლიანი გ., ტყემალაძე ზ., ვახტანგიშვილი მ., ხმალაძე ვ., კობახიძე ი. საქართველოს პარლამენტი, 2015: <http://info.parliament.ge/#law-drafting/11031>

გავლენას არ მოახდენს ეროვნული უმცირესობების გადანყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობაზე. თუმცა, რეფორმის შესახებ საუბრისას, ზოგიერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ახალქალაქი-ნინოწმინდის ოლქების გაერთიანების შემთხვევაში პარტიული სიებით შესაძლებელია ეთნიკურად სომეხი წარმომადგენლების კომპენსირებაც. „საერთაშორისო სტანდარტები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ახალქალაქსა და ნინოწმინდაში დაგვეტოვებინა თითო მაჟორიტარული ოლქი, მით უმეტეს, რომ ნინოწმინდა მაღალმთიანია. ვენეციის კომისიისა და ეუთოს რეკომენდაციები იძლეოდა ამის საშუალებას. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ ზედმეტად და არაადეკვატურად შეზღუდა საქართველოს პარლამენტი სხვადასხვა ჩანაწერით“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, თბილისი).

5.2.2. ეროვნული უმცირესობების პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ეროვნული უმცირესობების პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრისას გამოკვეთენ შემდეგ ასპექტს – პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული ეროვნული უმცირესობები ყოველთვის ხელისუფლებასთან დაკავშირებული (აფილირებული) კანდიდატები იყვნენ, შესაბამისად, წლების განმავლობაში არ იცვლებოდნენ მაჟორიტარი დეპუტატები, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება.

როგორც რესპონდენტები ამბობენ, მაჟორიტარ დეპუტატებს მუდმივად იზიდავდათ დიდი ფინანსური რესურსები, რაც, წესისამებრ, მთავრობის ხელშია. მათი თქმით, მაჟორიტარული არჩევნების დროს ყოველთვის მასობრივად და ბოროტად იყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსებს, საკმაოდ მაღალი იყო სამართალდამცავი ორგანოების ჩართულობაც. გარდა ამისა, საჯარო სამსახურში დასაქმებულები იღებდნენ დირექტივას, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა. ამ ყველაფერს უკავშირებენ იმ ფაქტს, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში უმეტეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სახელისუფლებო კანდიდატი იმარჯვებს.

რამდენიმე პარტიის წარმომადგენლის შეფასებით, ზოგადად მოსახლეობის უმეტესობა ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობას

ერიდება იმის გამო, რომ ხელისუფლების ეშინია. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლები მოსახლეობასთან სახლში მიდიან და აფრთხილებენ, თუ ვის უნდა მისცენ ხმა და ვის არა.

5.2.3. სასურველი საარჩევნო სისტემის მოდელები ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად

გამოკითხული პოლიტიკური პარტიები ასევე საუბრობენ საარჩევნო სისტემის ალტერნატიულ მოდელებზე, რომელთა დამკვიდრებაც საქართველოში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის ზრდას გამოიწვევდა და საერთოპოლიტიკურ სიტუაციას გააუმჯობესებდა. პარტიების უმრავლესობა თანხმდება, რომ პროპორციული სისტემა ერთადერთი გზაა ხმების თანაბარპროპორციულობისა და ელექტორატის პოლიტიკური ჩართულობის სრულად უზრუნველსაყოფად. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც: კონკრეტულად როგორი პროპორციული სისტემა იქნება ოპტიმალური საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური ლანდშაფტის გათვალისწინებით. რესპონდენტთა უმრავლესობას რეგიონულ-პროპორციული სისტემა საუკეთესო მოდელად მიაჩნია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის ზრდისთვის. ამით შესაძლოა ორჯერ გაიზარდოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობა პარლამენტში. ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, მაგალითად, თუ სამცხე-ჯავახეთის კვოტა იქნება ათი წარმომადგენელი პარლამენტში, შესაძლოა, ამ სიის ნახევარი ეროვნული უმცირესობებით იყოს დაკომპლექტებული (მრავალეთნიკური სია); ამით პოლიტიკურ პარტიებს გაუჩნდებათ დამატებითი სტიმული, გაითვალისწინონ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში პარტიული სიების ნახევარი მაინც ეროვნული უმცირესობებით დააკომპლექტონ. „*რეგიონული სისტემის ფარგლებში პარტია ეცდება, რომ, მაგალითად, ქვემო ქართლში ერთი აზერბაიჯანელი მაინც ჩავსვა სიაში, რომ მან თავისი ელექტორატის ხმები წამოიღოს*“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი).

„თუ იქნება რეგიონულ-პროპორციული სიები, შეიძლება ამ ეტაპზე ეს უფრო მისაღები იყოს, ვიდრე ერთიანი ეროვნული პროპორ-

ციული სია. მაშინ ქვემო ქართლის მოსახლეობას მეტი სტიმული მიეცემა, შეადგინონ მრავალენიკური ადგილობრივი, რეგიონული სია, რომელშიც აზერბაიჯანელებიც იქნებიან და ქართველებიც“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი).

ასევე ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ პარტიების უმეტესობის აზრით ღია/პრეფერენციული სიები უფრო მეტ საშუალებას მისცემს ამომრჩეველს, მოახდინოს პარტიის კანდიდატთა რანგირება. პარტიათა უმეტესობა თანხმდება, რომ პროპორციული სისტემა უფრო მეტად შეუწყობს ხელს პოლიტიკური პარტიების განვითარებას, პარტიები დაინტერესებული იქნებიან, მუდმივი წარმომადგენლობები გახსნან რეგიონებში. „ჩვენმა [...] პარტიამ დააფიქსირა პოლიტიკური ნება, რომ გვსურს და მზად ვართ, გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე 2016 წლის შემდგომი არჩევნებიდან და შესაბამისი კონსტიტუციური კანონპროექტის ინიცირებაც მოხდა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი).

პარტიების წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანი საკითხია ასევე რეგიონულ-პროპორციულ სისტემაში ქვეყნის საარჩევნო ოლქებად დაყოფა; უნდა შეიქმნას მრავალი მცირე ზომის საარჩევნო ოლქი თუ ქვეყნის რეგიონული დაყოფის, პროპორციული, მსხვილი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები. ეს საკითხი, როგორც კვლევა აჩვენებს, ისევე როგორც საარჩევნო სიების შედგენის სხვადასხვა ვარიაცია, თანხმობის საგანს არ წარმოადგენს და მომავალი პოლიტიკური დისკურსის ნაწილი იქნება. პოლიტიკური პარტიებისთვის ზოგადად სისტემის ცვლილება უფრო პრიორიტეტული საკითხია, ვიდრე ამ ცვლილების დეტალური შინაარსი.

5.2.4. დამატებითი მექანიზმები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად

ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით საარჩევნო სისტემაში დამატებითი მექანიზმების ინკორპორირებას პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ეწინააღმდეგება. მათი მოსაზრებით, რეგიონულ-პროპორციული სისტემა ეროვნული უმცირესობების სრულად ჩართულობას უზრუნველყოფს, შესაბამისად, საარჩევნო სისტემის ასეთი სახეცვლილება საკმა-

რისი იქნება ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის გასაზრდელად. მხოლოდ რამდენიმე პარტია განმარტავს, რომ შესაძლებელია ფინანსური სტიმულირებისა თუ გარკვეული სახის დამატებითი მექანიზმების დანერგვა. ისინი კვოტირებას იმ მოტივით ემხრობიან, რომ კვოტირების გზით მოსული პარლამენტის წევრი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმეს.

„სამხარეო პროპორციული სისტემის არსებობის პირობებში უფრო გამჭვირვალედ გამოჩნდებოდა მათი რესურსი და პოტენციალი, დასავლური ტიპის შერჩევა მოხდებოდა უშუალოდ პარტიის მხრიდან, შიდა კონკურენციაში გამარჯვებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ღირსეულად დაიკავებდნენ ამ კვოტას, რომელიც არ არის მხოლოდ მექანიკური გადანაწილება; ეს განსაკუთრებული პრიორიტეტია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არიან, თავს მიიჩნევენ პოლიტიკურ ქართველებად და უნდათ, ქვეყნის წინსვლაში შეიტანონ წვლილი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი).

5.3. ექსპერტული ინტერვიუების ანალიზი

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობითობაზე საუბრისას, კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები, უპირველეს ყოვლისა, საუბრობენ ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ. მათი თქმით, რეგიონულ დონეზე მუნიციპალიტეტის საკრებულოებსა თუ გამგეობებში მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად არიან წარმოდგენილი ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის მასშტაბით, სადაც საერთოდ არ არიან წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მოსახლეობის საშუალოდ 20 პროცენტი სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია.²⁵

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების უმეტესობის აზრით, რეგიონებში ეროვნული უმცირესობები რაოდენობრივად, ასე თუ ისე, იკავებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წამყვან

²⁵ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საკრებულოს წევრთა სია, 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შედეგები: <http://nala.ge/uploads/files/5416f23e0d2a6.pdf>

პოზიციებს, მაგრამ, მათი დაბალი კვალიფიკაციის, განათლების ნაკლებობისა თუ პოლიტიკური ინერტულობის გამო, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უმცირესობების მონაწილეობის ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკური აქტივობა დაბალი იყო და ისინი ყოველთვის თავს არიდებდნენ პოლიტიკური პოზიციების გამოსატყვას. *„პირველ ყოვლისა, [დაბალია] თავად უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობის დეფიციტი და ხარისხი, თავად უმცირესობები ვერ ფუთავენ საკუთარ მესიჯებს, ნაკლებად ჩანან, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობისთვის საჭირო უნარები მათ გააჩნიათ“* (ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტი, კაცი, თბილისი).

ზოგი ექსპერტის შეფასებით, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს (1995-2003) ოდნავ უკეთესი მდგომარეობა იყო ადგილობრივ თვითმმართველობებში უმცირესობების წარმოდგენის თვალსაზრისით.

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე ჩართულობას, ამჟამინდელი მონვევის პარლამენტში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ შვიდი დეპუტატია. ექსპერტები ამბობენ, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული პარლამენტში მუდმივად შეინიშნება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა კლების ტენდენცია. უმცირესობების დეპუტატები თითქმის არასოდეს ერთვებიან აქტიურ პოლიტიკურ დისკუსიაში, შესაბამისად, საკანონმდებლო განხილვებსა თუ ზოგადად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის ხარისხიც საკმაოდ დაბალია. როგორც ექსპერტები აფასებენ, დეპუტატები საკუთარი რაიონის პრობლემებზე არ საუბრობენ და მოსახლეობისთვის თითქმის ყოველთვის მიუწვდომელი არიან. ექსპერტები კიდევ ერთ პრობლემად ასახელებენ იმას, რომ წლების განმავლობაში არ იცვლება პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტა, არ მოდიან ახალი სახეები და ახალი ლიდერები. არ იცვლებიან არც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები და არც ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალი თანამდებობის პირები. ისინი ერთი მმართველი პარტიიდან მეორე მმართველ პარტიაში გადადიან და ამ გზით მუდმივად ინარჩუნებენ სახელისუფლებო პოზიციას. *„ყველა პოლიტიკურ პარტიას, გარდა სახელისუფლებო პარტიისა, ერთი და*

იგივე პრობლემა აქვს; ისინი რეგიონში თანამშრომლების წარმომადგენლობებზე ბევრს არ ხარჯავენ... რეგიონებში მეტ-ნაკლებად გამოჩენილი ხალხი დროშასავით გადაეცემა სხვადასხვა პარტიას“ (ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტი, კაცი, თბილისი).

ექსპერტები ასევე საუბრობენ მმართველი პარტიისადმი მხარდაჭერის ტენდენციასზე. მათი თქმით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ყოველთვის სახელისუფლებო კანდიდატები/პარტიები იმარჯვებენ არჩევნებში. ამომრჩეველთა ამგვარი ქცევის განმარტობებელი, ერთი მხრივ, შეიძლება იყოს ხელისუფლებისადმი ნდობის გამოცხადებით მოპოვებული გარკვეული დაცულობის შეგრძნება და სტატუს-კვოს შენარჩუნების სურვილი, მეორე მხრივ კი, შიში ხელისუფლებისადმი და ძალოვანი სტრუქტურების გავლენა ამომრჩეველთა გადანყვებილებაზე.

ექსპერტების უმეტესობის შეფასებით, ეს პრობლემა გაცილებით მძაფრი იყო წლების წინ – პოლიცია და ძალოვანი სტრუქტურები კომპეტენციის ფარგლებს გარეთ უხეშად ერეოდნენ არჩევნების პროცესში, რითაც გავლენას ახდენდნენ ამომრჩეველთა გადანყვებილებაზე. თუმცა ბოლო არჩევნებზე სიტუაცია შეიცვალა და ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერაც გაიზარდა. არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, ახალგაზრდა თაობებს სხვა შეხედულებები აქვთ და ავტომატურად მხოლოდ მმართველ პარტიას აღარ უჭერენ მხარს.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების ინტერაქციას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ფოკუს-ჯგუფებშიც გამოიკვეთა და ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ პარტიული სისტემა სუსტია, პარტიებს არ ჰყოფნით რესურსები და მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს მუშაობენ რეგიონებში, რაც, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. პარტიებს არ ჰყავთ მუდმივი წარმომადგენლობები რეგიონებში.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების უმრავლესობა ემხრობა ერთ ტენდენციას და თანხმდება საერთო მოდელზე, რაც შემდეგი საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას ითვალისწინებს. კერძოდ, წარ-

მომადგენლობითი ორგანოს ნახევარი ერთმანდატიანი საარჩევნო სიებით აირჩევა და ნახევარი – მრავალმანდატიანი სამხარეო პროპორციული სიებით. თუმცა, კვლევაში მონაწილე ექსპერტებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის უზრუნველყოფა მრავალმანდატიან საარჩევნო სისტემაზე სრული გადასვლის გარეშე საქართველოს პოლიტიკური კულტურისა და ლანდშაფტის მქონე ქვეყნისთვის წარმოუდგენელია.

6. რეკომენდაციები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობისთვის

- სადისკუსიო პლატფორმის მეშვეობით ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება გადამწყვეტილების მიღების პროცესში, რომელშიც, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა გარდა, აქტიურად იქნებიან ჩართული ეროვნული უმცირესობების თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები;
- ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. ამ მიმართულებით მუშაობს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, მაგრამ ეს პროგრამები მხოლოდ საჯარო მოხელეებისთვისაა ხელმისაწვდომი;
- შესამუშავებელია ქართული ენის კურსების პროგრამა ნებისმიერი მსურველისთვის; უნდა არსებობდეს ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი ზოგადი პროფესიული გადამზადების კურსები. უნდა ჩატარდეს ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული მოხელეების რეკვალიფიკაცია, შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით;
- პოლიტიკური ნების კონსოლიდირება საარჩევნო სისტემაში ცვლილებების განსახორციელებლად; ინსტიტუციური

ცვლილებების განხორციელება პროპორციული საარჩევნო სისტემის სრულად იმპლემენტაციის მიზნით. გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გეგმის შემუშავება;

- საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან ერთად დამატებითი მექანიზმების დანერგვა გარდამავალ პერიოდში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით. პოლიტიკური პარტიების ფინანსური ნახალისება საარჩევნო სიების ეროვნული უმცირესობებით დაკომპლექტებისთვის, ასევე საკანონმდებლო ორგანოში ადგილების გამოყოფა ე. წ. reserved seats წესის მეშვეობით.

პოლიტიკური პარტიებისთვის

- ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში პარტიული სტრუქტურის გაძლიერება მუდმივი წარმომადგენლობების გახსნისა და პოლიტიკური/პარტიული ელიტის გადახალისების გზით;
- ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში პარტიების მხრიდან ახალი კადრების მოზიდვა და გადამზადება ისე, რომ პარტიული სტრუქტურა დაბალანსდეს და ადგილობრივი ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობაც გაიზარდოს;
- პარტიული სიების ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებით დაკომპლექტება მათი პოლიტიკური ჩართულობის ნახალისების მიზნით;
- შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება სიების დაკომპლექტებისა და კანდიდატების შერჩევა-გადამზადების, გადამწყვეტილების მიღების გამჭვირვალე მეთოდების გზით, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების ჩართვას გადამწყვეტილების მიღების პროცესში;
- პოლიტიკური პარტიების მხრიდან საარჩევნო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების საჭიროებების ადეკვატური მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის, საჭიროებების შეფა-

სების კვლევის ჩატარების მეშვეობით ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;

- საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთან სისტემატური ინტერაქცია და ინფორმაციის გაზიარება, ეროვნული უმცირესობების ენებზე საარჩევნო პროგრამებისა და ბუკლეტების თარგმნა/გავრცელება როგორც მუნიციპალურ ცენტრებში, ისე სოფლებში;
- პოლიტიკურ პარტიებს შორის პროპორციული საარჩევნო სისტემის მოდელში ოლქების რაოდენობისა და სიდიდის შესახებ კონსენსუსის მიღწევა. მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შექმნა და ოლქების ისეთნაირად დანაწილება, რომ არ დაიყოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონები და დაცული იყოს ხმათა თანაბარპროპორციულობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ასოცირების ხელშეკრულება 2013. საგარეო საქმეთა სამინისტრო. მუხლი 3, 349.

გედენიძე ი. ეროვნული უმცირესობების როლი 2008 და 2012 წლების სა-პარლამენტო არჩევნებში. რადიო თავისუფლება, 5 ივნისი, 2014: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/25412637.html>

გოგასაძე გ., კაჭკაჭიშვილი ი., ბაშელიშვილი ლ. უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი). ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი. იანვარი, 2014: <http://www.mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority-Integration-in-Georgia-geo--Levan-Mikeladze-Foundation.pdf>

კიდურაძე კ. საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი. საარჩევნო სისტემის ანალიზი და რეკომენდაციები (კვლევის შედეგები). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). თბილისი, 2013: <https://emcrighis.files.wordpress.com/2013/10/book-geo-web1.pdf>

კომახია მ. ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში, ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მოამზადა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა. რედ.: მ. ბასილაია., თბილისი, 2008: <http://pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi-Saqartveloshi.pdf>

კომახია, მ. საქართველოს ეთნიკური რუკის ფორმირება. თბილისი, 2011: <http://diversity.ge/geo/resources.php?coi=0%7C13%7C13>

ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების შესახებ (ანგარიში). ცენტრალური საარჩევნო კომისია, თბილისი, 2012: <http://cesko.ge/geo/list/show/11290-angarishi-etnikuri-umciresobebis-amomrchevelta-saarchevno-procesebis-gamartivebisa-da-xelshewyobis-miznit-dagegmili-da-ganxorciebuli-saqmianobebis-shesaxeb-14536>

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩოკონვენცია (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის №1938 – II ს დადგენილებით): <http://www.diversity.ge/files/files/ec-157-geo.pdf>

საარჩევნო სისტემები. დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, გვ. 8-15 (ცესკო; საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი). 2014-2015: <http://electionreforms.ge/files/library/415.pdf>

საარჩევნო სისტემები (საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის განყოფილება): <http://www.parliament.ge/files/1055-16721-957521-saarchevno-sistemebi.pdf>

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. თბილისი, 2015: <http://new.smr.gov.ge/Uploads/—a5f10e90.pdf>

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამები. თბილისი, 2016: <http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/archevnebi-2012/monatsile-partiebi-da-blokebi/partiis-programebi/2453-nomeri-41-saarchevnobloki-qbidzna-ivanishvili-qarthuli-ocnebaq.html?lang=ka-GE>

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საკრებულოს წევრთა სია, 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შედეგები: <http://nala.ge/uploads/files/5416f23e0d2a6.pdf>

საქართველოს არჩევნების ისტორია 1990-2010, ცენტრალური საარჩევნო კომისია. <http://cesko02-01.itdc.ge/uploads/other/9/9077.pdf>

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxe.pdf>

საქართველოს კანონპროექტი, საქართველოს ორგანულ კანონში – „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ, დიდიგური ზ., ჟორჟოლიანი გ., ტყემალაძე ზ., ვახტანგიშვილი მ., ხმალაძე ვ., კობახიძე ი. საქართველოს პარლამენტი, 2015: <http://info.parliament.ge/#law-drafting/11031>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ეროვნული შემადგენლობა, გვ. 9.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის კვლევა, უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი, თბილისი, 2015: <http://electionreforms.ge/files/library/453.pdf>

ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012: <http://www.issageorgia.com/sites/issa/files/uploads/attachments/A4-01-GEO.pdf>

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია, საქართველოს პარლამენტის აპარატი. <http://www.parliament.ge/files/617-8236-358700-samxret-oseti.pdf>

Breaking the Cycle of Exclusion: Minority Rights in Georgia. Minority Rights Group International. London, United Kingdom, 2009. <http://www.refworld.org/pdfid/4b698a592.pdf>

Dahl R. Legal Policy Advisor, Georgia's Parliamentary Electoral System: Options for Advancing Voter Equality, International Foundation for Electoral Systems, USAID of The United States Government, 2011.

Farrell D. M. Electoral Systems. A comparative Introduction. Electoral Reform and the Choice of an Electoral System, pp. 175-190. Palgrave, New York, 2001.

George J. A. (1992-2012) Can Hybrid Regimes Foster Constituencies? Ethnic Minorities in Georgian elections, Electoral Studies XXX (2014) 1–18, 2014: <http://dx.doi.org/10.1016/j.electstud.2014.02.007>

International Institute for Democracy and Electoral Assistance. Electoral System Design Data. European States, 2016: <http://www.idea.int/esd/field.cfm?field=156®ion=50>

International Institute for Democracy and Electoral Assistance. Electoral System Design: New International IDEA Handbook, 2005.

Mirzoev A. Ethnic Minorities in Georgia: Current Situation. October 2008: <http://www.osce.org/odihr/33813?download=true>

Report on Electoral Rules and Affirmative Action for National Minorities Participation in Decision-making Process in European Countries. Venice Commission. Strasbourg, 2005.

Sordia G. (2014) Challenges of Minority Governance and Political Participation in Georgia. Caucasus Analytical Digest N64, 9 July 2014. Tbilisi, Georgia: <http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-security-studies/pdfs/CAD-64-2-5.pdf>

The Handbook of Electoral System Choice. The Strategy and History of Electoral System Choice, pp. 3-81. Editor: Colomer J. M. Palgrave Macmillan, United Kingdom, 2004.

Ullmann A. (2016) Challenges to Coexistence in Georgia, CSS Analysis in Security Policy, №186, Editor: Matthias Bieri. <http://www.css.ethz.ch/en/publications/css-analyses-in-security-policy/details.html?id=/n/r/1/8/nr-186-herausgeforderte-koexistenz-in-ge>

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ლევან კახიშვილი

შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია საქართველოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხარისხის გაანალიზება, მათი უფრო მაღალი ჩართულობის ხელის შეშლელი ფაქტორების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება ყველა მხარისთვის, რომლებსაც პოლიტიკაში უმცირესობების წარმომადგენელი ქალების როლის გაზრდა სურთ.

ფოკუსჯგუფში ჩაინერა ინტერვიუები სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების მოსახლეობის, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და უმცირესობის საკითხებში ექსპერტებთან. ეს ინტერვიუები გვაძლევს საფუძველს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა უკიდურესად შეზღუდულია და მათ ჩართულობას აბრკოლებს ორი ტიპის ფაქტორი. პირველი სტრუქტურული ხასიათისაა და მოიცავს საარჩევნო სისტემას, პოლიტიკურ პარტიებში წევრთა მოზიდვის პრაქტიკას, აგრეთვე სახელმწიფო ენის ცოდნას. მეორე, კულტურული ფაქტორები მოიცავს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების წარმოდგენას და შიშს პოლიტიკის მიმართ, უმცირესობებით დასახლებულ თემებში და ზოგადად ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პირველი – საარჩევნო სისტემის შეცვლითა და დახურული სიების პირობებში რეგიონულ-პროპორციული წარმომადგენლობის შემოღებით, სავარაუდოდ, უზრუნ-

ველყოფილი იქნება უკეთესი ინსტიტუციური ჩარჩო პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების ქალების წარმომადგენლობის გასაზრდელად. მეორე – პოლიტიკურ პარტიებში წევრთა მოზიდვის პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია და ქალთა საბჭოების შექმნა ხელს შეუწყობს პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების ქალების წარმომადგენლობითობის ზრდას. მესამე – ეროვნული უმცირესობების ქალების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფა ამ პროცესში უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მეოთხე – აუცილებელია, შესაბამისი ზომების მიღება ეროვნული უმცირესობების ქალების მიერ პოლიტიკის აღქმასთან დაკავშირებით. უნდა აღმოიფხვრას ამჟამად არსებული იმედგაცრუება და შიში, რათა მათ უფრო აქტიურად მონაწილეობის სურვილი გაუჩნდეთ. დაბოლოს, უნდა გაქარწყლდეს გენდერთან დაკავშირებული ცრურწმენები და სტერეოტიპები, რომელთა გამოც ეროვნული უმცირესობების ქალები წნეხის ქვეშ ექცევიან; მათი დაძლევის უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს მიეცემათ პოლიტიკაში ჩართულობის მეტი შესაძლებლობა.

1. შესავალი

2014 წელს, წინა წლის მსგავსად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროინტეგრაციის ინდექსის (EaP) მიხედვით, საქართველოს პროგრესი ღრმა და მდგრადი დემოკრატიის გზაზე შეფასდა როგორც ყველაზე მაღალი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის.¹ მართლაც დადებითი მიღწევის მიუხედავად, აუცილებელია ტრანზიციის პროცესის სირთულეების გათვალისწინება. ამ პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პოლიტიკაში მოქალაქეების მონაწილეობა, რომლის გარეშეც რთულია ფუნქციური დემოკრატიის წარმოდგენა. საქართველოში ნაკლებსავარაუდოა ქალების, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების,

¹ იხ.: Lovitt, J., 2014. “European Integration Index 2014 for Eastern Partnership Countries”, p. 16. Accessed on 5 December 2015: <http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP%20Index%202014.pdf> Kvashuk, O., 2013. “European Integration Index 2013 for Eastern Partnership Countries”, p. 16. Accessed on 5 December 2015: <http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP-Index-2013-0.pdf>

აქტიური მონაწილეობა პოლიტიკაში, კაცებთან შედარებით. ამ პრობლემას ამწვავებს მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის ისიც, რომ ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებული ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. შემოთავაზებულ დოკუმენტში განხილულია ამ ორ რეგიონში ეროვნული უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის დონე.

პოლიტიკაში ჩართულობის კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია რთული ამოცანაა. დოკუმენტში გამოყენებულია ვერბას, შლოცმანისა და ბრედის ერთობლივ ნაშრომში მოცემული განმარტება. მათი აზრით, პოლიტიკაში მონაწილეობა არის „საქმიანობა, რომლის მიზანი ან შედეგი მთავრობის მოქმედებებზე გავლენის მოხდენაა – ან პირდაპირი გზით, საჯარო პოლიტიკის შემუშავებაზე ან განხორციელებაზე ზეგავლენით, ან არაპირდაპირ, იმ ადამიანების შერჩევაზე გავლენით, რომლებიც აღნიშნულ პოლიტიკას ქმნიან“.² პოლიტიკაში მონაწილეობის ეს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები გამოიხატება ხუთი სახის ქმედებით. ესენია: პოლიტიკის შესახებ დისკუსიებში მონაწილეობა; ხმის მიცემა; ადვოკატირება; პარტიის წევრობა და აქტივიზმი; არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობა.³ საქართველოში პოლიტიკაში მონაწილეობის დონის ზუსტად გაზომვას ხელს უშლის ხელმისაწვდომი მონაცემების სიმწირე.

წინამდებარე დოკუმენტი ემყარება კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებულ რაოდენობრივ მონაცემებს, ასევე ამ კვლევის განმავლობაში განხორციელებულ სავსე სამუშაოებს. 2015 წლის მაის-ივნისში 4 ფოკუსჯგუფში ჩაიწერა ინტერვიუები საქართველოს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. 2 ფოკუსჯგუფი მუშაობდა მარნეულში, ქვემო ქართლის რეგიონში; დისკუსიაში მონაწილეობდა

² Verba, S., Schlozman, K. L. and Brady, H., 1995. *Voice and Equality: Civic Voluntarism in American Politics*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

³ სამოქალაქო ჩართულობის კონცეპტის ოპერაციონალიზაციის დეტალური მიმოხილვა, რომელიც პოლიტიკურ მონაწილეობასაც მოიცავს, იხ.: Adler, R. P. and Goggin, J., 2005. “What Do We Mean By ‘Civic Engagement’?” *Journal of Transformative Education* 3, pp: 236-253.

უმცირესობების წარმომადგენელი 12 ქალი – 6 უმაღლესი განათლებით, ხოლო დანარჩენი 6 არც აპირებდა უმაღლესი განათლების მიღებას. ფოკუსჯგუფების კიდევ 2 შეხვედრა გაიმართა ახალქალქში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ამჯერად, გამოკითხვა-ინტერვიუში მონაწილეობდა უმცირესობების წარმომადგენელი 14 ქალი, რომელთაგან 7 უმაღლესდამთავრებული იყო, დანარჩენს კი ასეთი განათლება არ მიუღიათ. მონაწილეთა ასაკი განსხვავდებოდა, დაბადების წლები მერყეობდა 1945-1992 წლებს შორის, რაც საკმაოდ ფართო სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, ჩანერილია 7 სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან და საქართველოს 5 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან. ეს პარტიებია: „თავისუფალი დემოკრატები“, „ახალი მემარჯვენეები“, რესპუბლიკური პარტია, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით, კვლევას გარკვეული შეზღუდვები აქვს. დოკუმენტის მიზანი არ არის პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების ქალების მონაწილეობის დონის გაზომვა და განზოგადება. თუმცა ფოკუსჯგუფებში განეული სამუშაო და სიღრმისეული ინტერვიუები წარმოადგენს მყარ საფუძველს ტენდენციებისა და საქართველოში ეროვნული უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხასიათის შესაფასებლად. შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ძირითადი სტრუქტურული და კულტურული ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ეროვნული უმცირესობების ქალების პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობას. წარმოდგენილი ფაქტორების ჩამონათვალი, რასაკვირველია, ვერ იქნება ამომწურავი; საკითხის უფრო ღრმა ანალიზისთვის საჭიროა შემდგომი კვლევა. თუმცა უკვე ჩატარებული კვლევის შედეგები მაინც აქტუალურია საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც საკუთარ რიგებში ეროვნული უმცირესობების ქალების რაოდენობის გაზრდას ცდილობენ. თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ასეთი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის დონეზე, ამის განხილვა მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რომლებსაც ამ პრობლემის გადასაჭრელად ზომების მიღება სურთ.

წარმოდგენილ ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია საქართველოში პოლიტიკაში მონაწილეობის ზოგადი ტენდენციების მოკლე მიმოხილვას. შემდეგ, სიტუაციის ანალიზს პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების ქალების მონაწილეობის დაბალი დონის გათვალისწინებით. ამ ნაწილში პოლიტიკაში მონაწილეობა განხილულია როგორც ორმხრივი პროცესი, რომლის მთავარი მონაწილეები მოქალაქეები და პოლიტიკური პარტიები არიან. გამოთქმულია ვარაუდი, რომ პოლიტიკაში მონაწილეობის მაღალი დონის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ორივე მხარეს (ეროვნული უმცირესობების ქალებსაც და პოლიტიკურ პარტიებსაც) სურს და შეუძლია თანამშრომლობა. დაბოლოს, ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.

2. პოლიტიკაში მონაწილეობის არაპირდაპირი ფორმები

მონაწილეობის არაპირდაპირი ფორმები მოიცავს პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობასა და არჩევნებში ხმის მიცემას. ეს საქმიანობა მარტივი ხასიათისაა და არ სჭირდება მოქალაქეთა მხრიდან დიდი ძალისხმევა, თუმცა გვანჯდის მნიშვნელოვან ინფორმაციას კვლევის მონაწილეების პოლიტიკაში ჩართვის ხარისხის შესახებ. რასაკვირველია, პოლიტიკის საკითხების განხილვა გაცილებით უფრო იოლია, ამიტომაც უფრო ხშირად გვხვდება პოლიტიკაში მონაწილეობის ეს ფორმა, არჩევნებზე ხმის მიცემასთან შედარებით. მომდევნო ორ ნაწილში, შესაბამისად, განხილულია საქართველოში ეროვნული უმცირესობების ქალებისთვის დამახასიათებელი ქცევის ორი სახის ტენდენცია.

კვლევის ფარგლებში ფოკუსჯგუფებში ჩანერილი ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები გვაჩვენებს, რომ ეროვნული უმცირესობების ქალებისთვის უფრო დამახასიათებელია არაპირდაპირი მონაწილეობა, ვიდრე მონაწილეობის პირდაპირი ფორმები. მათთვის პოლიტიკური საკითხების განხილვა ყველაზე მარტივი ფორმაა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ ისინი პოლიტიკაზე ლაპარაკობენ ყოველდღიური საქმიანობისას და შესაბამის გარემო პირობებში: ოჯახში, სამუშაო

ადგილზე, მეგობრებთან ან/და მეზობლებთან შეკრების ადგილებში და ა. შ. გამოიკვეთა ტენდენცია, განსაკუთრებით ქვემო ქართლის რეგიონში, რომლის თანახმადაც, ასეთ განხილვებში მეუღლეს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა. პოლიტიკის შესახებ ეროვნული უმცირესობების ქალების მოსაზრებებზე ქმრების გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა უმაღლესი განათლების არმქონე და ძირითადად დაუსაქმებელ ქალებზე (შესაძლოა, ისინი არც ეძებდნენ სამუშაოს). მეორე მხრივ, უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ეროვნული უმცირესობების ქალებს დამოუკიდებელი მოსაზრება ექნებათ პოლიტიკურ საკითხებზე. თუმცა პოლიტიკაში მონაწილეობის დონე კვლევის მონაწილეთა ამ კატეგორიაშიც დაბალია. ფოკუსჯგუფებში განხილვების შედეგად მოპოვებული მონაცემები შეესაბამება გენდერულ ქრილში ამომრჩევლების არჩევნებში აქტივობის ზოგად ტენდენციას (რაც ვრცლად განხილულია ქვემოთ). ჩვენი კვლევის მთავარი სამიზნე ეროვნული უმცირესობების ქალები არიან; შესაბამისად, შეგვიძლია მტკიცება იმისა, რომ პოლიტიკაში მათი პირდაპირი და/ან არაპირდაპირი მონაწილეობის დონე კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე ეთნიკური ქართველი ქალებისა – მათგან განსხვავებით, ეროვნული უმცირესობების ქალები მიეკუთვნებიან საზოგადოების მონყვლად ჯგუფს, როგორც სქესის, ისე ეთნიკურობის თვალსაზრისით.

უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში აშკარად შეიმჩნევა არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის კლების ტენდენცია. სწორედ ამიტომ აქტუალური გახდა, და დაიწყო კიდეც, მსჯელობა იმის შესახებ, რომ შესაძლოა ხალხმა დაკარგა ნდობა დემოკრატიისადმი.⁴ საქართველოში, როგორც განვითარებადი დემოკრატიის ქვეყანაში, მოსალოდნელია ამომრჩეველთა მაღალი მონაწილეობა, თუმცა, ასეთი მოლოდინის მიუხედავად, 2008 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში გამართულ არჩევნებში ეს მაჩვენებელი 61 პროცენტზე დაბალი იყო. ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში: ორჯერ საპარლამენტო, ორჯერ საპრე-

⁴ იხ.: Dalton, R. J., 1998. *Citizen Politics in Western Democracies*. New Jersey: Chatham. Pippa Norris (Ed.), 1999. *Critical Citizens: Global Support for Democratic Governance*. Oxford: Oxford University Press.

ზიდენტო და ორჯერ ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებში. მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვან ეტაპებზე, ძლიერ პოლარიზებული პოლიტიკური მოვლენების ან საზოგადოების მაღალი უკმაყოფილების ფონზე, რაც გამოიხატა საპროტესტო აქციებში, არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია, თუმცა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით – მაინც საკმაოდ დაბალი.⁵

ცესკოს მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მომზადებულ ამომრჩეველთა სიაში ქალი ამომრჩევლები წარმოადგენენ უმრავლესობას, ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის 53,7 პროცენტს.⁶ თუმცა ამომრჩეველთა მონაწილეობა შეიძლება ორგვარად გაანალიზდეს. პირველი ვარიანტი მოიცავს იმ ქალი ამომრჩევლების პროცენტული წილის გამოთვლას, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა. მეორე მეთოდის მიხედვით კი განისაზღვრება, ქალი ამომრჩევლების რა წილი მივიდა არჩევნებზე. ეს ორი მეთოდი განსხვავებულ სურათებს გვაძლევს. რაც შეეხება მთლიანობაში ქალების მონაწილეობას, 2014 წელს ქალების წილი შეადგენდა ყველა ამომრჩევლის 50,2 პროცენტს, რაც შეიძლება მივანეროთ ქალი ამომრჩევლების ოდნავ მაღალ რაოდენობას.⁷ თუმცა, საკუთრივ ქალთა მონაწილეობა, ე. ი. არჩევნებში მონაწილე ქალთა რაოდენობის შეფარდება საარჩევნო სიებში ქალთა რაოდენობასთან, დაახლოებით 6 პროცენტით ნაკლებია. კაცებისთვის იგივე მაჩვენებლები შესაბამისად 40,4 პროცენტი და 46,6 პროცენტია.⁸


⁵ იხ.: The International Institute for Democracy and Electoral Assistance, “Voter Turnout”. Accessed on 27 September 2014: <http://www.idea.int/uid/fieldview.cfm?field=224®ion=145>

⁶ საინფორმაციო სივრცე ქალი ამომრჩევლებისთვის, თ. გ. „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გენდერული ანალიზი“, მოპოვებულია 2015 წლის 17 ივლისს: <http://qaliskhma.ge/uploads/survey.pdf>

⁷ ცესკო: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, 2014. „2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მისული ამომრჩევლების გენდერული შემადგენლობა“, მოპოვებულია 2015 წლის 21 ივლისს: <http://www.cesko.ge/uploads/other/29/29182.pdf>

⁸ ბაგრატია, თ., 2015. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გენდერული ანალიზი. მოპოვებულია 2015 წლის 17 ივლისს: <http://www.qaliskhma.ge/uploads/survey-report-final.pdf>

დიაგრამა 1: საქართველოში ამომრჩევლების მონაწილეობა არჩევნებში 2008 წლიდან



წყარო: ადაპტირებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებიდან: www.cec.gov.ge

რაც შეეხება კონკრეტულად უმცირესობებით დასახლებულ რაიონებს, ეს მონაცემები ნაჩვენებია პირველ ცხრილში. თითოეულ შემთხვევაში, ამომრჩეველთა შორის ქალი ამომრჩევლების წილი 50 პროცენტს აღემატება. აბსოლუტური თვალსაზრისით, ქალი ამომრჩევლების მაღალი რიცხვი განაპირობებს მთლიან მონაწილეობაში ქალთა მაღალ წილს. თუმცა, იმ ქალთა წილის ანალიზის შედეგად, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, ჩანს, რომ არჩევნებში კაცების მონაწილეობის ალბათობა უფრო მაღალია. ერთადერთი გამონაკლისია დმანისი, სადაც არჩევნებში ქალი ამომრჩევლების მონაწილეობა ოდნავ მაღალი იყო კაცებთან შედარებით. მეორე მხრივ, ქალთა მონაწილეობა არჩევნებში მერყეობს მეტისმეტად დაბალი 21,5 პროცენტიდან მარნეულში, 51,5 პროცენტამდე დმანისში. უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში კაცების არჩევნებში მონაწილეობის ალბათობა, საშუალოდ, 5,7 პროცენტით მაღალი იყო ქალებთან შედარებით. ამ ციფრების გაანალიზებისას საჭიროა სიფრთხილე –

ისინი ასახავს სიტუაციას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მაგრამ ეს რეგიონები მხოლოდ ეროვნული უმცირესობებით არ არის დასახლებული. იქ ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ და სტატისტიკურ მონაცემებში ისინიც იგულისხმებიან. მართალია, კვლევისთვის მონაცემები სრულყოფილი არ არის, მაგრამ მაინც გვაძლევს შესაძლებლობას, მიახლოებით მაინც შევაფასოთ, თუ როგორი შეიძლება იყოს ეროვნული უმცირესობების ქალების არჩევნებში მონაწილეობის დონე.

ცხრილი 1: უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რაიონებში ქალების მონაწილეობა არჩევნებში (ქალაქების მიხედვით)

ქალაქი	ქალი ამომრჩევლების აქტივობა (%)	კაცი ამომრჩევლების აქტივობა (%)
გარდაბანი	31,1	42,1
მარნეული	21,5	47,1
ბოლნისი	34,3	41,9
დმანისი	51,5	50,6
წალკა	43,7	43,8
ახალქალაქი	48,2	49,6
ნინოწმინდა	51,2	52,0

წყარო: ადაპტირებულია: ბაგრატი, თ., 2015. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გენდერული ანალიზი. მოპოვებულია 2015 წლის 17 ივლისს: <http://www.qaliskhma.ge/uploads/survey-report-final.pdf>

ზემოთ, ორ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი ადასტურებს პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების ქალების არაპირდაპირი მონაწილეობის დაბალ დონეს, მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი მონაწილეობა პოლიტიკური საქმიანობის შედარებით მარტივი ფორმაა. ეს მიაწინებს იმაზეც, რომ, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაბალი იქნება პირდაპირი ფორმით პოლიტიკაში მათი მონაწილეობა. ამ კვლევის განმავლობაში შეგროვებული მონაცემები ადასტურებს ასეთ მოლოდინს (შესაბამისი ანალიზი მოცემულია ქვემოთ).

3. პოლიტიკაში მონაწილეობის პირდაპირი ფორმები

რაც შეეხება პოლიტიკაში მონაწილეობის პირდაპირ ფორმებს, ისეთებს, როგორებიცაა ადვოკატირება და კანდიდატის სახით არჩევნებში მონაწილეობა, ამ მხრივ სიტუაცია კიდევ უფრო მწვავეა. ფოკუსჯგუფებში ჩანერილი ინტერვიუებიდან მოპოვებული მონაცემები წარმოაჩენს ეროვნული უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის უკიდურესად დაბალ დონეს. შეზღუდულია პოლიტიკის თემაზე ადვოკატირებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მათი ჩართულობა; თუ ისინი ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობენ, ეს უცილობლად უკავშირდება მათ ოფიციალურ სამსახურს. მაგალითად, კვლევის ზოგიერთი მონაწილე მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში და, სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, მათ ზოგჯერ უწევთ დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ადვოკატირების კამპანიებში ჩაბმა. საქართველოში ეს ვითარება გასაკვირი არც უნდა იყოს პოლიტიკაში მონაწილეობის ზოგადად დაბალი დონის გათვალისწინებით. ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის შესახებ მონაცემების ანალიზიც ადასტურებს, რომ ნაკლებად სავარაუდოა პოლიტიკაში საქართველოს მოქალაქეების აქტიური მონაწილეობა პირდაპირი ფორმით.⁹


პოლიტიკის თემაზე ადვოკატირების გაზომვა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, თუმცა ამ კვლევაში გაანალიზებული და გამოყენებულია შემდეგი პარამეტრები: საჯარო შეხვედრაზე დასწრება, პეტიციაზე ხელის მოწერა და მედიასთან ურთიერთობა. „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემების მიხედვით, პოლიტიკაში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია (იხ.: მე-2 დიაგრამა).

კვლევის მონაცემებით, იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც ინტერვიუმდე ბოლო 6 თვის განმავლობაში ხელი მოაწერეს პეტიციას, მათ შორის, ონლაინპეტიციას, უკიდურესად დაბალია და შეადგენს მხოლოდ 4 პროცენტს. ეს მაჩვენებელი იმდენად დაბალია, რომ ასაკობრივი კატეგორიების ან სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება ვერ იქნება: შედარებით ახალგაზრდა რესპონდენტებში ეს ციფრი 5 პროცენტ-

⁹ იხ.: Kakhishvili, L., 2015. "Patterns of Participation in Georgia", in M. Sully (ed.), *Governance and Participation: The Black Sea*. Vienna: Institute of Go-Governance.

ტია, ხოლო 56 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში – 3 პროცენტი. იგივე ვრცელდება მედიასთან დაკავშირებაზე. მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 4-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ინტერვიუმდე ბოლო 6 თვის განმავლობაში მიუწერია წერილი ან დაურეკავს გაზეთში, ტელევიზიაში ან რადიოში. კვლავ შეიმჩნევა მცირედი განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუმცა განსხვავება ამჯერადაც უმნიშვნელოა.

დიაგრამა 2: მოქალაქეთა ადვოკატირება პოლიტიკის თემაზე საქართველოში 2013 წელს



წყარო: ადაპტირებულია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრიდან, 2013 წ. „კავკასიის ბარომეტრი“. მოპოვებულია ODA-ს მეშვეობით: www.caucasusbarometer.org

პეტიციის ხელმოწერასა და მედიასთან დაკავშირებას საქართველოს მოქალაქეები ხშირად არ მიმართავენ, სამაგიეროდ, როგორც ჩანს, მათში უფრო პოპულარულია საჯარო შეხვედრებში მონაწილეობა. ფაქტობრივად, ალბათობა იმისა, რომ საქართველოს საშუალო მოქალაქეს საჯარო შეხვედრაში მონაწილეობა ექნება მიღებული, ოთხჯერ მაღალია პეტიციის ხელმოწერის ან მედიასთან დაკავშირების ალბათობასთან შედარებით. რესპონდენტთა 17 პროცენტი აღნიშნავს, რომ ისინი დასწრებიან საჯარო შეხვედრას. ამჯერადაც, შედარებით ახალგაზრდა თაობებში (18-35 წლისა და 36-55 წლის), ეს მაჩვენებელი 18 პროცენტს უდრის და 4 პროცენტით მაღალია 56 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობასთან შედარებით.

პოლიტიკის თემაზე ადვოკატირებაში მონაწილეობის დონის გასაზომად გამოყენებული სამი ცვლადის ანალიზით ვიღებთ მნიშვნე-

ლოვან და საგულისხმო სურათს საქართველოს მოქალაქეთა ქცევის შესახებ. ამკარაა, რომ საქართველოში ამ მხრივ მოქალაქეთა ჩართულობის დონე დაბალია.

4. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე

საქართველოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის დაბალი დონე განპირობებულია მთელი რიგი სტრუქტურული, კულტურული ან ქცევითი ფაქტორებით. პირველი მოიცავს ქვეყანაში საარჩევნო სისტემის ტიპს; საქართველოს პოლიტიკური პარტიების გადანაცვლებების მიღების პროცესს, რომლის მიხედვითაც ხდება წევრების მოზიდვა; და ზოგადად ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით კი ამ უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალ დონეს. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიების შიდადემოკრატიულობის ხარისხი დიდწილად განსაზღვრავს კიდევ იმას, თუ ვინ შეირჩევა კანდიდატად მაჟორიტარული არჩევნებისთვის ან ვინ მოხვდება პროპორციულ სიებში, განსაკუთრებით წამყვან პოზიციებზე. შერჩევის პროცესის ანალიზი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმის ასახსნელად, თუ რატომ არ უკავიათ უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს მონაწილეობა პოზიციები ამ სიებში. მეორე მხრივ, ეროვნული უმცირესობების ქალები შინაგანად მზად არ არიან, აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში და ეს პრობლემა საზოგადოების ამ სეგმენტის კულტურულ შეზღუდვებს უკავშირდება. ფოკუს-ჯგუფებში მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, კულტურული შეზღუდვები მოიცავს ორ მთავარ ფაქტორს. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ ეროვნული უმცირესობების ქალების უმეტესობა პოლიტიკას განიხილავს როგორც „ბინძურ საქმეს“ და არ სურს იყოს მისი ნაწილი. ამასთან, აქტიურ პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაშიც, უფრო ხშირად ისინი განიცდიან მათი უშუალო გარემოს წნეხს, მათ შორის ოჯახის წევრების, ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან, რათა ეს სურვილი ჩაუხშონ. ასეთი ზემოქმედება დიდად არის დამოკიდებული გენდერულ სტერეოტიპებზე, ცრურწმენებსა და იმაზე, თუ რა როლს ანიჭებს კაცი ქალს უპირატესად პატრიარქალურ საზოგადოებაში. მომდევნო ქვე-

თავებში განხილულია ამ სტრუქტურული და კულტურული ფაქტორების ზეგავლენა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე.

4.1. სტრუქტურული ფაქტორები

სტრუქტურული ფაქტორები განსაზღვრავს ობიექტურ რეალობას, რომლის პირობებშიც უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს უნევთ მოქმედება. ეს ფაქტორები წარმომადგენს სისტემის ინსტიტუციურ ასპექტებს, რაც ხელს უშლის პოლიტიკაში მათ მონაწილეობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ფაქტორებით იზღუდება არა მხოლოდ უმცირესობების ქალების მონაწილეობა, არამედ ასევე ეთნიკური ქართველი ქალებისა და საზოგადოების სხვა მონყვლადი ჯგუფების მონაწილეობაც. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავებში გაანალიზებულია, თუ რა გავლენას ახდენს საარჩევნო სისტემები, პარტიებში განწევრიანების პრაქტიკა და სახელმწიფო ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე.

4.1.1. საარჩევნო სისტემა

საქართველოში მოქმედებს შერეული საარჩევნო სისტემა. საკანონმდებლო ორგანოში 150 ადგილია, აქედან 77 დეპუტატი აირჩევა პროპორციული, ხოლო დანარჩენი 73 – მაჟორიტარული წესით. მეცნიერები ვერ თანხმდებიან, ამ ორიდან რომელი სისტემა ასახავს ამომრჩეველთა მოსაზრებებს უკეთ. გარდა ამისა, საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებული ნორმატიული არგუმენტები ითვალისწინებს ასევე სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. ბლეისი (Blais, 1991)¹⁰ ამ ორი სახის საარჩევნო სისტემის უპირატესობებს ასე აჯამებს: პროპორციული სისტემები ზუსტი და სამართლიანია, შეუძლია უზრუნველყოს მრავალფეროვნება და არჩეული კანდიდატის პასუხისმგებლობა, და აქვს ლეგიტიმურობისა და წესრიგის მყარი საფუძველი; მეორე მხრივ, მაჟორიტარული სისტემები უზრუნველყოფს პარლამენტარების დიდ მხარდაჭერას, გამოირიცხება ძლიერი ექსტრემისტული პარტიები და ასევე აქვს

¹⁰ Blais, A., 1991. "The Debate over Electoral Systems". International Political Science Review. Vol. 12. №3, pp: 239-260.

ლეგიტიმურობისა და წესრიგის მყარი საფუძველი. პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების ამ ნორმატიული ასპექტების, ასევე კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური კულტურის სპეციფიკის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, მონყვლადმა ჯგუფებმა რა შემთხვევაში შეიძლება ისარგებლონ აქტიურ პოლიტიკაში უფრო მაღალ დონეზე ჩართვის შესაძლებლობით.

პროპორციული საარჩევნო სისტემის არსებობისას პოლიტიკური პარტიები ადგენენ სიების შემადგენლობას, ხოლო ამომრჩევლები უბრალოდ ხმას აძლევენ მათთვის სასურველ პარტიას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, წესისამებრ (და ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებს, სადაც პოლიტიკური კულტურა საკმარისად არ არის განვითარებული, როგორც, მაგალითად, საქართველოში), ამომრჩეველთა უმრავლესობამ არ იცის, კონკრეტულად ვინ არის იმ პარტიის სიაში, რომელსაც ხმას აძლევს. აქედან გამომდინარე, პროპორციული სისტემით გამართული არჩევნების შემთხვევაში შესაძლებელია საკანონმდებლო ორგანოში ქალების, ეროვნული უმცირესობების ან სხვა სახის მონყვლადი ჯგუფების უფრო მაღალი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. თუ პოლიტიკური პარტიები გადაწყვეტენ, სიაში შეიყვანონ მეტი ქალი ან უმცირესობების მეტი წარმომადგენელი, ასეთი ჯგუფები უფრო მარტივად მოხვდებიან პარლამენტში. თუ ვივარაუდებთ, რომ პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური განათლება უფრო მაღალია და სურთ, წარმომადგენლობა იყოს მრავალფეროვანი და საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყოს საზოგადოების ყველა ჯგუფი, მაშინ გამოსადეგი იქნება პროპორციული საარჩევნო სისტემა.

მეორე მხრივ, პროპორციული წარმომადგენლობა არ არის საკმარისი პირობა ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების შემთხვევაში. აუცილებელია ეროვნული პროპორციული ან რეგიონული პროპორციული წარმომადგენლობის, აგრეთვე საარჩევნო სისტემების სპეციფიკური სახეების, მაგალითად, ღია თუ დახურული სიების გავლენის გათვალისწინება. მეცნიერები ზოგადად თანხმდებიან, რომ რეგიონული პროპორციული სისტემები დახურული სიებით ოპტიმალურია ქალთა წარმომადგენლობის ხელშესაწყობად. ეს განპირობებულია იმით, რომ რეგიონული პროპორციული სისტემების დროს გამოიყენება როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემები (მაჟორიტარული სისტემის

დადებითი მხარეების შესახებ იხ. ქვემოთ), რადგან ამომრჩევლები და კანდიდატები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე ეროვნული პროპორციული სისტემის პირობებში. რაც შეეხება ღია და დახურულ სიებს, პატრიარქალურ საზოგადოებაში დახურული სიები უფრო მაღალი წარმატებით ზრდის ქალთა წარმომადგენლობას – ჩვეულებისამებრ, უფრო ნაკლები ქალია ნომინირებული იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს ეძლევა პარტიული სიებიდან მათთვის სასურველი კანდიდატის არჩევის შესაძლებლობა. ამასთან, დახურული სიების შედგენისას აუცილებელია, პოლიტიკურმა პარტიებმა სიებში პირველ რიგში ჩართონ ქალები, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს პოლიტიკური პარტიების მზადყოფნას, კანდიდატად დაასახელონ უმცირესობების წარმომადგენელი უფრო მეტი ქალი. ამგვარ მსჯელობას კი მივყავართ შეკითხვასთან: აუცილებელია თუ არა გენდერული კვოტების დანესება ქალების უფრო უკეთესი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად?

მართალია, მაჟორიტარული სისტემით უზრუნველყოფილია ძლიერი კავშირი ამომრჩევლებსა და დეპუტატებს შორის, მაგრამ უმცირესობათა ჯგუფებისთვის ეს სისტემა მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის. საარჩევნო ოლქში უმცირესობების წარმომადგენელ კანდიდატს ხმას არ მისცემენ, რადგან ვერ იგრძნობენ იმ კავშირს, რაც მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში არსებობს. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ გენდერთან დაკავშირებულ ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს, ქალებისთვის (რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე) უფრო რთულია, კონკურენცია გაუწიოს ეროვნული უმრავლესობის წარმომადგენელ კაც კანდიდატებს. მაგალითად, 2013 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ, საქართველოს მოსახლეობის 61 პროცენტის აზრით, „კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან“, ხოლო 66 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ „პოლიტიკა უფრო კაცის საქმეა, ვიდრე ქალების“.¹¹ ამგვარი დამოკიდებულება არ ეხება მხოლოდ პოლიტიკას. გამოკითხულთა 58 პროცენტი ფიქრობს, რომ ზოგადად კაცები ქალებთან შედა-

¹¹ UNDP Georgia, 2013. “Public Perception of Gender Equality in Politics and Business”. Accessed on 22 July 2015: <http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE-UNDP-Gender-%20Research-ENG.pdf>

რებით უკეთესი ბიზნესლიდერები არიან.¹² ანალოგიურად, საზოგადოების 50 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ჩვეულებრივ, კაცს ნებისმიერი [აქცენტი დამატებულია] საქმიანობა ქალთან შედარებით უკეთ გამოსდის“.¹³ ქალების მიმართ ასეთი განწყობის პირობებში რთულია დაიჯერო, რომ ამომრჩეველი იოლად განწყობა ქალი კანდიდატისთვის ხმის მისაცემად. შესაბამისად, მაჟორიტარული სისტემის ნორმატიული უპირატესობის ფაქტორმა შეიძლება ხელი შეუშალოს პოლიტიკაში ქალების აქტიურ პირდაპირ მონაწილეობას.

საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა იციან ამ პრობლემის შესახებ და სწორედ ამიტომ თავს იკავებენ მაჟორიტარულ არჩევნებში ქალი კანდიდატების დასახელებისგან, თუ სრულიად დარწმუნებული არ არიან, რომ კანდიდატი გაიმარჯვებს. ვინაიდან დაბალია ქალი კანდიდატის მიერ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვების ალბათობა, პოლიტიკურმა პარტიებმა ქალი კანდიდატები პროპორციულ სიებში უნდა ჩასვან. უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყველა საარჩევნო სუბიექტის ყველა კანდიდატს შორის ქალები მხოლოდ 28,74 პროცენტს შეადგენდნენ.¹⁴ თუ შევადარებთ პროპორციული და მაჟორიტარული ხმების მიხედვით ქალი კანდიდატების პროპორციულ წილს, განსხვავება ორი საარჩევნო სისტემის მიხედვით აშკარაა: მაჟორიტარი კანდიდატების მხოლოდ 13,75 პროცენტი იყო ქალი, პროპორციული სიების მიხედვით კი – 31,52 პროცენტი.¹⁵ თუმცა 16 საარჩევნო სუბიექტის სიებში პირველ 50 კანდიდატს შორის სულ 202 ქალი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ თითოეულ პოლიტიკურ პარტიას პირველ ხუთ ათეულში 13-ზე ნაკლები ქალი ჰყავდა ჩართული.¹⁶

¹² UNDP Georgia, 2013. “Public Perception of Gender Equality in Politics and Business”. Accessed on 22 July 2015: <http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE-UNDP-Gender-%20Research-ENG.pdf>

¹³ იქვე.

¹⁴ OSCE International Elections Observation in Georgia, 2012. “Statement of Preliminary Findings and Conclusions”. Accessed on 22 July 2015: <http://www.osce.org/ka/odihr/elections/94617>

¹⁵ იქვე.

¹⁶ ბაგრატია, თ., 2013. „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში“. ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში: ექსპერტული ანალიზის კრებული. მოპოვებულია 2015 წლის 12 ივლისს: <http://www.nimd.ge/uploads/files/5318Women-Political-Participation-Expert-Papers-Canda-fund-2013.pdf>

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პროპორციული სიის 155-კანდიდატიან სიაში მხოლოდ 16 ქალი ჰყავდა, აქედან პირველ ხუთ ათეულში – მხოლოდ 9, ხოლო „ქართული ოცნების“ 200-კანდიდატიან პროპორციულ სიაში 33 ქალი იყო წარმოდგენილი, აქედან პირველ ხუთ ათეულში – 8.¹⁷ ამდენად, „16 საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ 6-მა შეასრულა ნებაყოფლობითი კვოტა, რომლის საფუძველზეც პარტიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა 10 პროცენტზე მეტი დაფინანსების მიღების უფლება, თუ პარტიულ სიებში ყოველ 10 კანდიდატს შორის 2 წარმომადგენელია განსხვავებული სქესის“. ამ 6 სუბიექტს შორის არც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო და არც „ქართული ოცნება“.¹⁸ თუმცა, მთლიანობაში, პროპორციული სიების პირველ პოზიციებზე ჩართული ყველა კანდიდატის 20 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.¹⁹ მეორე მხრივ, მაჟორიტარული ოლქების 46,5 პროცენტში ქალი კანდიდატები საერთოდ არ იყვნენ წარდგენილი.²⁰

აღნიშნული პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ პარტიებში შიდადემოკრატიულობის ხარისხს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში პარტიული სისტემა არ არის საკმარისად ინსტიტუციონალიზებული, გასაგები ხდება, თუ რატომ არის ნათლად განსაზღვრული პროცედურების ნაკლებობა პოლიტიკურ პარტიებში წევრთა მოზიდვისა და კანდიდატთა ნომინირების დროს.

4.1.2. რეკრუტირების პრაქტიკა

პოლიტიკური პარტიების შიდადემოკრატიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ახალი წევრების მოზიდვა, ასევე როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევა. საქართველოში პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალური განვითარების ნაკლებობა ნიშნავს, რომ სათუთა, ეს ორი პროცედურა ქალი კანდიდატებისთვის ხელსაყრელად წარმართოს.

¹⁷ ბაგრატია, თ., დასახელებული კრებული.

¹⁸ OSCE International Elections Observation in Georgia, 2012. “Statement of Preliminary Findings and Conclusions”. Accessed on 22 July 2015: <http://www.osce.org/ka/odihr/elections/94617>

¹⁹ ბაგრატია, თ., დასახელებული კრებული.

²⁰ იქვე.

პარტიებში წევრების მიღებისა და კანდიდატების შერჩევის პროცესების უმთავრესი პრობლემაა ის, რომ საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ ამგვარი პროცედურების განხორციელების წესები. ამ კვლევის მიმდინარეობისას გამოკითხულმა პარტიის წარმომადგენლებმა ვერ დაასახელეს წევრების მიღების კონკრეტული ღონისძიებები. ხშირად მეორდებოდა პასუხი, რომ პარტია ყველა მსურველს არ იღებს თავის რიგებში, თუმცა განწევრიანების მსურველი აუცილებლად უნდა ეთანხმებოდეს პარტიის ზოგად იდეოლოგიას.

ასეთი დასაბუთება მისაღებია, მაგრამ რთულია მისი პრაქტიკაში განხორციელება ორი მთავარი საკითხის გამო. უპირველეს ყოვლისა, ძირითადად რთულია საქართველოს პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური მიმართულებების დადგენა. გარდა ამისა, პარტიებს არ გააჩნიათ სანდო მექანიზმები პოტენციური წევრების იდეოლოგიური შეხედულებების შესაფასებლად. ისინი ძირითადად ეყრდნობიან თავიანთი წევრების რეკომენდაციებს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკური ჩართულობის დაბალი დონის გათვალისწინებით, რთული წარმოსადგენია, როგორ გაზრდის ეს რეკომენდაციები ქალების აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკაში. პოლიტიკური პარტიის წევრი, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: *„პარტიაში ახალი წევრების მიღების საკმარის მკაცრი სისტემა გვაქვს. მისაღებად საკმარისი არ არის მხოლოდ პარტიაში განწევრიანების სურვილი. მათ უნდა ჰქონდეთ პარტიის შესაბამისი ფასეულობები... ეს ნათელი ხდება ახალი წევრის მიღების შემდგომ პროცესში. დიდი პატივია, როდესაც მოქალაქე მზად არის და მხარს გიჭერს, თუმცა, ბუნებრივია, მუშაობის პროცესში თუ გამოჩნდა, რომ ისინი აშკარად ეწინააღმდეგებიან პარტიის გეზს, რასაკვირველია, ასეთი ადამიანების ადგილი პარტიაში არ არის“.*

შესაბამისად, პარტიაში მიღების ეს მეთოდები შეიძლება შეფასდეს როგორც პასიური. უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მოზიდვისა და მათი ჩართულობის გასაზრდელად კი პოლიტიკურ პარტიებს უფრო პროაქტიური მიდგომა მართებთ. მართალია, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მტკიცებით, უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ისინი საქართველოსთვის „ადამიანური

რესურსების მნიშვნელოვან წყაროს“ წარმოადგენენ, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა კვლავ პასიურობას იჩენს ეროვნული უმცირესობების ქალების პოლიტიკაში ჩართვის მიმართ. იმავე რესპონდენტმა გამოავლინა გენდერული სტერეოტიპები. მისი თქმით, იდეალური იქნებოდა, თუ ყველა თვითმმართველ სტრუქტურაში სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე იარსებებდა კვოტა ქალებისთვის, „დედების მზრუნველი ბუნების“ გამო. პოლიტიკოსების მხრიდან კი ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, მიუღებელია. პოლიტიკურ პარტიებში უნდა აცნობიერებდნენ, რომ სოციალურად კონსტრუირებული გენდერული როლები არ უნდა იყოს პოლიტიკაში კაცებსა და ქალებს შორის პასუხისმგებლობების განაწილების საფუძველი.

პოლიტიკური პარტიების წინაშე ბევრი გამოწვევაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე წარმატებული მაგალითი – ზოგიერთ პარტიას აქვს ქალთა საბჭოები, თუმცა მათი მნიშვნელობა პარტიების მიხედვით იცვლება. ამასთანავე, რთულია შევაფასოთ, თუ რამდენად არის ან იქნება ეს საბჭოები შედეგიანი უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, ვინაიდან ისინი ზოგადად ქალების მიმართულებით მუშაობენ. მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი საბჭოების შექმნა წინ გადადგმული ნაბიჯია უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობის გაძლიერების გზაზე. ამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ქალთა საბჭოში 15 წევრია – თითო-თითო რეგიონული ორგანიზაციებიდან. საბჭო იყენებს წევრების მიღების მრავალეტაპიან პროცესს. ადგილობრივი ორგანიზაციები არჩევენ პოტენციურ კანდიდატებს, რომლებსაც პარტიის ცენტრალური ოფისის წარმომადგენელი ტრენინგებს უტარებს. ტრენინგების მიზანია ქალების, როგორც პოლიტიკოსების განვითარება და მათი უნარ-ჩვევების გაძლიერება. შემდეგ ექსპერტების, მაგალითად, ფსიქოლოგების, დახმარებით დგინდება, თუ რომელ კანდიდატს გააჩნია ლიდერობის ყველაზე მაღალი პოტენციალი. შერჩეული კანდიდატებიდან ქალთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ ქალებისგან შემდგარი სიის ჩამოყალიბებაზე. მასში ქალების თანამიმდევრობის შეცვლა პოლიტიკურ საბჭოსაც კი არ შეუძლია. თუმცა მთავარ პოლიტიკურ საბჭოს თბილისში აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ვეტოს უფლება ერთი ან მეტი კანდიდატის ამოსაღებად, საამისოდ კი აუცილებელია უაღრესად

სარწმუნო დასაბუთება. ერთადერთი საკითხია, თუ როდის შეიყვანენ ამ ქალებს პარტიის საბოლოო პროპორციულ სიაში. თუმცა ქალთა საბჭოს წევრები, რომლებიც ასევე პოლიტიკური საბჭოს წევრები არიან, ლობირებენ ქალ კანდიდატებს და ცდილობენ, მათ რაც შეიძლება მოწინავე ადგილები დაიკავონ საბოლოო სიაში.

მაჟორიტარული კანდიდატების შემთხვევაში, თუ ქალთა საბჭო გადაწყვეტს ოლქში ქალი კანდიდატის წამოყენებას და არსებობს ასევე კაცი კანდიდატი, მაშინ პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს ორ პოტენციურ კანდიდატს შორის წინასწარი არჩევნები, ანუ პრაიმერები. თუმცა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის თქმით, *„კაცებს ყოველთვის ემინიათ წინასწარ არჩევნებში ქალების წინააღმდეგ მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში ქალების რიცხვი კაცებისას აღემატება“*. ამ დისბალანსის მიზეზს იგივე რესპონდენტი ასე ხსნის: საქართველოში ყველგან *„კაცები არიან ლიდერები, თუმცა ქვედა დონეზე ქალების რაოდენობა უფრო მაღალია, ვინაიდან სამუშაო ფაქტობრივად სწორედ ამ დონეზე კეთდება“*.

ასეთი მექანიზმი უზრუნველყოფს სიაში ქალების არა მხოლოდ ფორმალურად ჩართვას, არამედ მათ აქტიურ მონაწილეობას. სწორედ ამიტომ, რესპონდენტის თქმით, ბოლო ადგილობრივ არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკრებულოებში 40 ქალი კანდიდატი გაიყვანა, აქედან 6 – მაჟორიტარული წესით. მეორე მხრივ, ალბათ გასაგებია, თუ რატომ აქვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ უფრო დახვეწილი მექანიზმი ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისთვის – ეს არის პარტია, რომელიც ხელისუფლებაში იყო ორი ვადით და ინსტიტუციური განვითარების დროც ჰქონდა და რესურსიც. სხვა, პატარა ან/და ახლად შექმნილ პარტიებს, შეიძლება ჯერჯერობით არ გააჩნდეთ ასეთივე შესაძლებლობები, თუმცა მათ უნდა განავითარონ სათანადო მექანიზმები, რათა გააძლიერონ თავიანთ რიგებში ქალების მონაწილეობა.

4.1.3. ენობრივი ბარიერი

კიდევ ერთი ობიექტური მიზეზი, რომელიც აქტუალურია ეროვნული უმცირესობების უმეტესობის შემთხვევაში, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც საზღვრისპირა რეგიონებში კომპაქტუ-

რად ჩასახლებულ რაიონებში ცხოვრობენ – ესაა ქართული ენის არცოდნა. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებმა, ჩვეულებისამებრ, მეტ-ნაკლებად იციან სახელმწიფო ენა, მაგრამ ქართული ენის ცოდნა კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. უახლესი მონაცემები, თუ რა დონეზე იციან უმცირესობებმა ქართული, ძალზე მწირია. 2008 წელს უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემებიც არ არის დამაიმედებელი. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ძალზე დაბალია უმცირესობების იმ წარმომადგენლების წილი, რომლებმაც იციან ქართული ენა და ცხოვრობენ ე. წ. არაქართულ გარემოში, ე. ი. იქ, სადაც სომხები და აზერბაიჯანელები წარმოადგენენ უმრავლესობას (იხილეთ ცხრილები 2 და 3 ქვემოთ).

ცხრილი 2. ქვემო ქართლის 4 რაიონში უმცირესობების მიერ ქართული ენის ცოდნის დონე

ქართული ენის ცოდნის დონე (%)	გარდაბანი	მარნეული	დმანისი	წალკა
არ იციან	24,5	42,2	8,1	19,3
ესმის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი სიტყვა	47,0	35,1	47,5	49,5
ესმის თითქმის ყველაფერი, თუმცა საუბარი შეუძლია მხოლოდ ძირითად საჭიროებებზე	14,0	12,8	32,3	22,6
ესმის და კარგად საუბრობს, თუმცა არ იციან წერა	6,9	6,2	7,1	2,8
ესმის, საუბრობს და წერს სრულყოფილად	7,7	3,8	5,1	5,7

წყარო: Wheatley, J., 2009. “The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia: Five Years into the Presidency of Mikheil Saakashvili” ECMI Working Paper №44. Accessed on 29 June 2015: <http://ecmcaucasus.org/upload/publications/working-paper-44-en.pdf>

ცხრილი 3. სამცხე-ჯავახეთის 4 რაიონში უმცირესობების მიერ ქართული ენის ცოდნის დონე

ქართული ენის ცოდნის დონე (%)	ბორჯომი	ახალციხე	ახალქალაქი	ნინოწმინდა
არ იცის	0,0	6,7	47,2	28,2
ესმის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი სიტყვა	11,9	28,9	30,3	52,6
ესმის თითქმის ყველაფერი, თუმცა საუბარი შეუძლია მხოლოდ ძირითად საჭიროებებზე	4,8	37,0	16,5	14,1
ესმის და კარგად საუბრობს, თუმცა არ იცის წერა	11,9	3,7	0,8	1,3
ესმის, საუბრობს და წერს სრულყოფილად	71,4	23,7	5,1	3,8

წყარო: Wheatley, J., 2009. "The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia: Five Years into the Presidency of Mikheil Saakashvili" ECMI Working Paper №44. Accessed on 29 June 2015: <http://ecmcaucasus.org/upload/publications/working-paper-44-en.pdf>

მიუხედავად განათლების დარგში გატარებული არაერთი რეფორმისა (მაგ., „1+4“ პროგრამა აბიტურიენტებისთვის, მულტილინგუური განათლება და ა. შ.), რომლის მიმდინარეობისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფო ენის სწავლებას, სიტუაცია მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ხშირად მათ უჭირთ ისეთი კვალიფიციური კანდიდატების მოძებნა, რომლებმაც დამაკმაყოფილებლად იციან ქართული. ამდენად, სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი კვლავ სტრუქტურულ პრობლემად რჩება, რაც ხელს უშლის პოლიტიკაში უმცირესობების აქტიურ ჩართულობას.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული გარემოებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკაში უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მონაწილეობაში, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ტრადიციებს

და გავლენას ახდენს უმცირესობების ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილსა და მზადყოფნაზე. ამასთან, ზოგჯერ შეიძლება არსებობდეს როგორც პოლიტიკური პარტიის, ისე პარტიის წევრი ქალის სურვილი კანდიდატად მისი შერჩევის შესახებ, მაგრამ გარკვეული სოციალური და კულტურული საკითხებიდან გამომდინარე ასეთი შესაძლებლობა სათუო ხდება. აღნიშნული პრობლემები განხილულია მომდევნო ქვეთავში.

4.2. კულტურული ფაქტორები

ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ფაქტორები უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის დაბალი დონის ერთადერთი მიზეზი არ არის. ფოკუსჯგუფებთან შეხვედრების შედეგად გაირკვა, რომ დამატებითი მიზეზები კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება. მონაცემების მიხედვით, ერთი მხრივ, უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დამოკიდებულება პოლიტიკისადმი უკიდურესად ნეგატიურია, მათ უსარგებლოდ მიაჩნიათ იმ პროცესში ჩართვა, რასაც უწოდებენ „სახელისუფლებო პოლიტიკას“. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები – უმცირესობების ქალებს სურთ პოლიტიკაში მონაწილეობა, თუმცა არაპირდაპირ, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ ისინი თავიანთი ქმრების ზეგავლენას განიცდიან პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით ეხებათ უმცირესობების წარმომადგენელ იმ ქალებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ. ეს ორი განწყობა განსაზღვრავს უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილსა და შესაძლებლობებს.

4.2.1. პოლიტიკისადმი დამოკიდებულება და შიში

ფოკუსჯგუფის მონაწილეები ასხვავებენ პოლიტიკის ორ სახეობას. პოლიტიკის პირველი და უფრო მნიშვნელოვანი სახე, მონაწილეების თქმით, არის „სახელისუფლებო პოლიტიკა“ და განიხილება თითქმის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად. მეორე ტიპის პოლიტიკა კი, მათი თქმით, არის „საზოგადოებრივი პოლიტიკა“ და მას ბევრად უფრო დადებითად აღიქვამენ. სახელისუფლებო პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობას,

ხოლო საზოგადოებრივი პოლიტიკა ეხება სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონაწილეობა პოლიტიკა განმარტეს ფართო გაგებით და ეს განსხვავება აღნიშნეს ამ ორი სახეობის ნორმატიული ასპექტების შეფასების მიზნით. ქვემო ქართლიდან ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრება: „რატომ მიდიან პოლიტიკაში? იდეალიზებული მიზანია, რომ პოლიტიკოსებმა უნდა იმუშაონ ადამიანების დასაცავად, გამოავლინონ და გადაჭრან პრობლემები. ამჟამად მე ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციაში და, ვფიქრობ, აქ უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია, ვიდრე პოლიტიკაში წასვლით, როდესაც შეიძლება შესაძლებლობაც კი არ მომეცეს, ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, გარკვეული შეზღუდვების [პარტიის წევრობის] გამო. ...პოლიტიკის გზით რაიმე შედეგების მიღწევის შესაძლებლობა რომ არსებობდეს, რატომაც არა, მაგრამ ჩვენთან [საქართველოში] ასე არ არის“.

კიდევ ერთმა, 24 წლის მონაწილემ (ქალი) გამოთქვა აზრი სახელისუფლებო პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებით: „სტრუქტურების პერიოდში პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებდა, იმდენი ცუდი მქონდა გაგონილი პოლიტიკის შესახებ. ამიტომ მინდოდა მუშაობა გამეგრძელებინა განათლების სფეროში. განათლების დარგში იმდენი პრობლემაა, აქედან უნდა დავიწყოთ“.

ამდენად, სახელისუფლებო პოლიტიკის აღქმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უმცირესობების ქალების პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის სურვილზე. მთლიანობაში, სახელისუფლებო პოლიტიკისადმი დამოკიდებულება შეიძლება დავაჯგუფოთ სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, მათ შორისაა: ძალაუფლება, კონფლიქტი, მოტყუება, ფული, საერთაშორისო ურთიერთობები, მხარეები და სხვ. მონაწილეთა თქმით, ეს კატეგორიები „კარგს არაფერს შეიცავს“. ძალაუფლება პოლიტიკასთან დაკავშირებით ფასდება უარყოფითად, ვინაიდან იგი აღიქმება პოლიტიკაში ჩართული პირების ერთ-ერთ მთავარ მიზნად. ამ კატეგორიაში იყო ისეთი ასოციაციები, როგორებიცაა საჯარო სამსახური, გავლენა, პირადი და სახელმწიფო ძალაუფლება. ეს ასოციაციები აღწერილი იყო იმ პირთა მანიპულირების თვალსაზრისით, რომლებსაც ძალაუფლება ნაკლები აქვთ ან საერთოდ არ გააჩნიათ.

კონფლიქტის კატეგორია მოიცავდა ჩხუბსა და სკანდალს, რაც ასევე უარყოფითად აღიქმება. ამ ასოციაციებით კვლევის მო-

ნაწილები ახდენდნენ იმ ფაქტის ილუსტრირებას, რომ სახელისუფლებო პოლიტიკაში ჩართულები საკუთარ კოლეგებს უნდა ექცეოდნენ შეუბრალებლად და მზად იყვნენ მათი დისკრედიტაციისთვის. ანალოგიურად, ტყუილი, მონაწილეების თქმით, სახელისუფლებო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. მათი თქმით, პოლიტიკოსები თამაშობენ, სახელისუფლებო პოლიტიკაში ჩართული პირები არიან მსახიობები, რომლებიც საკუთარ გრძნობებს ნიღბავენ და გარშემომყოფთა მოტყუებას ცდილობენ. თამაში, ორმაგი თამაში და ნდობის ნაკლებობა დასახელდა პოლიტიკური პროცესების მახასიათებლებად. ერთ-ერთი მონაწილე დარწმუნებულია, რომ *„პოლიტიკოსი ორმაგ თამაშს უნდა თამაშობდეს. გულუბრყვილო ადამიანი პოლიტიკოსი ვერ გახდება“*. კიდევ ერთი მონაწილის თქმით, სახელისუფლებო პოლიტიკაში ჩართვა ადამიანის კეთილსინდისიერებას ანგრევს: *„არ მინდა პოლიტიკაში წასვლა, რადგან იქ ყველაფერი ხელოვნურია და პოლიტიკა დაანგრევს ჩემს შინაგან მეს“*. კიდევ ერთი მკაცრად უარყოფითი ასოციაცია ექცევა *„კარგი არაფერიას“* კატეგორიაში: სახელისუფლებო პოლიტიკა ასოცირდება ბინძურ საქმეებთან, პირად ინტერესებსა და ნეპოტიზმთან.

შედარებით ნეიტრალურ, და იშვიათ შემთხვევებში პოზიტიურ, ასოციაციებს შორის დასახელდა ფული, ბიზნესი და ეკონომიკა. თუმცა ფული და საკუთარი ბიზნესის დაცვა ან/და გაფართოება განიხილება როგორც სახელისუფლებო პოლიტიკაში წასვლის მიზეზი. ეს ასოციაციები სწორედ ამიტომაა უარყოფითი. პოლიტიკაში ჩართული მხარეები, ე. ი. პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები ასევე დაასახელეს ასოციაციებს შორის და ეს შეიძლება მივიჩნიოთ ნეიტრალურად; თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მონაწილეები პოლიტიკას ახასიათებენ როგორც *„ბინძურ საქმეს“*, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკის ამგვარი აღქმა ჩრდილს აყენებს პოლიტიკაში ჩართული მხარეების რეპუტაციას.

დაბოლოს, ერთადერთი დადებითი ასოციაცია სახელისუფლებო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოექცა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების კატეგორიაში და ეს იყო მშვიდობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოებს შორის მშვიდობის მიღწევის გზას. ამავე კატეგორიაში სხვა ასოციაციები მოიცავდა ნატოს და ევროკავშირს.

ზოგიერთი მონაწილის თქმით, პოლიტიკის შესახებ მათი აზრი დროთა განმავლობაში შეიცვალა: „ხუთი წლის წინ არ ვფიქრობდი ასე [უარყოფითად პოლიტიკის შესახებ]. როდესაც სტუდენტი ვიყავი, ნამდვილად მსურდა სხვადასხვა პროცესში აქტიურად ჩართვა, თუმცა რეალურად ყველაფერი სხვაგვარად არის [ვიდრე ადამიანს წარმოუდგენია] და გეკარგება მონაწილეობის სურვილი. მხოლოდ თქვენ და თქვენი მეგობრები ვერ შეძლებთ რაიმეს შეცვლას, ყველაფერი უკვე იმდენად არის განსაზღვრული, რომ ხალხის მცდელობას აზრი არ აქვს, და რაიმეს გაკეთების სურვილიც აღარ გიჩნდება... ცვლილება გამოწვეული იყო იმით, რომ ვცხოვრობდი საქართველოში და ვხედავდი, რა ხდებოდა სინამდვილეში. ადამიანის აზრზე მოქმედებს მის გარშემო მიმდინარე პროცესები. იმის მიუხედავად, რომ ადამიანმა პარტიულ საქმიანობაში ჩართვის გარეშე შეიძლება ვერ მიაღწიოს მიზნებს, ნამდვილად არ მსურს რომელიმე პარტიის წევრობა ან აქტივისტობა“.

ასეთი შემთხვევები წარმოაჩენს უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ფრუსტრაციასა და იმედგაცრუებას პოლიტიკით. მათი აზრით, სახელისუფლებო პოლიტიკა არ არის გზა მათ გარშემო სოციალური გარემოს შესაცვლელად. პირიქით, ისინი ფიქრობენ, რომ სახელისუფლებო პოლიტიკა პირადი სარგებლისა და სიმდიდრის მოპოვების საშუალებაა. ამიტომ ისინი, ვისაც საკუთარი თავი ეგოისტად არ მიაჩნია და მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე არ არის ორიენტირებული, ამბობენ, რომ შეხებაც არ უნდათ სახელისუფლებო პოლიტიკის „ბინძურ საქმეებთან“.

ზემოაღნიშნული განწყობილებები გამოხატეს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. თუმცა სამცხე-ჯავახეთში აღინიშნა კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენდა პოლიტიკაში პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩართვისთვის ეროვნული სომხების მზადყოფნაზე. ამ რეგიონიდან კვლევის მონაწილეებს, მათივე განცხადებით, პოლიტიკაში აქტიურად ჩართვაში ხელს უშლით შიში. როგორც ჩანს, პოლიტიკური რეპრესიების შიში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეთნიკური სომხების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მონაწილეების თქმით, მათ აქვთ შიში, განსაკუთრებით – ხელისუფლების შიში, და რომ ადამიანები ვერ გამოხატავენ თავიანთ აზრებს იმის გამო, რომ „ყველას ეშინია“. ეთნიკურად სომეხმა

ერთმა ახალგაზრდა ქალმა შიში ასე ახსნა: „ეს ძალიან დელიკატური საკითხია და შეუძლებელია ითქვას, კონკრეტულად ვის მიმართ არსებობს შიში. ხალხს ზოგადად ეშინია. რალაცის შესახებ ვინმესთან პრეტენზია რომ გამოთქვას, მომდევნო დღეს შეიძლება მთელმა ქალაქმა გაიგოს ამის შესახებ, მათ შორის, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა. ასევე, მას ჰყავს მეუღლე, შვილები, ნათესავები, ამდენად, მათ გამოც ექნება შიში. ამას გარდა, პრეტენზიის დაფიქსირება დახმარებას მაინც არ უზრუნველყოფს. ხალხი იმედგაცრუებულია. ამდენად, რა აზრი აქვს საუბარს? გაჩუმება არ ჯობს?! გაჩუმდე და გააგრძელო ცხოვრება... ერთადერთი, რასაც პრეტენზიის გამოთქმისას გვეუბნებიან, არის ის, რომ შეგვიძლია ნავიდეთ: იქ [სომხეთში], ნავიდეთ, თუ რალაც არ მოგვწონს“.

კვლევაში მონაწილეებს ერთსულოვანი პოზიცია ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს შიში მათს სურვილებზე ან ეს შიში სრულიად უქრობთ სურვილს, ილაპარაკონ პრობლემურ საკითხებზე. შესაბამისად, მათი თქმით, ნაკლებსავარაუდოა, მონაწილეობა მიიღონ საპროტესტო აქციებში ან დემონსტრაციებში. თუმცა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც 1915 წელს სომხების გენოციდის მე-100 წლისთავს ეძღვნებოდა. რაც შეეხება გენოციდის საკითხს, გამოკითხული ექსპერტების განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების სამთავრობო ინსტიტუტებს აინტერესებდათ, თუ ვინ უჭერს მხარს და ვინ ითხოვს სომხების გენოციდის აღიარებას. მათი მტკიცებით, არსებობს ერთი კონკრეტული გამოძიების საქმე, რომელიც აღიძრა იმ პირის მოტივაციის შესასწავლად, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა.

4.2.2. გენდერული ცრურწმენები და სტერეოტიპები

პოლიტიკასთან დაკავშირებული განწყობისა და ეროვნული უმცირესობებისთვის დამახასიათებელი შიშის ფაქტორის გარდა, პოლიტიკაში ქალების მონაწილეობას კიდევ უფრო აბრკოლებს გენდერული ცრურწმენები. ფოკუსჯგუფებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი განხილვების შედეგად გამოვლინდა ორი ტენდენცია. პირველი – გენდერული ცრურწმენა, როგორც ჩანს, უფრო გავრცელებულია ქვემო ქართლის რეგიონში, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (მიუხედავად იმისა,

რომ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი საპირის-პიროს ამტკიცებდა²¹). ქვემო ქართლში უცხო არ არის იმ უარყოფითი სტერეოტიპების გავლენა, რომლებიც უმცირესობების ქალებსა და პოლიტიკაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობებს უკავშირდება. მეორე – უმცირესობების ქალები, რომლებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება, ჩვეულებრივ, უფრო მეტად ზარალდებიან გენდერული ცრურწმენებისა და სოციალურად კონსტრუირებული გენდერული როლების შედეგად, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე უმცირესობების წარმომადგენელი ქალები.

ქვემო ქართლში მცხოვრები უმცირესობის ქალების თქმით, არჩევნებზე მათ მიერ ხმის მიცემის საკითხს განაპირობებს „ოჯახური პირობები“, რომლებიც მოიცავს რამდენიმე ასპექტს. ზოგიერთი მონაწილის თქმით, ქმრებს არ სურთ, რომ არჩევნების დღეს ისინი სახლიდან გავიდნენ. სხვებმა კი საკუთარი საქციელი ახსნეს იმით, რომ კონკრეტულ დღეს ბევრი საოჯახო საქმე ჰქონდათ. პოლიტიკით ზოგადი ფრუსტრაციის გათვალისწინებით, გასაგებია, თუ რატომ არ ეწინააღმდეგებიან ეს ქალები საკუთარი ქმრების აზრს არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ან რატომ ვერ გამოიხატეს დრო, არჩევნების დღეს ხმის მისაცემად წასულიყვნენ. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების არმქონე ქალები პოლიტიკას აღიქვამენ როგორც კაცის საქმიანობის სფეროს. და ეს არის კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ სურთ მათ პოლიტიკური აქტიურობა, თუნდაც არჩევნებზე წასვლა და ხმის მიცემა.

კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს სამი ძირითადი მიზეზი, რომელთა გამოც, მათი აზრით, პოლიტიკა არ არის ქალების საქმე. პირველი მიზეზი – ქალმა უნდა იზრუნოს ოჯახზე და მას დრო არ ეყოფა პოლიტიკაში მონაწილეობისთვის, ვინაიდან ორივეს ერთად დიდი დრო სჭირდება და მათი შეთავსება მეტისმეტად რთულია. მეორე მიზეზი – პოლიტიკა, როგორც ჩანს, უმცირესობის წარმომადგენელ ზოგიერთ ქალს „აშინებს“. დაბოლოს, კვლევის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს განსხვავება კაცებისა და ქა-

²¹ ამ რესპონდენტის თქმით, პარტია ვერ ახერხებდა ქალების მოძიებას პროპორციულ სიებში ჩასართავად და გენდერული კვოტის შესასრულებლად, მაშინ, როცა ქვემო ქართლში ახალგაზრდა და განათლებული ქალები იმდენად აქტიურები არიან, რომ ერთ პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატია. რესპონდენტმა ამ განსხვავების მიზეზები ვერ ახსნა.

ლების „აზროვნებას“ შორის, რომ ქალი ვერ იქნება იმდენად წარმატებული პოლიტიკაში, როგორც კაცი, ან ყოველ შემთხვევაში, ქალების უმეტესობის შემთხვევაში მაინც.

როგორც ჩანს, გენდერული როლები მტკიცედ არის განანილებული და ფესვგადგმული კვლევის მონაწილეების აზროვნებაში. მათი შეხედულებით, ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ქალს ეკუთვნის – მან უნდა მიხედოს საოჯახო საქმეებსა და ბავშვებს. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, *„ქალისთვის რთულია [პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობა], ვინაიდან ოჯახის ყოლაზე მოუწევს უარის თქმა. პოლიტიკურ მოღვაწეობას უბრალოდ ძალიან ბევრი დრო სჭირდება“*. შესაბამისად, ოჯახსა და პოლიტიკას შორის არჩევანის შემთხვევაში უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ოჯახს ანიჭებენ უპირატესობას.

ზოგიერთი მონაწილე პოლიტიკას აღიქვამს როგორც „საშიშს“ ქალებისთვის. სავარაუდოდ, ასეთი დამოკიდებულება უყალიბებს უმცირესობის ქალებს შესაბამის წარმოდგენას პოლიტიკაში მათი მონაწილეობის შესახებ: *„პოლიტიკა, ცოტა არ იყოს, საშიშია, ყველაფერზე უნდა იფიქრო და ბევრი მტერი გეყოლება“*. „მტრების“ თავიდან აცილება უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, ქალის ხასიათის შესახებ მათი შეხედულებებიდან გამომდინარე. კვლევის მონაწილეების თქმით, ქალები უფრო სუსტები არიან და განსხვავებული აზროვნება აქვთ: *„ქალები უფრო სუსტები არიან, კაცს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, ქალს – თავისი. ქალი ფიზიკურადაც უფრო სუსტია. მათემატიკა კაცის საქმეა. მეცნიერები, მათემატიკოსები ყოველთვის კაცები იყვნენ“*. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მსოფლიოს მეცნიერი ქალი არ ჰყოლია, და ეს ქალის ბუნებიდან გამომდინარეობს, და რომ ეს ბუნებრივად ასეა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა კაცის საქმედ მიიჩნევა, უმცირესობის წარმომადგენელი ქალები ეთანხმებიან აზრს, რომ ზოგიერთი ქალი შეიძლება იყოს წარმატებული პოლიტიკოსი. თუმცა ამ ფენომენს ხსნიან იმით, რომ ასეთი ქალები კაცებს უფრო ჰგავნან, ვიდრე ქალებს. თუ ქალი კაცს ჰგავს, მონაწილეების აზრით, ის კიდევ უფრო მეტს მიაღწევს: *„მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობა შეუძლებელია. მხოლოდ ზოგიერთ ქალს შეუძლია ჰგავდეს მამაკაცს, ასეთ შემთხვევაში, აჯობებს კიდევ მათ. გაიხ-*

სენეთ თამარ მეფე, ეკატერინე დიდი და ა. შ.". შესაბამისად, კვლევის მონაწილეთა აზრით, შესაძლებელია პოლიტიკაში მონაწილეობა, თუმცა ასეთი კარიერა ყველა ქალის გზა არ არის, ვინაიდან წარმატებული ქალი პოლიტიკოსები „უფრო მამაკაცებს ჰგვანან, ვიდრე ქალებს“.

არის შემთხვევები, როდესაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს მართლაც სურთ პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა, მაგრამ დგებიან ცრურწმენების პირისპირ, საკუთარი ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი, ქმრის წინაშე. ერთ-ერთმა ქალმა რესპონდენტმა, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა, დასახელა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მან მხარი დაუჭირა უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს, როგორც პოტენციურ კანდიდატებს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში; მათს ქმრებს კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ სურდათ ცოლების პოლიტიკაში წასვლა; ასახელებდნენ არაერთ მიზეზს, რომ პოლიტიკური საქმიანობა ბევრ დროს წაართმევდა მათს ცოლებს ან რომ იმავე თანამდებობებისთვის კაცების რესურსიც არსებობდა. რესპონდენტმა გაიხსენა, თუ როგორ დადიოდა რეგიონებში იმისთვის, რომ ქმრებისთვის საკითხის არსი აეხსნა. თუმცა, შესაძლებელია კაცების აზრის შეცვლა პოლიტიკაში ქალების მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევებში აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ასპექტი: არ არის საკმარისი მხოლოდ ქალებთან მუშაობა და კაცების ცრურწმენების რეაგირების გარეშე დატოვება; საუკეთესო სტრატეგიაა მუშაობა ქალებსა და კაცებთან ერთად და მათთვის ახსნა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ პოლიტიკაში უფრო მეტი ქალი მოღვაწეობდეს.

პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ერთი საბოლოო ასპექტი ისევ იმედგაცრუებასთან არის დაკავშირებული, თუმცა განსხვავებულ ჭრილში და ეს უფრო მეტად უკავშირდება გენდერულ როლებს, ვიდრე პოლიტიკის ხასიათს. კვლევის მონაწილეებმა განასხვავეს ქალი პოლიტიკოსების ორი ტიპი, ასევე პოლიტიკაში მათი მონაწილეობის ფორმები. პირველი – მონაწილეობა შეიძლება იყოს ხარისხიანი და ეს „კაცური“ ქალის შემთხვევაშია შესაძლებელი; შესაძლებელია ისეთი ქალებისთვის, რომლებიც ან უარს ამბობენ ოჯახზე, ან როგორღაც, სასწაულებრივად, ახერხებენ პოლიტიკისა და ოჯახის შეთავსებას. მეორე, უფრო საინტერესო მოსაზრე-

ბა ეხებოდა ქალებს, რომლებიც პოლიტიკაში ჩაერთნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალები არიან. მონაწილეებმა იცოდნენ პოლიტიკაში გენდერის მეინსტრიმიზაციის შესახებ; იცოდნენ აგრეთვე, რომ აუცილებელია დაფიქსირება იმისა, რომ არსებობენ საჯარო მოხელე ქალები, პოლიტიკოსი ქალები და ა. შ. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, *„ყველა ქალი, რომლებიც საჯარო თანამდებობაზე ინიშნება, მარიონეტია“*. ეროვნული უმცირესობების ქალები პირად შეურაცხყოფად მიიჩნევენ, როცა პოლიტიკაში ჩართული ქალები რეალურად ბევრს არაფერს აკეთებენ და უბრალოდ „დეკორაციის“ დანიშნულებას ასრულებენ.

აშკარაა, რომ კულტურული ფაქტორი გავლენას ახდენს პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობის სურვილსა და მზადყოფნაზე. პოლიტიკის უარყოფითი იმიჯი, როგორც ჩანს, იმდენად გავრცელებულია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს შორის, რომ ეს გავლენა აისახება მათს სურვილზე, ჩაერთონ „ბიძაშურ საქმიანობაში“, ხოლო სამცხე-ჯავახეთში შიშის ფაქტორი პირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ ქალებზე და მათ მიერ პრობლემების შესახებ დაუფარავად საუბრის სურვილზე. მეორე მხრივ, გენდერული ცრურწმენები, რომლებიც დამახასიათებელია როგორც თავად ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის, ისე მათი თემისთვის, აყალიბებს შეხედულებას, რომ პოლიტიკა მათი საქმე არ არის, რომ უმჯობესია, ეს საქმე კაცებს მიანდონ – ასე უფრო „ბუნებრივია“.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლინდა უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის საგანგაშოდ დაბალი დონე. თუ ფოკუსჯგუფებში გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობა ძირითადად გამოიხატება და შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში მონაწილეობით. თუმცა ამ დონის მონაწილეობაზეც კი ვრცელდება გენდერული ცრურწმენების ზეგავლენა. ჩართულობის დაბალ ხარისხს განაპირობებს ორი სახის ფაქტორი: სტრუქტურული და კულტურული. სტრუქტურულ-

ლი ფაქტორები მოიცავს საარჩევნო სისტემის სახეობას, პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ინსტიტუტებს და მათს საქმიანობას, და სახელმწიფო ენის არცოდნას. კულტურული ფაქტორები მონეტის მეორე მხარეა და ეხება უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მიერ პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას, იმას, თუ რამდენად ეშინიათ მათ საკუთარი პრობლემების შესახებ გულახდილად საუბრის, აგრეთვე გენდერულ ცრურწმენებს, რის გამოც უმცირესობების წარმომადგენელი ქალების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ მათ უნდა მიხედონ ოჯახებს და რომ ოჯახზე ზრუნვა შეუთავსებელია პოლიტიკურ კარიერასთან.

თუ უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის არსებული დონის მიხედვით ვიმსჯელებთ, ზოგადი სურათის გასაუმჯობესებლად დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ რამდენიმე სახის ღონისძიების განხორციელება.

საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები

- არჩევნების ტიპმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში ჩართულობაზე. კვლევის მიხედვით, უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის შესაძლებლობას უფრო მეტ საფრთხეს უქმნის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საარჩევნო სისტემის ცვლილება და დახურული სიებით რეგიონული პროპორციული არჩევნების შემოღება. აღნიშნულის შედეგად გაიზრდება საკანონმდებლო ორგანოებში ეროვნული უმცირესობების ქალების წარმომადგენლობა და, იმავდროულად, შენარჩუნდება მჭიდრო კავშირები ამომრჩევლებსა და მათ მიერ არჩეულ დეპუტატებს შორის. გარდა ამისა, რეგიონული პროპორციული სისტემის შედეგად გაიზრდება საზოგადოების სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლობაც.
- პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრისას. თუ პარტიები არ არიან მზად, არ არიან გახსნილი საზოგადოების ამ ნაწილისთვის, მაშინ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მცდელობებს აზრი ეკარგება. ამდენად,

პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იმუშაონ უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან, მოიძიონ, მიიღონ და დაასახელონ კანდიდატებად არჩევნებში.

- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა დახვეწონ პარტიაში მიღების წესები და მოახდინონ მათი ინსტიტუციონალიზაცია. ეს სასარგებლო იქნება ზოგადად პარტიების და, კერძოდ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, რომლებსაც პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა სურთ. პარტიები შიდადემოკრატიულობის გაძლიერებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას შეძლებენ მხოლოდ ინსტიტუციური განვითარებით, რაც, თავის მხრივ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ აქტიურ და მოტივირებულ ქალებს ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენებით პარტიაში წარმატებით განწევრიანების შესაძლებლობას მისცემს. მაგალითად, პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა და ნებაყოფლობითი გენდერული კვოტების შემოღება შეიძლება უაღრესად ეფექტიანი აღმოჩნდეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობის წასახალისებლად. პოლიტიკური პარტიების ასეთმა მიდგომამ, შესაძლოა, დამატებითი რეგულაციების მიღების გარეშეც, შედეგად გამოიღოს ქალების მონაწილეობის გაძლიერება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ბელგიის წარმატებული მაგალითი, სადაც პოლიტიკური პარტიების ნებაყოფლობითი მიდგომა წარმოადგენს ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმს. თუ ამას დამატება რეგიონული პროპორციული დახურული სიების შემოღება, შესაძლოა გარანტირებული იყოს უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის დონის გაზრდა.
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა შექმნან სპეციალური მექანიზმები, რათა წაახალისონ საკუთარ რიგებში ქალების, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ჩართვა. აღნიშნული მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს ინდივიდუალურ მენტორობას, ტრენინგებს, ინსტიტუტებს, რომლებიც მოახდენდნენ უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ინტერესების ლობირებას კონკრეტულ პარტიაში, აგრეთვე საზოგადოებასთან ურთიერ-

თობის ორგანიზაციებს, რათა უფრო მეტი ქალი მიიზიდონ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ასეთი მკაფიოდ განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს პირობებში უფრო გაიოლდება უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ინტერესების დაცვა პარტიაში მათი განვითარების შემდეგ.

- ქალებისთვის გენდერული კვოტების დანერგვას ხშირად უარყოფითად აღიქვამენ, მათ შორის, ამ კვლევის რესპონდენტები და მონაწილეებიც. ამდენად, ეროვნულ დონეზე ქალებისთვის გენდერული კვოტების შემოღება შესაძლოა კონტრპროდუქტიული იყოს. თუმცა პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული კვოტები, რომელთა გამოყენებითაც ნაახალისებენ როგორც უმცირესობების წარმომადგენელი, ისე ზოგადად ქალების აქტიურ მონაწილეობას. სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღებისას კი აუცილებელია, რომ წესები იყოს მკაფიო და გასაგები, რომ არსებობდეს სანქციები ამ წესების დარღვევისთვის, და რომ არჩეულ ქალებს არ განიხილავდნენ, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს.

სახელმწიფო ენის ცოდნა

- ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში პრობლემად რჩება სახელმწიფო ენის არცოდნა. მთავრობა ახორციელებს არაერთ პროგრამას, მაგრამ შედეგები ჯერჯერობით მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამდენად, აუცილებელია ჩატარდეს პოლიტიკის შეფასებითი კვლევები, რათა შეიქმნას ნათელი წარმოდგენა, თუ რომელი პროგრამები იყო ეფექტიანი და რომელი – არა, და არსებული შეზღუდული რესურსი შემდგომ ყველაზე შედეგიან პროგრამებს მოხმარდეს.
- პოლიტიკურმა პარტიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ეროვნულ უმცირესობებს, გაითვალისწინონ, რომ ხშირ შემთხვევაში მათ არ იციან სახელმწიფო ენა – უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა და თარგმნონ თავიანთი პროგრამები და სხვა სარეკლამო მასალა უმცირესობების ენებზე.

გენდერული ცრურწმენები და სტერეოტიპები

- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები მეტისმეტად კომპლექსურია და გასაკვირი არაა, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს ცრურწმენები და სტერეოტიპები ახასიათებთ. თუმცა გენდერული თანასწორობის პრაქტიკაში დანერგვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც მრავალმა პოლიტიკურმა პარტიამ და მათმა წევრებმა უნდა გადადგან. პარტიები და მათი წევრებიც უნდა აცნობიერებდნენ, რომ სოციალურად კონსტრუირებული გენდერული როლები არ წარმოადგენს ქალებსა და კაცებს შორის პასუხისმგებლობების განაწილების სათანადო საფუძველს. ამ მიზნით მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკური პარტიებისთვის ტრენინგების ჩატარება გენდერულად მგრძობიარე საკითხებზე; ასევე მნიშვნელოვანია, გამოვლინდეს და დაიგმოს სექსისტური განცხადებები, რომლებსაც პოლიტიკოსები შესაძლოა ზოგჯერ იყენებენ, რათა დროთა განმავლობაში გაიზარდოს პოლიტიკოსების გენდერული სენსიტიურობა.
- გენდერული ცრურწმენა ხშირად აბრკოლებს უმცირესობების წარმომადგენელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას და ამის გამოსასწორებლად აუცილებელია თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, როგორებიცაა: საქართველოს მთავრობა, დონორი ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ა. შ. გარდა ამისა, სამიზნე ჯგუფში უნდა იყვნენ არა მხოლოდ უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, არამედ უმცირესობების წარმომადგენელი კაცებიც.
- მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი იმ წარმატებული ქალების ისტორიების გამოყენება, რომლებმაც მიაღწიეს ლიდერის პოზიციას. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოების აზრზე, შეიცვალოს განწყობა და დამოკიდებულება, რომ ეროვნული უმცირესობები ვერ მიაღწევენ წარმატებას და რომ ქალები ვერ იქნებიან ლიდერები ან პოლიტიკოსები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მედიის როლი: უმცირესობების წარმომადგენელი წარმატებული ქალების გამოვლენა

და მათი ისტორიის გაშუქება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში გაბატონებული განწყობის შეცვლას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი თაობის ლიდერი ქალების მომზადება: ტრენინგები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი გოგონებისთვის ლიდერის უნარ-ჩვევების განსავითარებლად; მათთვის პოლიტიკურ პარტიებში, პარლამენტში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სტაჟირების პროგრამების შეთავაზება ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას.

განწყობები

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს იმედგაცრუებული დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკის მიმართ, რაც გავლენას ახდენს მონაწილეობის სურვილზე. ეს განწყობა უნდა შეიცვალოს ხელისუფლებას, დონორებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით. აუცილებელია კამპანიების ჩატარება ცნობიერების ასამაღლებლად და პოლიტიკური კულტურის განვითარება-ჩამოყალიბება შესაბამისი პროექტების მეშვეობით.
- საჭიროა საქართველოში ეროვნული უმცირესობების საკითხის უსაფრთხოების დისკურსიდან ამოღება. როდესაც ეროვნულ უმცირესობებს ეროვნული უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის საფრთხედ განიხილავენ, ეს ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში შიშის გაძლიერებას. ამ შიშის გამო კი, თავის მხრივ, ეროვნულ უმცირესობებს ეკარგებათ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის სურვილი. ეროვნული უმცირესობების საკითხების უსაფრთხოების დისკურსიდან ამოღება დადებითად აისახება ფართო საზოგადოებაზე და გააძლიერებს ეროვნული უმცირესობებისადმი ეთნიკური ქართველების დადებით დამოკიდებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატია, თ., 2013. „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში“. ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში: ექსპერტული ანალიზის კრებული. მოპოვებულია 2015 წლის 12 ივლისს: <http://www.nimd.ge/uploads/files/5318Women-Political-Participation-Expert-Papers-Canda-fund-2013.pdf>

ბაგრატია, თ., 2015. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გენდერული ანალიზი. მოპოვებულია 2015 წლის 17 ივლისს: <http://www.qalikhma.ge/uploads/survey-report-final.pdf>

საინფორმაციო სივრცე ქალი ამომრჩევლებისთვის, თ. გ. „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გენდერული ანალიზი“, მოპოვებულია 2015 წლის 17 ივლისს: <http://qalikhma.ge/uploads/survey.pdf>

ცესკო: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, 2014. „2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე მისული ამომრჩევლების გენდერული შემადგენლობა“, მოპოვებულია 2015 წლის 21 ივლისს: <http://www.cesko.ge/uploads/other/29/29182.pdf>

Adler, R. P. and Goggin, J., 2005. “What Do We Mean By ‘Civic Engagement’?” *Journal of Transformative Education* 3, pp: 236-253.

Blais, A., 1991. “The Debate over Electoral Systems”. *International Political Science Review*. Vol. 12, №3, pp: 239-260.

Dalton, R. J., 1998. *Citizen Politics in Western Democracies*. New Jersey: Chatham.

Kakhishvili, L., 2015. “Patterns of Participation in Georgia”, in M. Sully (ed.), *Governance and Participation: The Black Sea*. Vienna: Institute of Go-Governance.

Kvashuk, O., 2013. “European; Integration Index 2013 for Eastern Partnership Countries”, p. 16. Accessed on 5 December, 2015: <http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP-Index-2013-0.pdf>

Lovitt, J., 2014. “European Integration Index 2014 for Eastern Partnership Countries”, p. 16. Accessed on 5 December, 2015: <http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP%20Index%202014.pdf>

OSCE International Elections Observation in Georgia, 2012. “Statement of Preliminary Findings and Conclusions”. Accessed on 22 July, 2015: <http://www.osce.org/ka/odhr/elections/94617>

Pippa Norris (Ed.), 1999. *Critical Citizens: Global Support for Democratic Governance*. Oxford: Oxford University Press.

The International Institute for Democracy and Electoral Assistance, “Voter Turnout”. Accessed on 27 September 2014: <http://www.idea.int/uid/fieldview.cfm?field=224®ion=145>

UNDP Georgia, 2013. “Public Perception of Gender Equality in Politics and Business”, Accessed on 22 July 2015:<http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE-UNDP-Gender-%20Research-ENG.pdf>

Verba, S., Schlozman, K. L. and Brady, H., 1995. Voice and Equality: Civic Voluntarism in American Politics. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

Wheatley, J., 2009. “The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia: Five Years into the Presidency of Mikheil Saakashvili”. ECMI Working Paper №44. Accessed on 29 June 2015: <http://ecmcaucasus.org/upload/publications/working-paper-44-en.pdf>

ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში

დიანა ბოგიშვილი, ირინა ოსეფაშვილი

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, თანაბრად იზრუნოს ქვეყნის მთელი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოს შრომის კოდექსის 2.3 მუხლის მიხედვით, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით. დისკრიმინაცია ადამიანის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს მტრული, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს, ასევე, ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აუარესებს ადამიანის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით (მუხლი 2.4). გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან და ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას (მუხლი 2.5). ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ლიუბლიანის რეკომენდაციის თანახმად, საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თანაბარ პირობებში საზოგადოების ყველა წევრის ეფექტიან სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობას. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა თითოეულ ინდივიდს, განურჩევლად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიანიჭონ ეკონომიკაში წვლილის შეტანის, რესურსებითა და ქვეყნის საერთო სიკეთეებით სარგებლობის მხრივ.¹

¹ The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies: Publisher: Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE); Date 7 November 2012: <http://www.osce.org/hcnm/96883?download=true>

არსებული კვლევების² მიხედვით, საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა და მათი დასაქმების დამაბრკოლებელი ბარიერები არსებობს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. ქვემო ქართლის რეგიონში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში, სწორედ იქ, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ.³ 2014 წელს, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის⁴ თანახმად, ეკონომიკური პირობები არახელსაყრელია ჯავახეთშიც – ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონში, რასაც ხელს უწყობს მუშახელის პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობა, ენობრივი ბარიერი საჯარო სამსახურის დასაწყებად, კერძო სექტორის სიმცირე და ნეპოტიზმი. ქართული ენის ბარიერი და ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა ადგილობრივ მენარმეებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აგდებს – მათ უჭირთ საკუთარი მცირე ბიზნესის გაფართოება და მსხვილ, არაადგილობრივ საწარმოებს კონკურენციას ვეღარ უწევენ. ეკონომიკური პრობლემების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მამაკაცები, რეგიონს ტოვებენ და სამუშაოდ რუსეთში მიემგზავრებიან.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ბოლო, 2010-2014 წლების მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთსა (იხ. ცხრილი №1) და ქვემო ქართლში (იხ. ცხრილი №2) ეკონომიკური საქმიანობის ბრუნვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (მლნ. ლარი) წარმოდგენილია დამმუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სექტორებში. ორივე რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის

² გოგსაძე გ., კაჭკაჭიშვილი ი., ბაშელიშვილი ლ. უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი). ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი. იანვარი, 2014: <http://www.mikeladze-foundation.org/multimedia/ups/1/Minority-Integration-in-Georgia-geo--Levan-Mikeladze-Foundation.pdf>

³ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი: ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.

⁴ გოგსაძე გ., კაჭკაჭიშვილი ი., ბაშელიშვილი ლ. დასახ. ნაშრომი.

ბრუნვის შედარებით დაბალი მაჩვენებლებია სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დახმარებისა და პერსონალური მომსახურების სფეროებში. ქვემო ქართლში ბრუნვის მაღალი მაჩვენებლების მქონე სექტორებში გაცილებით მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე სამცხე-ჯავახეთის იმავე სექტორებში (იხ. ცხრილი №3).

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ბოლო მონაცემების თანახმად (იხ. ცხრილი №4), ქვემო ქართლში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურება სამთომოპოვებით და დამმუშავებელ მრეწველობაში, ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებისა და მშენებლობის სფეროებში აღინიშნება.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ანაზღაურების თვალსაზრისით, სამცხე-ჯავახეთშიც იგივე მდგომარეობაა, რაც ქვემო ქართლში: ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურება ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების, მშენებლობისა და დამმუშავებელი მრეწველობის სფეროებში აღინიშნება (იხ. ცხრილი №5).

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანს სწორედ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დასაქმების ძირითადი სფეროებისა და დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება წარმოადგენს; ასევე იმის ჩვენება, რამდენად ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია; დაბოლოს, რა პერსპექტივები არსებობს ამ რეგიონებში დასაქმების სფეროს განვითარებისთვის.

2. მეთოდოლოგია

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: მეორეული წყაროების, კერძოდ, საკანონმდებლო აქტების ანალიზი (desk research), ფოკუსჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. თავდაპირველად,

განალიზდა მეორეული წყაროები და შედგა სადისკუსიო გეგმა ფოკუსჯგუფებისთვის. ვინაიდან კვლევის სამიზნე ჯგუფს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენდნენ, ფოკუსჯგუფების ჩატარება დაიგეგმა ეროვნული უმცირესობებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული ორი რეგიონის მთავარ ქალაქებში: ქვემო ქართლიდან – მარნეულში, ხოლო სამცხე-ჯავახეთიდან – ახალქალაქში.

სულ ოთხი ფოკუსჯგუფი გაიმართა – ორი ახალქალაქში და ორი მარნეულში. თითოეული ფოკუსჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე 8 მონაწილისგან. სამიზნე აუდიტორია ორ ასაკობრივ კატეგორიად დაიყო: 18-იდან 40 წლამდე და 41-იდან 65 წლამდე. იმისათვის, რომ ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ჰეტეროგენურობა დაცული ყოფილიყო, ასაკობრივი კატეგორიების გამოყოფასთან ერთად, მონაწილეები შეირჩნენ განათლებისა (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და დასაქმების სტატუსის (დასაქმებული და დაუსაქმებელი) მიხედვითაც. ფოკუსჯგუფების დისკუსია დაახლოებით 1,5 საათს გრძელდებოდა და გაკეთდა მათი აუდიოჩანაწერები. ამ ჩანაწერების გაშიფვრისა და მასალის დამუშავების შემდეგ, სათანადო ანალიზის საფუძველზე, დაიგეგმა მომდევნო ეტაპი და ჩატარდა 7 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან (თითო პარტიიდან თითო რესპონდენტი გამოიკითხა). ადგილობრივ დონეზე (მარნეულსა და ახალქალაქში) ჩატარდა 6 სიღრმისეული ინტერვიუ მარნეულისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (საკრებულოს თავმჯდომარე, გამგეობის თავმჯდომარე, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, შრომისა და სოციალური დაცვის სამსახური, ანალიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური); 1 ინტერვიუ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელთან (ახალქალაქი); 3 ინტერვიუ ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან; 1 ინტერვიუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელთან. მთლიანობაში, ჩატარდა 18 სიღრმისეული ინტერვიუ. მომზადდა თითოეული მათგანის აუდიოჩანაწერი და ინტერვიუს ტრანსკრიპტი, განხორციელდა კონტენტ-ანალიზი.

3. არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

ევროპული ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ⁵ – მიღებულია 1995 წელს სტრასბურგში და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წლის ოქტომბერში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე კონვენცია მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება.

აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართულებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილებით გამოწვეული ნებისმიერი დისკრიმინაცია. იმავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, ხელმომწერ ქვეყნებს ევალებათ მიიღონ ადეკვატური ზომები საიმისოდ, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტიანი თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობასა და უმრავლესობას მიეკუთვნებიან. ამ მხრივ, სათანადოდ გასათვალისწინებელია იმ პირთა სპეციფიკური მდგომარეობა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან.

ევროპული ჩარჩოკონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, შექმნან აუცილებელი პირობები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტიანი მონაწილეობისთვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა⁶ – ეროვნულ უმ-

⁵ ევროპული ჩარჩოკონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის №1938 – II ს დადგენილებით): <http://www.diversity.ge/files/files/ec-157-geo.pdf>

⁶ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. თბილისი, აგვისტო, 2015: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>

ცირესობებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. ამ ხუთწლიანი გეგმის მიზანია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესში. ამ დოკუმენტის ერთ-ერთი შუალედური მიზანი და ამოცანაა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა.

მთავრობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ყველა მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა. თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო (სახელმწიფო ენის არცოდნა, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი დონე), არსებობს საშიშროება, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები აღმოჩნდნენ უთანასწორო პირობებში – საკუთარი ეკონომიკური უფლებების რეალიზებისა და სოციალური პოლიტიკით სარგებლობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვანია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელება, რომლებიც გაზრდის ეროვნულ უმცირესობათა კომუნიკაციას ქართულენოვან მოსახლეობასა და სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე მათთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის სოციალური მომსახურების სისტემას. აღნიშნულ დოკუმენტში შუალედური მიზნის („თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა“) მისაღწევად დასახულია შემდეგი ორი ამოცანის გადაჭრა:

- სოციალური და რეგიონული მობილობის ამაღლება, რისთვისაც ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფრასტრუქტურის განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, ასევე ადგილო-

ბრივი მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება (მათთვის გასაგებ ენაზე) სახელმწიფო სოციალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ (2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა).

- პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ადაპტაციას შრომის ბაზარზე და მათ დასაქმებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დოკუმენტში გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება და ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდება. გარდა ამისა, სტრატეგიის თანახმად, მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსახლეობის სხვადასხვა პროფესიული ჯგუფისთვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – შესაბამისი ჯგუფის საჭიროებაზე მორგებული მეთოდის გამოყენებით; ასევე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და შრომითი ბაზრის შესაბამისი პროფესიული პროგრამების განხორციელება (2.2. პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა).

4. კვლევის შედეგები

4.1. არსებული ვითარება ახალქალაქსა და მარნეულში

4.1.1. დასაქმების ძირითადი სფეროები და დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ფოკუსჯგუფები ადგილობრივ მოსახლეობასთან

ახალქალაქელმა რესპონდენტებმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მთლიანობაში, რთულად შეაფასეს. სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო მოსახლეობა იძულებულია, დატოვოს რეგიონი და სამუშაოდ წავიდეს სხვა ქვეყანაში, ძირითადად, რუსეთში. ამისთვის მათ რუსეთის მოქალაქეობის მიღება და საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა უნევთ. *„ყველას არ აქვს რუსეთში გასვლის საშუალება, საქართველოს ძალიან ბევრმა მოქალაქემ დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა რუსეთთან გზის გასახსნელად. რომც ჩამოვიდნენ, სამ*

თვეზე მეტ⁷ ხანს ვერ რჩებოან. ასევე დასაქმებასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ახალქალაქში დასაქმებისას მნიშვნელოვანია ნაცნობობა – თუ ახლობელი გყავს, დასაქმებული ხარ, არ აქვს მნიშვნელობა, ხარ თუ არა განათლებული და ფლობ თუ არა ენას“ (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

აქაურ რესპონდენტთა განცხადებით, ახალქალაქში დასაქმების ძირითადი სფეროებია სკოლა, საბავშვო ბაღი, ადმინისტრაციული სტრუქტურები, აგრეთვე ვაჭრობა – ყიდიან თავიანთ ან სხვის პროდუქტებს ბაზარში, მოსახლეობის მცირე ნაწილი ფლობს საკუთარ მაღაზიებს. რესპონდენტთაგან დასაქმების სფეროებად დასახელდა ასევე პოლიცია, უნივერსიტეტი, ბანკები და საავადმყოფო, სადაც ძირითადად თბილისიდან და ასპინძიდან ჩამოსული ადამიანები მუშაობენ, რადგან, რესპონდენტთა თქმით, მათ კარგი განათლება აქვთ და ასევე კარგად იციან ქართული ენა. „ვაკანსიებს იკავებენ ჩამოსულები და ადგილობრივებისთვის ადგილი აღარ რჩება. ჩამოსულებს აქვთ ქართული განათლება და ადვილად საქმდებიან“ (ახალქალაქი, კაცი, 18-40).

ახალგაზრდა რესპონდენტთა თქმით, ხშირად პოლიტიკური შეხედულებები დიდ გავლენას ახდენს დასაქმების შესაძლებლობაზე. „ჩემი ცოლის ნათესავი არჩევნებზე მხარს უჭერდა თავის კაცს, არჩევნების შემდეგ კი, რადგან იცოდნენ, ვინ ვისი ადამიანია, ამის გამო არ დამასაქმეს“ (ახალქალაქი, კაცი, 18-40).

ახალქალაქელებმა მათი დასაქმების კიდევ ერთ ხელშემშლელ ფაქტორად დაასახელეს ის, რომ რეგიონში შემოსული ინვესტორები თავიანთ პროექტებში ძირითადად თავ-თავის კადრებს იყვანენ. რესპონდენტთა უმრავლესობამ ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე ილაპარაკა. ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ ამ თემაზე საუბარი, მაგრამ არ იციან, ვის მიმართონ. ადგილობრივ ხელისუფლებას ისინი ნაკლებად ენდობიან და ფიქრობენ, რომ ახალქალაქის ხელისუფლება მათ არ დაეხმარება. „რა ხელისუფლება, ჩვენი ჯიბიდან დავდეთ ფული სახურავების

⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილების თანახმად, 94 ქვეყნის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით ყოფნის უფლება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2867361>

გადასახურად (იგულისხმება ძლიერი ქარის შედეგად გადახდილი სახურავების შეკეთება. – ავტ.). ხელისუფლება არ არსებობს ახალქალაქში“ (ახალქალაქი, კაცი, 41-65).

მარნეულელ რესპონდენტთა ინფორმაციით, ქვემო ქართლის რეგიონშიც აღინიშნება მალალი შრომითი მიგრაცია. მოსახლეობა ძირითადად აზერბაიჯანში, თურქეთსა და რუსეთში მიემგზავრება, თუმცა, მათი შეფასებითაც, ბოლო პერიოდში მიგრაციის პროცესი გართულდა. აზერბაიჯანში წასვლა მათთვის გაძვირდა, ხოლო რუსეთში წასვლას საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა და ვიზების შემოღება ართულებს.

მათი თქმით, ეკონომიკური გაჭირვებიდან გამომდინარე, ქვემო ქართლის მოსახლეობა ხშირად ბანკებიდან იღებს სესხს ან საკუთარ სახლებსა და მანქანებს აგირავებს, შემდგომ კი, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ისინი ქონებას კარგავენ. უფროსი თაობის მარნეულელი რესპონდენტების თქმით, ახალგაზრდები რეგიონში მომრავლებულ კაზინოებში ხშირად იმის იმედით დადიან, რომ თანხას მოიგებენ.

მარნეულელ რესპონდენტთა შეფასებით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესაფერისი ვაკანსიების გამოცხადება არ ხდება. მათი ინფორმაციით, ყველაზე მეტი ვაკანსია მარნეულის იუსტიციის სახლსა და ბანკებში ცხადდება, სადაც, ისევე როგორც ახალქალაქში, ძირითადად თბილისიდან ჩამოსული ადამიანები საქმდებიან. მათი შეფასებით, ადგილობრივი მოსახლეობა მოთხოვნილ კვალიფიკაციასა და ქართულ ენას არ ფლობს. აქაურმა რესპონდენტებმა ყველაზე მეტად დასაქმებულ სფეროებად მინათმოქმედება, მესაქონლეობა და ვაჭრობა დაასახელეს. თუმცა, მათი თქმით, აღნიშნულ სფეროებშიც ქვემო ქართლის მოსახლეობას გარკვეული პრობლემები აქვს, რაც რეგიონში ადგილობრივებისთვის მიწის საკუთრებაში განაწილების საკითხს უკავშირდება. „სოფელში ადამიანმა სამუშაო შეიძლება მოიძიოს ორგან – სოფლის სკოლაში, სადაც მაქსიმუმ 30 მასწავლებელი მუშაობს, და გამგეობაში, თუ სოფელს აქვს გამგეობა. თქვეს, რომ მესაქონლეობაშიც არის პრობლემები. არ არის საძოვრები, რაც მიწის პრობლემას უკავშირდება. მიწის პრობლემა გლეხისა და ქვეყნის პრობლემაა. უმუშევრობის გამო ახალგაზრდობა გაედინება ქვეყნიდან და ქვეყანა ვერ ინარჩუნებს სპეციალისტს. ძირითადად მიდიან აზერბაიჯანში, მაგრამ

ნასვლას უკვე აღარ აქვს აზრი, რადგან იქ სიძვირეა, ქირით ცხოვრობენ, შემოსავლის ნახევარზე მეტი მიდის ქირაში. თურქეთში არასტაბილურობაა, რუსეთიც ეკონომიკურად ცუდ დღეშია“ (მარნეული, კაცი, 18-40).

უფროსი ასაკის რესპონდენტების ინფორმაციით, რეგიონში არიან ადამიანები, რომლებიც 100 ჰექტარზე მეტ მიწას ფლობენ და არიან ისეთებიც, რომლებსაც ერთი ჰექტარიც არ გააჩნიათ. მათი თქმით, საკუთრებაში დამტკიცების მიზნით მიწის განაწილებისას თავის დროზე ხალხის ინფორმირებულობამ იქონია გავლენა – ვინც თავის დროზე გაიგო მიწის კანონის შესახებ, შეიტანა კიდეც განაცხადი, ვინც ინფორმაცია ვერ მიიღო ან ვერ იაქტიურა, მიწის გარეშე დარჩა. მარნეულელმა რესპონდენტებმა ამ პრობლემის მოგვარების გზებზეც გამოთქვეს თავიანთი აზრი. „გამოსავალი მდგომარეობს შემდეგში – მაგალითად, ვისაც აქვს 100 ჰექტარი მიწა, მან, ვთქვათ, 20 ჰექტარი ამ 100-იდან რალაცნაირად გაასხვისოს ან გაყიდოს. აქ უკვე საქმეში უნდა ჩაერთოს სახელმწიფო. არის ისეთი ადგილებიც, რომელთა პრივატიზაცია ჯერ არ მოუხდენიათ. მუნიციპალიტეტებმა და ადგილობრივმა მთავრობამ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უნდა შეისწავლონ და შემდეგ, იმისდა მიხედვით, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება, იმას გადასცენ მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, ზოგადად, ეკონომიკის სამინისტრომ დაანერგა, რომ მიწის გადასახადი 100 ლარია, ცალკეა დამუშავებისა და მორწყვის ხარჯები, დაახლოებით 1000 ლარამდე ჯდება, რომ ადამიანმა ქირით აიღოს მიწის ნაკვეთი და დაამუშაოს. საიდან უნდა იშოვოს საწყალმა გლეხმა 1000 ლარი ან პენსიონერმა საიდან უნდა მოიტანოს ეს თანხა? თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემოსავალი, ანუ იქიდან აღებული პროდუქტი, ძალიან მიზერულია ან შეიძლება საერთოდ დაისეტყვოს კიდევაც. პირადად მეც მქონდა ქირით აღებული და დამუშავებული მიწის ნაკვეთი – ერთ წელს ჩემი პირადი ხელფასიდან მომიწია მიწის გადასახადების გასტუმრება. არავითარი მოგება და სარგებელი არ მიმიღია. არსებობს ათასობით ჰექტარი მიწა, ძალიან ნაყოფიერი, მაგრამ არ მუშავდება. გლეხებს რომ დარიგებოდათ და დაემუშავებინათ ეს მიწები, ეკონომიკურად სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგებოდა“ (მარნეული, კაცი, 41-65).

მარნეულელმა რესპონდენტებმა ისაუბრეს ასევე წყალთან დაკავშირებულ პრობლემებზეც. მათი თქმით, ქვემო ქართლის რეგიონში

წყალზე დიდი გადასახადები რომ არ არსებობდეს, მათ მიწის დამუშავების მეტი მოტივაცია და შესაძლებლობა გაუჩნდებოდათ. რესპონდენტების შეფასებით, სახელმწიფოს არ ძალუძს ფაბრიკა-ქარხნების აშენება და ხალხის დასაქმება, ამიტომ ფიქრობენ, რომ მიწის დამუშავებით მათი პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაიჭრებოდა. თუმცა, იმ გადასახადებისა და სიდუხჭირის ფონზე, რაც ახლა რეგიონშია, მიწისა და წყლის საკითხი მათთვის კვლავ პრობლემად რჩება; რა თქმა უნდა, თუ სახელმწიფო ცვლილებებს არ განახორციელებს, რაც გადასახადების შემცირებაში შეიძლება გამოიხატოს.

მიწის დამუშავების გარდა, რესპონდენტები დასაქმების შანსს ხედავენ მცირე ბიზნესის განვითარებაშიც, თუმცა არსებული საგადასახადო ჯარიმები მათთვის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს. ისინი ბიზნესისთვის უფრო თავისუფალ გარემოს ისურვებდნენ, რაც, რასაკვირველია, ისევ და ისევ ხელისუფლების დახმარებით თუ შეიქმნება. რესპონდენტების აზრით, ქვემო ქართლის რეგიონში მცირე ბიზნესი სუსტად არის განვითარებული, მიზეზად შემდეგი ფაქტორები დასახელდა: დიდი ბიუროკრატია, მაღალი გადასახადები, საგადასახადო ჯარიმები, საბანკო კრედიტების სირთულე.

ინტერვიუები ახალქალაქის ადგილობრივი სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

ახალქალაქის ადგილობრივ სამთავრობო წარმომადგენელთა ინფორმაციით, ეკონომიკური შემოსავლის თვალსაზრისით, მოსახლეობისთვის უმთავრესი საკუთარი მიწის დამუშავებაა. აქედან გამომდინარე, ისინი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალურ გზას, უპირატესად, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხედავენ და ამ მხრივ რეგიონში ამჟამად მიმდინარე სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროცესზე ამაზვილებენ ყურადღებას. როგორც გამგეობის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რეგიონის სარწყავი სისტემა ძველია და ამ ეტაპზე წყალი მინდვრებამდე შეზღუდულად აღწევს. თუმცა თანდათანობით სისტემის აღდგენის პროცესი წინ მიიწევა.

ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან აქ ძირითადად კარტოფილი მოჰყავთ, თუმცა მისი რეალიზაცია საკმაოდ პრო-

ბლემურია: გლეხებს თავად უხდებოდათ მყიდველის მოძიება, რადგან კარტოფილის გაყიდვა რაიმე ორგანიზებული წესით არ ხდებოდა. ამასთან, ადგილობრივ პროდუქტს სერიოზულ კონკურენციას უწევს უცხოეთიდან შემოტანილი კარტოფილი, რაც კიდევ უფრო ართულებს მის რეალიზაციას. როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია, თუკი სახელმწიფო თავად შეიძენს ახალქალაქის კარტოფილს საკუთარი სტრუქტურებისთვის, მაგალითად, ჯარისა და პატიმრებისთვის. ახალქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან დაწყებული მოლაპარაკებები, რომ ტენდერში პრიორიტეტი ადგილობრივ პროდუქციას მიენიჭოს.

ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა შეფასებით, დასაქმების საკითხი რეგიონში საკმაოდ მტკივნეულია. მაღალია შრომითი მიგრაცია უმთავრესად რუსეთის მიმართულებით. თვითმმართველობის წარმომადგენლები მიგრაციის ძირითად მიზეზებად უმუშევრობასა და საზღვარგარეთ მეტი თანხის გამომუშავების შესაძლებლობას ასახელებენ.

ახალქალაქში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა თქმით, სოფლის მეურნეობისა და მცირე მენარმეობის გარდა, სამუშაო ადგილებს რეგიონში მიმდინარე საკმაოდ მასშტაბური მშენებლობებიც ქმნის, მაგალითად, საავტომობილო გზებისა და ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა. თუმცა, როგორც მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუსჯგუფებიდან ირკვევა, ხშირ შემთხვევაში, ამ სამუშაო ადგილებზე ადგილობრივებს ხელი არ მიუწვდებათ, რადგან ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს, ძირითადად, თავიანთი პერსონალი ჩამოჰყავთ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერს დედაქალაქის ან საქართველოს სხვა რეგიონის, ან უცხოური კომპანია იგებს. თვითმმართველობის წარმომადგენლების განცხადებით, ამ პრობლემის მოგვარება რთულია და, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობა რეკომენდაციით მიმართავს გამარჯვებულ კომპანიებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვის პროექტებში შესაბამისი პროცენტული კვოტის გამოყოფის შესახებ, ხელისუფლებას არანაირი ქმედითი ბერკეტი არ გააჩნია ამის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, თუკი ამ სამუ-

შაობზე ადგილობრივებს ასაქმებენ, მათი შრომითი უფლებები დაცული არ არის და ხშირად იქმნება პრობლემები, მაგალითად, ხელფასების გაუცემლობასთან დაკავშირებით და ა. შ. თუმცა ადგილობრივი სამთავრობო წარმომადგენლები ინტერვიუებში იმასაც აღნიშნავენ, რომ თავად რეგიონის მოსახლეობის კვალიფიკაციის დონეც არ შეესაბამება მოთხოვნებს და გადამზადებას საჭიროებს – ადგილობრივები ტექნიკურ სპეციალობებს ძირითადად „კუსტარულად“, არაპროფესიული წესით ეუფლებიან. ამასთან, მათი თქმით, მსგავსი პროფესიებით ახალგაზრდობა ნაკლებად ინტერესდება და რეგიონში ამ დარგის სპეციალისტები უმთავრესად ძველი კადრები არიან.

რესპონდენტები ფიქრობენ, რომ განათლების ნაკლებობისა და სახელმწიფო ენის არცოდნის გამო სამუშაოს მაძიებლები მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან ანაზღაურებადი სამუშაოს ძებნისას. ამასთან, ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა თქმით, ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებენ, არ ირჩევენ ისეთ სპეციალობებს, რაც რეგიონში დასაქმებას უზრუნველყოფდა. მაგალითად, როდესაც რეგიონს სჭირდება ვეტერინარები, ინჟინრები, პედაგოგები, ხელოსნები (ელექტროშემდუღებლები, ელექტრიკოსები და ა. შ.), ახალგაზრდების უმეტესობას სურს ეკონომისტობა ან იურისტობა და შესაბამის ფაკულტეტებზე სწავლას ირჩევს. ამასთან, ისინი, ვინც თბილისში ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, უკან იშვიათად ბრუნდებიან. აქედან გამომდინარე, ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა მოსაზრებით, კარგი იქნებოდა, რეგიონში გახსნილიყო პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც ადგილობრივ კადრებს მოამზადებდა და გადაამზადებდა კიდევც.

ინტერვიუები ახალქალაქის ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

ახალქალაქის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა, რომ რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მათი თქმით, მოსახლეობის უმეტესობას სხვადასხვა ტიპის საბანკო კრედიტი აქვს აღებული, თუმცა სამეწარმეო ბიზნესსა თუ სოფლის მეურნეობის სფეროში განცდილი კრახის გამო ისინი ბანკების ვალს ვერ იხდიან და ქონებას კარგავენ. ადგილობრივები ვერც მშენებლობებზე საქმდებიან,

რადგანაც შემსრულებელ კომპანიებს სამუშაოდ თავიანთი პერსონალი ჩამოჰყავთ. ამ მიზეზების გამო დიდია შრომითი მიგრანტების რაოდენობა.

ახალქალაქის ბიზნესის სფეროს წარმომადგენლის აზრით, სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სათავე რეგიონის ცენტრისგან იზოლირებულობაა – პოლიტიკურ სტრუქტურებში წარმომადგენლობის არქონის გამო ცენტრში ადგილობრივების საჭიროებების შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვთ და, შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი პრიორიტეტული არ არის. გარდა ამისა, რესპონდენტების შეფასებით, არსებობს ცენტრალურ სამთავრობო სტრუქტურებთან კომუნიკაციის პრობლემებიც – თუკი სხვა რეგიონის წარმომადგენლებისადმი ნდობა და პიროვნული სიმპათიები ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პირადი კონტაქტების ნაკლებობის გამო ახალქალაქელების მიმართ დამოკიდებულება უფრო ოფიციალურია. რესპონდენტის აზრით, სწორედ ცენტრისგან იზოლირებულობა უშლის ხელს რეგიონს, ფეხი აუწყოს სოფლის მეურნეობასა და წარმოებასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

ბიზნესსექტორის წარმომადგენლის თქმით, ახალქალაქში ძირითადად განვითარებულია ვაჭრობაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესი. ამავე დროს, აქაური ტრადიციული სოფლის მეურნეობა და წარმოება არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად რესპონდენტმა ადგილობრივ მოსახლეობაში ბიზნესგანათლების ნაკლებობა დაასახელა. ამასთან, მისი თქმით, ინდემწარმედ დარეგისტრირებას ადგილობრივები იმიტომ გაურბიან, რომ ქართულ ენაზე დოკუმენტაციის შედგენა აშინებთ; თანაც რეგიონში ცოტაა ისეთი ბუღალტერი, ვინც თანამედროვე საფინანსო ელექტრონულ სისტემებთან მუშაობას შეძლებდა.

ახალქალაქის არასამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ რეგიონში პროფესიონალი კადრების დეფიციტზეც. მათი თქმით, რეგიონს სჭირდება თანამედროვე განათლების მქონე ბუღალტრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სპეციალობების წარმომადგენლები (ვეტერინარები, აგრონომები, მექანიზატორები და ა. შ.). არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა

ნაახალისოს ადგილობრივი ახალგაზრდები, რათა მათ სწორედ ეს მოთხოვნადი დარგები აირჩიონ და არა პრესტიჟულად აღქმული პროფესიები. თუმცა რესპონდენტები იმასაც შენიშნავენ, რომ ამ ეტაპზე დაუსაქმებლები მაინც არ რჩებიან ის სტუდენტები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი თბილისში დაამთავრეს და უკან დაბრუნდნენ – ქართული ენის ცოდნის გამო ისინი ძირითადად სკოლებსა და თვითმმართველობის სტრუქტურებში საქმდებიან.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ისეთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებსაც უშუალოდ უწევთ მუშაობა ზრდასრულთა განათლებისა და გადამზადების პროგრამებზე, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალქალაქში ფუნქციონირებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო სკოლაც, რომელიც ძირითადად საჯარო მოხელეებზეა ორიენტირებული და მათ ქართულ ენასაც ასწავლის. რესპონდენტთა თქმით, ყველასთვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო კურსებს (იგულისხმება როგორც სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის, ისე ზრდასრულთათვის განკუთვნილი კურსები), უმეტესწილად, გრანტებზე დამოკიდებული არასამთავრობო ორგანიზაციები უძღვებიან, შესაბამისად, დაფინანსების დასრულებისთანავე პროექტებიც წყდება. რესპონდენტებმა არასტაბილურობის პრობლემა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული პროექტების შემთხვევაშიც დაასახელეს. მაგალითად, ახალქალაქში დასახელდა საბავშვო ბაღებისთვის განკუთვნილი ქართულ-სომხური ორენოვანი პროგრამა, რომელიც ჯერ არასამთავრობო სექტორმა განახორციელა, შემდეგ სახელმწიფომ გააგრძელა, თუმცა პროექტი საბოლოოდ მაინც შეწყდა.

ინტერვიუები მარნეულის ადგილობრივი სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

მარნეულის სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუებში მოსახლეობისთვის შემოსავლის ძირითად წყაროდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა და დამამუშავებელ მრეწველობაში მუშაობა დასახელდა. რესპონდენტების შეფასებით, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მარნეულში სოფლის მეურნეობა უკეთაა განვითარებული, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც უკეთესია. მარნეულის თვითმმართვე-

ლობის წარმომადგენელთა თქმით, არც რეალიზაციის პრობლემაა აქტუალური, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტები: ხილი, ბოსტნეული და სხვ., ძირითადად, სწორედ მარნეულიდან მიაქვთ ბითუმად, ამასთან, განვითარებულია საზღვრისპირა ვაჭრობაც. მიუხედავად ამისა, უმუშევრობა და მაღალი შრომითი მიგრაცია მაინც პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა.

რესპონდენტებმა პრობლემად დაასახელეს აგრეთვე მიწების გადაფორმებასთან დაკავშირებული საკითხი, კერძოდ, საჯარო რეესტრში შექმნილი სირთულეები ენის ბარიერისა და დოკუმენტებში გვარ-სახელსა თუ ადგილმდებარეობის სახელწოდებაში მართლწერის მხრივ დაშვებული შეცდომების გამო.⁸

ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე მშენებლობებზე ადგილობრივთა დასაქმების საკითხი, რაც ახალქალაქში განსაკუთრებით პრობლემატურია, მარნეულის თვითმმართველობის წარმომადგენლის აზრით ნაკლებად მწვავეა. შემსრულებელმა კომპანიამ შეიძლება კონკრეტული სამუშაოსთვის ცალკეული სპეციალისტები ჩამოიყვანოს, მაგრამ ძირითადად მაინც ადგილობრივებს ასაქმებს. მეორე მხრივ, მარნეულშიც აღნიშნავენ, რომ თვითმმართველობას ადგილობრივთა დასაქმების უზრუნველსაყოფად რეალური ბერკეტი არ გააჩნია და მხოლოდ სიტყვიერი რეკომენდაციის გაწევა შეუძლია.

მარნეულის თვითმმართველობის წარმომადგენელთა მოსაზრებით, ანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნაში მოსახლეობას ხელს უშლის როგორც განათლების ნაკლებობა, ისე სახელმწიფო ენის არცოდნა. გარდა ამისა, რეგიონში სპეციფიკური კადრების ნაკლებობაცაა, მაგალითად, აგრონომებისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგის სპეციალისტების. ამასთან, რესპონდენტების თქმით, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ტექნოლოგიები ინერგება, რეგიონში არ არსებობენ ამ სფეროში მომუშავე ოპერატორები. შესაბამისად, საჭიროა სათანადო გადამზადების

⁸ 2016 წლის 1-ლი აგვისტოდან ამოქმედდა კანონი, რომლის თანახმადაც, გამარტივდა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული წესები. გარდა ამისა, იუსტიციის შესაბამისი სამსახური მოქალაქეებს საამზომველო ნახაზის შედგენის, დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების უფასო სერვისს სთავაზობს.

კურსები აღნიშნულ სფეროში დასაქმებული პერსონალისთვის. ამ პრობლემების დაძლევის საუკეთესო გზად თვითმმართველობის წარმომადგენლები მარნეულში საქართველოს ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების ფილიალების გახსნას მიიჩნევენ. ასევე ხაზგასმით ითქვა, რომ მარნეულში სასურველია სამკერვალო პროფესიული სასწავლებლის არსებობაც.

ინტერვიუ მარნეულის ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან

შრომითი მიგრაციის პრობლემა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან ინტერვიუშიც გამოვლინდა. ამის მიზეზად ძირითადად საზღვარგარეთ „იაფი და შავი სამუშაოს“ შოვნის მეტი შესაძლებლობა სახელდება. რესპონდენტის განმარტებით, ანაზღაურებად სამსახურში დასაქმება მარნეულის მცხოვრებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროში თვითდასაქმება გაცილებით შემოსავლიანია და საზღვრისპირა ვაჭრობასაც მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

მარნეულში სპეციფიკური კადრების სიმცირესა და განათლების ნაკლებობაზე აქცენტი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმაც გააკეთა. მოსახლეობაში თანამედროვე ბიზნეს და საბუღალტრო განათლების ნაკლებობა კოოპერატივების ჩამოყალიბებასაც კი პრობლემურს ხდის, არადა, ადგილობრივებისთვის ეს ხშირ შემთხვევაში უფრო მომგებიანი იქნებოდა. რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ რეგიონში დღესაც, ძირითადად, „შუა საუკუნეების ტიპის მეურნეობებია“ გავრცელებული, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებს ნაკლებად მიესადაგება.

ძირითადი მიგნებები: ფოკუსჯგუფებისა და ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა, ვაჭრობა და მცირე მენარმეობა. სამუშაო ადგილებს ქმნის რეგიონებში მიმდინარე მასშტაბური მშენებლობებიც. გარდა ამისა, ადგილობრივები სხვადასხვა საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ სტრუქტურაში საქმედებიან.

ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებასთან დაკავშირებით ძირითადად შემდეგი სირთულეები დასახელდა: მოსახლეობის უმეტე-

სობის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, არასაკმარისი კვალიფიკაცია, განათლება ადგილობრივ სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო სფეროში, ნეპოტიზმი; მასშტაბურ მშენებლობებზე მომუშავე კომპანიების მიერ საკუთარი პერსონალის ჩამოყვანა და ადგილობრივების დასაქმებაზე უარის თქმა; სხვადასხვა სტრუქტურაში დასაქმებისას დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულებების ნიადაგზე.

სოფლის მეურნეობის სფეროში შემდეგი პრობლემები გამოვლინდა: მიწების საკუთრებაში გადაფორმებასა და განაწილებასთან დაკავშირებული პრობლემები, მაღალი გადასახადები, ძველი სარწყავი სისტემა (რომლის რეაბილიტაცია ამჟამად მიმდინარეობს), მეურნეობის თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა, თანამედროვე ტექნოლოგიების ასათვისებლად კვალიფიკაციის ნაკლებობა, არაორგანიზებულ რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები (გლეხებს თავად უწევთ მყიდველის მოძებნა).

მენარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ ბარიერებზე საუბრისას აღინიშნა როგორც ბიზნესგანათლების ნაკლებობა და საერთო დაბალი დონე რეგიონში, ისე ბიუროკრატიული პროცედურების სირთულე (რაც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო კიდევ უფრო პრობლემური ხდება); მაღალი გადასახადები და საგადასახადო ჯარიმები, საბანკო კრედიტებთან დაკავშირებული სირთულეები.

4.1.2. სამუშაო ადგილებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ფოკუსჯგუფები ადგილობრივ მოსახლეობასთან

ახალქალაქში გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას ახალგაზრდა რესპონდენტები უმთავრესად ნაცნობებისგან, რეგიონული ტელევიზიის „მორბენალი სტრიქონიდან“ და ინტერნეტით (ვებგვერდი jobs.ge) იგებენ. რესპონდენტების თქმით, გამოცხადებულ ვაკანსიაზე დასაქმების შანსი რომ გქონდეს, „კარგი ნაცნობი“ უნდა გყავდეს. ყველაზე ხშირად სამუშაო ვაკანსიები ადგილობრივ გამგეობაში ცხადდება. დასაქმების წინაპირობად ქართული და სომხური ენის ცოდნა სახელდება. მსურველები ტესტურ გამოცდა-

საც აბარებენ. ახალგაზრდა რესპონდენტთა ინფორმაციით, არის შემთხვევები, როდესაც ისინი, ვინც უკვე მუშაობს ამ თანამდებობაზე, გამოცდას ვერ აბარებენ და მაინც რჩებიან დასაქმებულები, ან ყოფილა შემთხვევა, როდესაც მსურველს გამოცდა ჩაუბარებია, მაგრამ მაინც არ აუყვანიათ სამსახურში.

ახალქალაქის უფროსი თაობის რესპონდენტები გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ იშვიათად იგებენ ინფორმაციას. მათი თქმით, ჩვეულებრივ, ასეთი ამბები მხოლოდ ახლობლების ძალიან ვიწრო წრეში ხმაურდება.

სტაჟირების პროგრამების შესახებ ახალქალაქის ახალგაზრდა რესპონდენტები ინფორმირებული არიან. მათი თქმით, სტაჟირება ძირითადად ბანკებსა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებში ცხადდება. მათი აზრით, ვაკანსიით რეალურ დაინტერესებას არ აქვს აზრი, რადგან „თუ იცი, რომ ამ ადგილზე არის ადამიანი, რატომღა უნდა იარო სტაჟირებაზე? თუ იცი, რომ მაინც არ აგიყვანენ. (...) ეს ყველაფერი მალულად კეთდება, ვაკანსია ცხადდება ვაკანსიისთვის“ (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

მეორე მხრივ, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდნენ იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად სახელმწიფო, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეებისთვის გრანტებს გასცემს. მაგალითად, 2014 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებენ პროგრამას „ანარმოე საქართველოში“, რომელიც მენარმეებზეა გათვლილი და მათ ახალი სანარმოების შექმნასა და არსებულის გაფართოებაში ეხმარება.⁹ გარდა ამისა, არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული ისეთი პროგრამები და პროექტები, როგორებიცაა: „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ (შედის „ანარმოე საქართველოში“ – აგრონაწილი), „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი სანარმოებისა და შემნახველი სანარმოების თანადაფინანსების პროექტი“, პროგრამები „დანერგე მომავალი“ და „აგროდაზღვევა“, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა (ქართული

⁹ ანარმოე საქართველოში: <http://www.qartuli.ge/>

ჩაი), „სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (სეზონურად), „ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (სეზონურად).¹⁰ ამასთან, ფუნქციონირებს კოოპერატივების მხარდაჭერი პროგრამები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ტექნიკითა და სათესებით უზრუნველყოფს.¹¹

ის რესპონდენტები, რომლებიც შედარებით ინფორმირებული არიან, ამ ტიპის პროგრამებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ. რესპონდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ წარმატებისა და პროექტის დაფინანსებისთვის აუცილებელია გყავდეს „კარგი ნაცნობი“. გარდა ამისა, საჭიროა ასევე ქართული ენის ცოდნა. ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, ინფორმაცია ადგილობრივებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად კი, უპირველესად, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და საჭირო ფორმულარების შევსება, რომლებიც ძირითადად ქართულ ენაზეა. ერთ-ერთი რესპონდენტი მამაკაცის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ იარსებებდა ისეთი საინფორმაციო ცენტრები, სადაც პროგრამებით დაინტერესებული პირები მივიდოდნენ და საჭირო ინფორმაციას მათთვის გასაგებ ენაზე მიიღებდნენ.

მარნეულშიც, ახალქალაქის მსგავსად, რესპონდენტები სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას ძირითადად სანაცნობო წრეებიდან იღებენ. ამბობენ, რომ ვაკანტურ ადგილებზე დასაქმება მხოლოდ ნაცნობ-ნათესავების გავლენით არის შესაძლებელი. მათი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ რეგიონში დასაქმების სააგენტოს ტიპის ორგანიზაცია იარსებებდა, რომელიც დასასაქმებლებისა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას შეაგროვებდა და გაავრცელებდა. „(...) არ გვაქვს ბაზა. არის რაღაც საიტები, მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა გვექონდეს, რომ ახალგაზრდამ იცოდეს, სად მოძებნოს სამუშაო ადგილი. გამოსავალი ის არის, რომ მუნიციპალიტეტს მივმართოთ ბაზის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში, აფთიაქებში, იუსტიციის სახლშიც დასაქმდებიან. აქ ბევრი ადამიანი ცხოვრობს, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები... მთავარია, და-

¹⁰ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო: <http://apma.ge/>

¹¹ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო: <http://acda.gov.ge>

საქმდნენ ისინი, ვისაც შესაბამისი სპეციალობა აქვს“ (მარნეული, ქალი, 18-40).

გრანტები, რომლებსაც სახელმწიფო სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად გასცემს, მარნეულელმა რესპონდენტებმაც პრობლემურად შეაფასეს. პროექტების დაწუნების ყველაზე ხშირ მიზეზად რესპონდენტებმა დაასახელეს მიკერძოებულობა, „თავიანთთვის ხელსაყრელი ადამიანებისთვის“ უპირატესობის მინიჭება და აღნიშნეს ისიც, რომ პროგრამების ფარგლებში მოთხოვნილი წინაპირობების დაკმაყოფილება მათთვის მეტისმეტად რთულია. ხშირად ხდება, რომ წარდგენილ პროექტებს იწუნებენ, შემდეგ კი მათგან შეთავაზებულ იდეას სხვა ახორციელებს. წინაპირობებიდან გამომდინარე, სარგებლის ნაცვლად მსურველები ზარალს უფრო ხედავენ და ამიტომ მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. *„მე ასეთი რამეებით დაინტერესებული ადამიანი ვარ... ამას წინათ იყო, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 10 000-ლარიანი გრანტი გამოყო სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ასეთ პროგრამებს ხეირზე უფრო მეტად ზარალი მოაქვს. მაგალითად, მეუბნება, რომ ამდენი და ამდენი ოდენობის ჰექტარი უნდა მქონდეს და ეს ჰექტარი, რაც მთავარია, უნდა შემოვლო. ამისი შემოვლობა მე დაახლოებით 3000 ლარი დამიჯდება. გარდა ამისა, თვითონ ის სახნავად ვარგისი მიწა, გრუნტი 40 სმ-ის უნდა იყოს, რაც ძალიან იშვიათია. ტრაქტორი როდესაც ხნავს, 40 სმ მაინც უნდა იყოს სიღრმე. ეს ყველაფერი მე მიჯდება 5000 ლარი და მერე აღარ მიღირს და ამიტომაც არ ვმონაწილეობ“* (მარნეული, კაცი, 41-65).

ინტერვიუები ახალქალაქის ადგილობრივი სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

როგორც მარნეულის, ისე ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არსებობს სახელმწიფო პროგრამები (გულისხმობენ დასახელებულ პროგრამებს), რომლებიც ფერმერებს ნერგებითა და ტექნიკით ეხმარება. მათი თქმით, ამ პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ძირითადად ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით ხდება, როდესაც საინფორმაციო გადაცემებში ფერმერებთან ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრები შუქდება.

ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, უშუალოდ სოფლის მეურნეობისა და მენარმეობის მხრივ რეგიონებს შორის კომუნიკაცია და გაცვლითი პროგრამების სახით გამოცდილების ორგანიზებული გაზიარება ნაკლებია. თუმცა, მათი განმარტებით, ამის საჭიროება არც არსებობს, რადგან სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ბუნებრივი პირობებია და ამის გამო რეგიონების გამოცდილებაც ერთმანეთთან შეუსაბამოა. ასევე აღინიშნა, რომ ამ მხრივ გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესინტერესებსა და ინვესტორების მოზიდვას, ვიდრე რეგიონების ურთიერთთანამშრომლობას სოფლის მეურნეობისა და მენარმეობის სფეროებში.

რაც შეეხება ანაზღაურებადი სამუშაოს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, ვაკანსიები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება. რესპონდენტები სკეპტიკურად უყურებენ დასაქმების სააგენტოს ან მონაცემთა ბაზის შექმნის იდეას, რომელიც ვაკანსიების მაძიებლებისა და დამსაქმებლის პირობებს ერთმანეთს შეუსაბამებდა. მათი თქმით, მსგავსი სააგენტო რეალურად არაფერს იძლევა.

ინტერვიუები ახალქალაქის ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

ახალქალაქის ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროგრამები (იგულისხმება დასახელებული პროგრამები) ახალქალაქამდე ნაწილ-ნაწილ აღწევს, ანუ არ ხდება მოსახლეობის მასობრივად ინფორმირება. მაგალითად, კონკრეტული პროგრამის შესახებ ხშირად საკმარისი რაოდენობით არ იბეჭდება და არ რიგდება საინფორმაციო ბუკლეტები. სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული სიახლეები, ჩვეულებრივ, მხოლოდ სოციალურად აქტიურ ადამიანებამდე აღწევს და, შესაბამისად, პროგრამებშიც მუდმივად ერთი და იგივე ადამიანები ხვდებიან. გარდა ამისა, როგორც ბიზნესწარმომადგენელმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამები ძირითადად გამიზნულია ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის რელევანტური არ არის. ასეთებია, მაგალითად, ღვინო, ჩაი, ციტრუსები და ა. შ., მაშინ როდესაც არ არსებობს კარტოფილზე ორიენტირებული მსგავ-

სი ტიპის პროგრამა. არადა, კარტოფილს ძალზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია მთელი რეგიონისთვის და სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ახალქალაქსა და მთელ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს შეუძლია საქართველოს საკმაოდ დიდი ნაწილის უზრუნველყოფა ამ პროდუქტით. იმავე რესპონდენტის განმარტებით, პრობლემას ქმნის ისიც, რომ მიწების პრივატიზაციის პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და, აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება მათი დამუშავება, რაც თავისთავად გულისხმობს კარტოფილის წარმოების შემდგომი განვითარების შეფერხებასა და ფასების ზრდას. ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, რესპონდენტის შეფასებით, როცა საქმე მცირე მეწარმეობასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მცირე სახელმწიფო გრანტებს ეხება, პრობლემას ქმნის ბიზნესგანათლების ნაკლებობა და ენობრივი ბარიერი, რის გამოც, მოსახლეობას განაცხადის შეტანის პროცედურის გავლაც კი არ შეუძლია. ამ დაბრკოლების გადალახვის რეალურ გზად ბიზნესწარმომადგენელს სპეციალური ცენტრების დაარსება მიაჩნია, სადაც მცირე ანაზღურების სანაცვლოდ მოსახლეობას ბიზნეს-იდეისა და გეგმის ქართულ ენაზე ჩამოყალიბებაში დაეხმარებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, რეგიონში პრობლემები არსებობს სხვადასხვა ტიპის სტაჟირების პროგრამებთან დაკავშირებითაც, რომლებიც, ახალქალაქის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის თქმით, უმთავრესად სკოლებსა და საჯარო-პოლიტიკურ სტრუქტურებშია გათვალისწინებული. აღინიშნა, რომ ამ ადგილებს მუდმივად ერთი და იგივე ადამიანები იკავებენ და სხვებს, წესისამებრ, უარს ეუბნებიან.

ინტერვიუები მარნეულის ადგილობრივი სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

მარნეულის სამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება სოფლის რწმუნებულებს ევალებათ, რომლებსაც, თავის მხრივ, კონკრეტული სამინისტროების წარმომადგენლები უტარებენ წინასწარ ტრენინგებს.

ახალქალაქის მსგავსად, პროგრამების შესახებ მოსახლეობა ან ნაკლებად ინფორმირებულია, ან მათდამი სკეპტიკურად არის

განწყობილი. სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით უფრო სრული ინფორმაციის მისაღებად კვლევის ფარგლებში შედგა ინტერვიუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მარნეულის ოფისის წარმომადგენელთან. რესპონდენტის თქმით, პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება როგორც ადგილობრივი ტელევიზიით, ისე მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრების დროსაც. იბეჭდება აგრეთვე საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც რიგდება მოსახლეობაში და ვრცელდება მარნეულის იუსტიციის სახლის მეშვეობით. მოსახლეობასთან ურთიერთობის საშუალებად ასევე დასახელდა ელექტრონული კომუნიკაცია, მაგალითად, სოციალური ქსელი („ფეისბუქი“) და ელექტრონული ფოსტა. თუმცა რესპონდენტი თავადვე აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ საშუალებებს ნაკლებად იყენებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გარდა, არაქართულენოვან მოსახლეობას ხელს უშლის ასევე ენობრივი ბარიერი. ზემოხსენებული ბროშურების უმეტესობა მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოცემული (თუმცა აღინიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი რუსულ და ეროვნული უმცირესობების ენებზეც დაიბეჭდა). გარდა ამისა, გრანტის მოსაპოვებლად განაცხადის შეტანა მხოლოდ სახელმწიფო ენაზეა შესაძლებელი. რესპონდენტის აზრით, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ადგილობრივებს ზოგჯერ ქართულის მცოდნე ნათესავი მოჰყავთ ან თავად სააგენტოს წარმომადგენლები ეხმარებიან. მსგავსი ტიპის დახმარება პრობლემას ვერ აღმოფხვრის და ენის ბარიერი დამაბრკოლებელ გარემოებად რჩება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტს არა მხოლოდ დოკუმენტების შეგროვება უწევს, არამედ იდეის, გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ წერილობითი ტექსტის შედგენაც. შესაბამისად, ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით, ეროვნული უმცირესობები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მათი წარმომადგენლების უმრავლესობამ სახელმწიფო ენა არ იცის.

ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აგრეთვე სახელმწიფო პროგრამებით მოთხოვნილი კრიტერიუმების არარეალურობის შესახებ. ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლის თქმით,

ეს კრიტიკერიუმები სამეცნიერო დასკვნებს ეფუძნება (ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სფეროში) და მათი დაკმაყოფილება საკმაოდ რეალურია. უშუალოდ სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების გარდა, ყურადღება გამახვილდა გადამმუშავებელი და შემნახველი (სამაცივრე მონყობილობები) საწარმოების თანადაფინანსების პროექტებზე. იმავე რესპონდენტის აზრით, მართალია, მარნეულის რაიონი მდიდარია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მხრივ, მაგრამ პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა აქაც არსებობს. შემნახველი საწარმოების ქსელი მოაგვარებდა მალფუჭებად პროდუქტებთან დაკავშირებულ სირთულეებს და შესაძლებელს გახდიდა მათს სრულ რეალიზაციას. ამ მხრივ რესპონდენტმა ისაუბრა ექსპორტის მნიშვნელობაზეც და აღნიშნა, რომ ქართულმა პროდუქტმა თანდათან უნდა დააკმაყოფილოს ევროსტანდარტები და ევროპული ბაზარიც აითვისოს.

უშუალოდ სოფლის მეურნეობისა და მენარმეობის დარგებში რეგიონებს შორის კომუნიკაცია და გაცვლითი პროგრამების მეშვეობით გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა მარნეულის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ინტერვიუებშიც გამოვლინდა.

რაც შეეხება ანაზღაურებად სამუშაოსთან დაკავშირებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, მარნეულის თვითმმართველობის წარმომადგენლის თქმით, ქალაქის სიმცირის გამო ვაკანსიებზე ინფორმაციას თავად მოსახლეობა ატყობინებს ერთმანეთს. რესპონდენტების ვარაუდით, დასაქმების სააგენტოს ან მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ვაკანსიების მაძიებლებისა და დამსაქმებლის პირობებს ერთმანეთს შეუსაბამებდა, განსაკუთრებულ სარგებლობას არ მოიტანს.

ძირითადი მიგნებები: კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ მოსახლეობა **არსებული ვაკანსიების შესახებ** ინფორმაციას ძირითადად იღებს ნაცნობების, რეგიონული ტელევიზიის „მორბენალი სტრიქონისა“ და დასაქმების ვებგვერდების მეშვეობით. თუმცა არ არსებობს რაიმე სახის სააგენტო, რომელიც ადგილობრივებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახურის მოძებნაში დაეხმარებოდა.

აღმოჩნდა, რომ მოსახლეობას საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია სოფლის მეურნეობისა და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის მიზნით არსებული **სახელმწიფო პროგრამების შესახებ** – ბუკლეტები

საკმარისი არ არის და, რაც არის, ძირითადად მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი. მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელების პრობლემების გარდა, სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული შემდეგი სახის სირთულეებიც დასახელდა: არაერთ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროგრამები ნაკლებადაა მორგებული კონკრეტული რეგიონის თავისებურებებს, ზოგჯერ არარეალისტურია შეფასების კრიტერიუმები, ამასთან, მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი ბიზნესგანათლება და ქართულ ენაზე განაცხადის შეტანაც უჭირს.

სკეპტიკური განწყობები ვლინდება როგორც გამოცხადებული ვაკანსიების, ისე სახელმწიფო პროგრამების შემთხვევაში – ფოკუს-გუფების მონაწილეების შეფასებით, ნეპოტიზმის გამო რიგითი ადამიანები ვერც სამსახურს და ვერც დაფინანსებას ვერ მოიპოვებენ.

4.1.3. დასაქმების სფეროს განვითარების პერსპექტივები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ფოკუს-გუფები ადგილობრივ მოსახლეობასთან

ახალქალაქელი რესპონდენტები დასაქმების შანსს, სოფლის მეურნეობის გარდა, სხვადასხვა სექტორშიც ხედავენ, თუმცა ამ სექტორების განვითარების სირთულეებსაც აღნიშნავენ. „სოფლის მეურნეობაში ისედაც არიან დასაქმებულები. ვისაც არ ეზარება, შეუძლია მოიყვანოს კარტოფილი, მაგრამ მის რეალიზაციას ვერ შეძლებს, რადგან კონკურენციას უწევს თურქეთიდან შემოტანილი უფრო იაფი პროდუქცია. ჩვენი მოსახლეობის დასაქმება შეიძლება თუნდაც მას შემდეგ, რაც რკინიგზა გაიხსნება. იქნება ბევრი სასტუმრო, გვაქვს ეროვნული პარკი, ანუ აქ შეიძლება ტურიზმის განვითარება. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ტურიზმის სფეროს სპეციალისტები არ გვყავს“ (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

ახალქალაქელი რესპონდენტების აზრით, მშენებლობის, რკინიგზისა და ენერგეტიკის სფეროების განვითარების შედეგად მოსახლეობას რეალურად გაუჩნდება დასაქმების შანსი. ისინი წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ არც რკინიგზის და არც ჰესის მშენებლობაზე ერთი ადგილობრივი მცხოვრებიც კი არ არის დასაქმებული. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ, შესაბამისი ბერკეტების გამოყენებით, სახელმწიფო უფრო აქტიურად

უნდა ჩაერიოს მსგავსი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში; კერძოდ, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან კონტრაქტის დადებისას ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება სავალდებულო წინაპირობად უნდა ჩაიდოს. „თუნდაც 50-50-ზე რომ იყოს (ანუ მუშახელის 50 პროცენტს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდეს, 50-ს კი – გამარჯვებული კომპანიის მიერ მიყვანილი პერსონალი – ავტ.). ელემენტარულად, მძღოლის პოზიციაზეც არ იყვანენ. ვინც მუშაობდა, ყველა გადააგდეს, ანაზღაურების თვალსაზრისით“ (ახალქალაქი, კაცი, 18-40).

„სახელმწიფოს დამოკიდებულება თურქული კომპანიებისადმი მეტისმეტად ლოიალურია. ვასაგებია, რომ გამოცხადებულია ტენდერი, ვინც გაიმარჯვებს, ის ახორციელებს პროექტებს და ჩამოდის თავისი დაქირავებული იაფი მუშახელით. ადგილობრივი მოსახლეობა რჩება დაუსაქმებელი. იყო შემთხვევები, როცა რკინიგზის მშენებლობის დროს რამდენიმე ადგილობრივი დაიქირავეს, მაგრამ მათთან კონტრაქტები არ გაუფორმებიათ. ხალხი მუშაობდა თავისი ტექნიკით, დამსაქმებელს ნებისმიერ დროს შეეძლო ეთქვა, რომ აღარ გადაუხდოდა. ამ სფეროში სახელმწიფოს აღარ აქვს იურიდიული უფლებები. ეს კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ისე, როგორც მას უნდა. ამით ბევრი ადამიანი დაზარალდა, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმდნენ, შემდეგ კი ისევ რუსეთში წავიდნენ“ (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

ახალქალაქელი და მარნეულები რესპონდენტების აზრით, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში, ახალი სფეროების განსავითარებლად აუცილებელი სპეციალობებისა და სათანადო კვალიფიკაციის პროფესიონალების ნაკლებობაა.

ბიზნესის გაფართოების თვალსაზრისით, ახალქალაქელი და მარნეულები რესპონდენტები გამოსავალს საქართველოს სხვა რეგიონებთან სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში სხვადასხვა გაცვლითი პროგრამის განვითარება-დანერგვაში ხედავენ. მათი შეფასებით, გაცვლითი პროგრამები გააადვილებს ქართული ენის შესწავლასა და გამოცდილების გაზიარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას შორის. რესპონდენტთა უმრავლესობა, როგორც მარნეულში, ისე ახალქალაქში, იზიარებს პოზიციას, რომლის თანახმადაც, მოსახლეობას მეტი ურთიერთობა და კავშირები სჭირდება დანარჩენ საქართველოსთან.

ინტერვიუები ახალქალაქის ადგილობრივი სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა თქმით, ადგილობრივთა დასაქმების სფეროდ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამამუშავებელი საწარმოებიც მოიაზრება. აღინიშნა, რომ რეგიონში უკვე მუშაობს რამდენიმე ასეთი საწარმო, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი არ არის. ითქვა ისიც, რომ არსებობს ხორციისა და რძის კომბინატის გახსნის, ასევე ადგილობრივი „ჩიფსების“ წარმოების პოტენციალი. ამასთან, თვითმმართველობის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მინიჭება ხელსაყრელ გარემოს შექმნის ბიზნესისა და წარმოების განვითარებისთვის, რადგანაც ამ შემთხვევაში მენარმე სუბიექტები გადასახადებისგან თავისუფლდებიან.¹²

ახალქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები რეგიონის ეკონომიკური წინსვლისთვის, აგრარულ სექტორთან ერთად, საყურადღებოდ მიიჩნევენ ასევე ტურიზმის განვითარებას. ახალქალაქის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ნელ-ნელა შენდება გზა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ახალქალაქსა და ბაკურიანს, ხოლო 2017 წლისთვის დასრულდება ახალქალაქის ციხის რესტავრაცია. თვითმმართველობის წარმომადგენელთა ნაწილი შენიშნავს, რომ ახალქალაქში ტურისტების მისაღებად სასტუმროები კი არსებობს, მაგრამ ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოუწყობელია – არ დგას მიმართულების მაჩვენებლები, არ არსებობს გიდების მომსახურება და ა. შ.

ინტერვიუები ახალქალაქის ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

ახალქალაქში, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, აგრარული სექტორის გარდა არსებობს სხვა პერსპექტიული სფეროებიც, რომელთა განვითარება რეგიონის

¹² საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 16 ივლისი, 2015 წ. <http://mof.ge/images/File/alpine/kanoni-magalmntiani-regione-bis-ganvitarebis-shesaxeb.pdf>

სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. რეალური პოტენციალის მიმართულებებზე დასახელდა, მაგალითად, სასმელი წყლის ჩამოსხმა, გრანიტის მოპოვება, აგრეთვე მეთევზეობა. აქედან გამომდინარე, აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ამ სფეროების განვითარებაზე ორიენტირებული შესაბამისი მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები.

ინტერვიუები მარნეულის ადგილობრივი სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოებზე, ერთი მხრივ, ბოსტნეულისა და ხილის გადამმუშავებელ (მაგ. პომიდვრის საწებელი, ჩირი და ა. შ.) საწარმოებზე, მეორე მხრივ კი, პროდუქტის შემნახველი მაცივრებისა და სასათბურე მეურნეობების განვითარების აუცილებლობაზე. გარდა ამისა, ხაზი გაესვა მესაქონლეობის განვითარების პოტენციალსა და მნიშვნელობას.

სოფლის მეურნეობის გარდა, რესპონდენტებმა ტურიზმის განვითარების შესაძლებლობაზეც ისაუბრეს. მარნეულის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ თვალსაზრისით აუცილებელია ყურძნის უძველესი ჯიშების პოპულარიზაცია, ასევე რეგიონის მრავალკულტურული გარემოს მაქსიმალურად წარმოჩენა.

ძირითადი მიგნებები: ფოკუსჯგუფებსა და ინტერვიუებში რესპონდენტები დასაქმების სფეროს განვითარების პერსპექტივას ძირითადად **სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, შენახვისა და დამუშავების**, ასევე **ტურიზმის** მიმართულებით ხედავენ. აღინიშნა რეგიონებისთვის სპეციფიკური ალტერნატიული რესურსების გამოყენების აუცილებლობაც, მაგალითად, ახალქალაქში სასმელი წყლის ჩამოსხმა, გრანიტის მოპოვება და ა. შ.

4.2. საქართველოს პოლიტიკური პარტიების პოზიცია ეროვნულ უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებით

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ეკონომიკური მომძლავრებისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებზე დასახელებენ აგრო-

კულტურული კომპლექსის, მეცხოველეობის, ენერგეტიკისა და საზღვრისპირა ვაჭრობის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ბუნებრივი რესურსების განსხვავებულობაზე. მათი აზრით, სამცხე-ჯავახეთის მინები, ქვემო ქართლის მინებთან შედარებით, მწირია და სოფლის მეურნეობის პერსპექტივის მხრივ – ნაკლებად მოგებიანი. აქედან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უფრო მიზანშეწონილია მეცხოველეობის, ტურიზმისა და საზღვრისპირა ვაჭრობის განვითარება. პოლიტიკოსთა დიდმა ნაწილმა აღნიშნულ რეგიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და საკონსერვო წარმოების ხელშეწყობის აუცილებლობაზე ისაუბრა. ერთ-ერთი პოლიტიკოსის შეფასებით, სოფლის მეურნეობის სფეროში მძიმე მდგომარეობაა, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის მხრივ საქართველოს, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი რესურსები აქვს. მისი თქმით, *„დღეს აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები გლეხი მონეული მოსავლის 86 პროცენტს თავად მოიხმარს და მხოლოდ 14 პროცენტი ჩააქვს ქალაქში გასაყიდად. სოფლის მეურნეობის პროდუქციის 90 პროცენტი კი უცხოეთიდან შემოაქვთ“*. ამ პრობლემის დასაძლევად პოლიტიკოსებს აუცილებლობად მიაჩნიათ მოთხოვნაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის განვითარება, რაც გულისხმობს ადგილობრივი პროდუქციის გასაღების ბაზრის ხელშეწყობას როგორც ადგილობრივად, ისე საზღვარგარეთ.

ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მიწასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მისი თქმით, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს დიდი პოტენციალი აქვთ მეცხოველეობის, მებოსტნეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებისთვის და საამისოდ ამ რეგიონების მოსახლეობას მიწები სჭირდება. რესპონდენტის შეფასებით, მოსახლეობაში მიწები, განსაკუთრებით ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, უსამართლოდ არის განაწილებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში მიწის რეფორმის გატარება და იჯარით გაცემული მიწების ხელახალი განაწილება. რესპონდენტისგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად დასახელდა მოსახლეობისთვის მიწაზე საიჯარო გადასახადების შემცირება, ასევე, მენარმეობისა და კოოპერატივების განვითარე-

ბის მიზნით, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა, რაც ნაწილობრივ მაინც მოაგვარებდა უმუშევრობის პრობლემას.

პოლიტიკოსთა ნაწილის შეფასებით, ეს პრობლემა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ნაკლებად აქტუალურია, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულია და მათ საკმაოდ კარგი შემოსავალიც აქვთ. პოლიტიკოსებიც ადასტურებენ, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამსახურის დასაწყებად პირადი კონტაქტები აუცილებელი ფაქტორია. ამის მიზეზად კი წლების განმავლობაში შეუცვლელი ადგილობრივი თვითმმართველობის კადრები დასახელდა. დასაქმების სფეროში ნეპოტიზმისა და კორუფციული გარიგების აღმოსაფხვრელად, პოლიტიკოსების აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თვითმმართველობაში სათანადო საკადრო პოლიტიკის წარმართვას, რაც ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე კადრების შერჩევას გულისხმობს.

პოლიტიკოსების შეფასებით, შრომითი მიგრაციის შესაჩერებლად აუცილებელია გააზრებული სტრატეგიისა და გეგმის შემუშავება. პოლიტიკოსთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ უნდა არსებობდეს გონივრული რეგულაციები, რომლებიც დასაქმების პოლიტიკას მოაწესრიგებს. სახელმწიფომ სწორად უნდა განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა, რაც აამაღლებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. ამ მხრივ კონკრეტული ინიციატივაცაა განხილული, მაგალითად, ტენდერში გამარჯვებული ადგილობრივი თუ უცხოური კომპანიისთვის გარკვეული კვოტის დაწესება, რომელიც მას ადგილობრივი მუშახელისა თუ საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის გარკვეული რაოდენობის დასაქმებას დაავალდებულებს. პოლიტიკოსთა დასკვნით, ამ თემაზე აქტიურად უნდა მუშაობდეს ეკონომიკის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობა. მათი ინფორმაციით, ენერგეტიკის სფეროში ასეთი ვალდებულებები მოქმედებს, ანუ განსაზღვრულია დასაქმებულთა პროცენტული რაოდენობა, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში უნდა შეირჩეს. პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, აუცილებელია ანალოგიური რეგულაციების დადგენა სხვა სფეროებშიც.

პოლიტიკოსების მეორე ნაწილი ეწინააღმდეგება კომპანიებისთვის ამგვარი რეგულაციების დაწესებას. მათი მტკიცებით, აკრძალვები,

რომლებიც გასცდება ადამიანის უფლებებს და პროტექციონიზმისა და ეროვნული კვოტების ხასიათს მიიღებს, არ არის გამოსავალი. მათი აზრით, უცხოელ ინვესტორებს ხელი არ უნდა შევეშალოთ და მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ ვის დაასაქმებენ თავიანთ ბიზნესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამატებითი რეგულაციების შემოღებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ინვესტიციების შემოდინებას. მათი აზრით, მნიშვნელოვანია შემომდეს ადგილობრივი პროფესიონალი კადრების კვალიფიკაცია, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ინვესტორის მოთხოვნებს; თუ ვერ აკმაყოფილებენ, მაშინ საჭიროა ადგილობრივი კადრების შესაბამის დონეზე მომზადება, ხოლო თუ გაირკვა, რომ ადგილობრივი პერსონალი კვალიფიციური იყო და მას შეგნებულად ექცეოდნენ მიკერძოებულად, მაშინ სათანადოდ შესასწავლია სიტუაცია და აუცილებელია ასეთ ფაქტებზე რეაგირება. ერთ-ერთი პოლიტიკოსის აზრით, ამგვარი საკითხების მოგვარება, უპირველესად, პროფკავშირებს ევალებათ.

პოლიტიკური პარტიების წამომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე ისეთ პრობლემაზეც, რომელიც მოსახლეობისთვის სახელმწიფო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ეხება. მათი აზრით, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის დონეზე მონაცემთა ისეთი ბაზის არსებობა, რომელიც აღრიცხავს, თუ რა ეკონომიკური აქტივობებით არის დაკავებული ამ ტერიტორიის მოსახლეობა და რა სჭირდება მას. რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და ეკონომიკური სიმძლავრეების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ, რაც ზოგადად „ხელის ცეცებით მოქმედებას იწვევს“. პოლიტიკოსთა თქმით, აუცილებელია, თვითმმართველობას ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა სჭირდება გლეხსა და ფერმერს მის რეგიონში და მხოლოდ ამის საფუძველზე ამყარებდეს კომუნიკაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა თუ ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან. პოლიტიკოსთა განმარტებით, მნიშვნელოვანია, ცალკეული სამინისტროები საინფორმაციო შეხვედრებს მართავდნენ კონკრეტულად შერჩეულ აუდიტორიებთან. პოლიტიკოსებმა აუცილებელ პირობად დაასახლეს გამგეობების სრული ინფორმირებულობა იმის თაობაზე, რა სჭირდება ამა თუ იმ რაიონისა თუ დასახლების მცხოვრებთ და როგორ შეიძლება მათი დახმარება. პოლიტიკოსთა თქმით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებობენ სოფლის მეურნეობის სამმართველოები, რომლებსაც

უნდა ჰქონდეთ ასეთ ინფორმაციაზე წვდომა. ის პროგრამები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და განათლების სამინისტროები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს სთავაზობენ, თავისთავად კარგი პროგრამებია, მაგრამ, პოლიტიკოსთა შეფასებით, პრობლემაა ის, რომ მათზე მოსახლეობას ინფორმაცია სათანადოდ არ მიეწოდება.

მოსახლეობისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, რეკომენდაციის სახით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში „სოფლის სახლების“¹³ პროგრამის ამოქმედება დაასახელა. ეს პროგრამა გულისხმობს „სოფლის სახლების“ არსებობას ყველა დიდ და პატარა დასახლებულ პუნქტში, სადაც მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ყველანაირი სახის სახელმწიფო მომსახურება და ინფორმაცია.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა უმუშევრობა, რის გამოც მოსახლეობის ნაწილი იძულებულია დატოვოს რეგიონები და უცხოეთში წავიდეს სამუშაოდ. ეკონომიკური გაჭირვებიდან გამომდინარე, ადგილობრივებს ბანკიდან გამოაქვთ სესხი და შემდეგ, ვალის გადაუხდელობის გამო, საკუთარ ქონებას კარგავენ.

აღნიშნულ რეგიონებში დასაქმების ძირითადი სფეროებია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ასევე სკოლები, საბავშვო ბაღები და ადმინისტრაციული სტრუქტურები. დასაქმების ხელშემშლელ ძირითად ფაქტორებად დასახელდა:

- ქართული ენის არცოდნა (სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება გარკვეულ სამუშაო ადგილებზე, მაგალითად, პოლიციაში, ბანკებში, საავადმყო-

¹³ მთავრობის ინიციატივით „სოფლის სახლების“ მშენებლობა 2015 წლის იანვრიდან მოყოლებული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობს.

ფოებში, უნივერსიტეტებში; ენის ბარიერის გამო უჭირთ ინფორმაციის მოძიება სამუშაო ადგილების შესახებ, ასევე ბიზნესგეგმისა და შესაბამისი განაცხადის შედგენა სახელმწიფო ენაზე და ა. შ.);

- რეგიონებში არსებული ვაკანსიების, იქ მიმდინარე სპეციალური სახელმწიფო პროექტებისა თუ პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ან არასათანადოდ მიწოდება;
- შეუსაბამობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ანუ რეგიონში მოთხოვნილი პროფესიის მქონე კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა.

არსებული მდგომარეობის გაანალიზების შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

დასაქმების ძირითადი სფეროები და დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

- უმუშევრობის დონის შესამცირებლად სოფლის მეურნეობის სექტორის აქტიური განვითარება. ამ მხრივ სასარგებლო იქნებოდა მცირე ფერმერთა კოოპერატივების ხელშეწყობა (მეტი ფინანსური და/ან ტექნოლოგიური მხარდაჭერა), რაც პროდუქციის წარმოებასა და რეალიზებას გაამარტივებს. ეს ასევე ხელს შეუწყობს მცირე ფერმების ჩართვას საწარმოდ ჯაჭვში. აღნიშნული პროცესისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის მოთხოვნილების პროგნოზირებისთვის რეგიონების შრომითი ბაზრის მდგომარეობის რეგულარული ანალიზი. მნიშვნელოვანია რეგიონებში სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა; ასევე სასურველია სამუშაო ძალის შიდა (სამუშაოს მძებნელთა ქვეყნის დიდ ქალაქებში მიგრირება) და გარე (სამუშაოს მაძიებელთა საზღვარგარეთ მიგრირება) მიგრირების მოძრაობის მონესრიგება და ორგანიზება, რაც დასაქმების პოლიტიკის სწორად განსაზღვრასა და დასაქმების ხელშეწყობისთვის გრძელვადიანი სტრატეგიისა და კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას გულისხმობს;

- პროფესიული სასწავლებლების გახსნა და ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება რეგიონების სამუშაო ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების გათვალისწინებით (ტექნიკური, სოფლის მეურნეობასა და ფინანსებთან დაკავშირებული დარგები – განსაკუთრებით, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების მიმართულებით);
- დასაქმებასთან უშუალოდ დაკავშირებული სტაჟირების პროგრამებისა და ტრენინგების დანერგვა-განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივთა დასაქმებას, მათი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ამაღლებას.

სამუშაო ადგილებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

- ცალკეული უწყებების მიერ კონკრეტულად შერჩეულ აუდიტორიებთან (მოსახლეობის ჯგუფები, თვითმმართველობა, ბიზნესნარმომადგენლები და სხვ.) საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, რაც გააუმჯობესებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მიზანმიმართული კომუნიკაციის დამყარება ადგილობრივ და ცენტრალურ მმართველ ორგანოებს შორის;
- მოსახლეობას მიენოდოს მეტი ინფორმაცია მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ: დაიბეჭდოს მეტი საინფორმაციო ბროშურა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და დაურიგდეს რეგიონების მოსახლეობას; დაიბეჭდოს პლაკატები ადგილობრივთათვის გასაგებ ენაზე და განთავსდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი მედიის გამოყენებით. რეგიონისთვის მნიშვნელოვანი დარგების სპეციალისტების, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების რეგულარული მინვევა ადგილობრივ ტელევიზიასა და რადიოში;
- სპეციალური ცენტრების შექმნა, რომლებიც ადგილობრივებს ბიზნესიდეის დახვეწასა და განაცხადის ქართულ

- ენაზე შედგენაში დაეხმარება. ამ ცენტრების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად ინფორმირება;
- რეგიონში არსებულ ვითარებაზე მორგებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად; სამცხე-ჯავახეთში კარტოფილის წარმოებისა და რეალიზაციის მხარდამჭერი პროექტის განვითარება; ქვემო ქართლში არსებული გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამების განვითარება-გაფართოება; ასევე, მენარმეობის ხელშეწყობისა და კოოპერატივების განვითარების მიზნით, სასურველია, გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა გამარტივდეს მოსახლეობისთვის დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა;
 - რეგიონში შრომის ბაზრის დეპარტამენტის განვითარება, რომლის კონსულტანტი სამუშაოს მაძიებელს სამუშაოს ძებნის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში დაეხმარება. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოს მიძებნელის ცოდნა, უნარები და გამოცდილება. ამომწურავი ინფორმაცია გაამარტივებს შესაფერისი სამუშაოს მოძებნის პროცესს.

დასაქმების სფეროს განვითარების პერსპექტივები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

- სათანადო ყურადღება მიექცეს ტურიზმის სფეროს განვითარებას. საამისოდ, უპირველესად, აუცილებელია რეგიონში სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობების გათვალისწინება და შესაბამისი სასწავლო კურსების მომზადება რეგიონში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში; ტურიზმის განვითარების კონტექსტში სასურველია რეგიონის ღირსშესანიშნაობების, კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია; ამ ფაქტორის გათვალისწინება საქართველოს ტურისტულ-სარეკლამო კამპანიაში, შესაბამის ვიდეორგოლებში და ა. შ.;
- პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა ადგილობრივებს საშუალებას მისცემს, აითვისონ ის სპეციალო-

ბები, რომლებიც აღნიშნული რეგიონების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე იქნება მორგებული. ამისთვის საჭიროა კერძო სექტორთან შეთანხმებული გადამზადების ისეთი პროგრამების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და შეთავაზებას შორის შესაბამისობის ბალანსის დამყარებას; სასურველია ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პროფესიული სასწავლებლების რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით ადგილობრივი ახალგაზრდობის დაინტერესება მათი რეგიონისთვის საჭირო და პერსპექტიული პროფესიებით. მნიშვნელოვანია ასევე ზრდასრულთა განათლების განვითარებაც, რაც უშუალოდ დასაქმების პროგრამებს უნდა უკავშირდებოდეს;

- ყურადღების გამახვილება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებულ ალტერნატიულ რესურსებზე (მაგალითად, თევზის წარმოებაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში) და მათი გათვალისწინება მოსახლეობისთვის შეთავაზებულ თანადაფინანსების პროგრამებში.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგასაძე გ., კაჭკაჭიშვილი ი., ბაშელიშვილი ლ. უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი). ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი. იანვარი, 2014: <http://www.mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority-Integration-in-Georgia-geo--Levan-Mikeladze-Foundation.pdf>

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩოკონვენცია (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის №1938 – II ს დადგენილებით): <http://www.diversity.ge/files/files/ec-157-geo.pdf>

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. თბილისი, აგვისტო, 2015: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ. ივლისი, 2015: <http://mof.ge/images/File/alpine/kanoni-magalmtiani-regionebis-ganvitarebis-shesaxeb.pdf>

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს პარლამენტი, საკონსტიტუციო კომისია, 1995.

საქართველოს შრომის კოდექსი. დეკემბერი, 2010: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი: ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012: <http://www.cso-georgia.org/uploads/publications/80/2-geo.pdf>

The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies: Publisher: Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE); Date 7 November 2012: <http://www.osce.org/hcnm/96883?download=true>

დანართი 1

ცხრილი 1: ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში

	ბრუნვა (მლნ. ლარი)				
	2010	2011	2012	2013	2014
სამცხე-ჯავახეთი	260,4	367,2	468,6	620,1	635,8
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	0,8	1,4	1,1	2,7	1,0
თევზჭერა, მეთევზეობა	0,2	0,0	0,1	0,3	0,0
სამთომშობვებითი მრეწველობა	2,6	3,0	2,7	2,2	3,0
გადამამუშავებელი მრეწველობა	112,1	140,9	187,7	249,7	312,5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	4,2	8,1	14,1	13,2	18,1
მშენებლობა	32,0	57,4	63,1	101,0	39,8
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	82,5	131,6	163,4	211,8	226,6
სასტუმროები და რესტორნები	7,3	6,8	14,7	18,4	19,0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2,1	3,2	4,5	5,4	4,6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების განწევა	7,1	7,1	2,2	5,1	4,0
განათლება	0,2	0,1	0,5	0,5	0,5

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	7,7	6,9	7,5	6,2	3,5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვება	1,5	0,9	7,0	3,5	3,2

წყარო: საესტატი

ცხრილი 2: ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ქვემო ქართლში

	ბრუნვა (მლნ. ლარი)				
	2010	2011	2012	2013	2014
ქვემო ქართლი	1726,2	2302,4	2506,4	2661,8	2830,1
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	40,3	51,5	68,2	69,1	95,5
თევზჭერა, მეთევზეობა	0,2	0,2	0,4	0,1	0,3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	158,4	182,4	124,9	149,4	169,4
გადამამუშავებელი მრეწველობა	964,5	1162,1	1122,2	1209,5	1160,3
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	162,6	354,3	370,8	293,7	326,1
მშენებლობა	45,3	65,3	155,3	112,2	134,3
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოსხმარების საგნების რემონტი	284,7	398,2	543,3	697,2	785,1

სასტუმროები და რესტორნები	2,5	6,8	11,3	11,3	16,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20,1	21,2	28,4	29,2	32,6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა	12,0	27,2	44,3	41,8	47,9
განათლება	3,3	3,6	4,0	5,8	8,4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	15,8	14,0	11,3	16,6	18,8
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განწევა	16,5	15,7	22,0	26,2	34,9

წყარო: საქსტატი

ცხრილი 3: დასაქმებულთა და ეკონომიკური საქმიანობის საშუალო წლიური რაოდენობა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში

	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა (ერთეული)				
	2010	2011	2012	2013	2014
სამცხე-ჯავახეთი	7392	8200	8745	9188	7925
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	154	205	185	126	124
თევზჭერა, მეთევზეობა	20	9	3	24	-
სამთომშობვებითი მრეწველობა	95	141	67	60	70
გადამამუშავებელი მრეწველობა	1394	1369	1622	1568	1629

ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	263	251	331	307	217
მშენებლობა	994	1559	1829	1201	1108
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო წაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1200	1393	1474	1721	1913
სასტუმროები და რესტორნები	537	697	1007	1417	1285
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	308	473	334	371	316
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	390	700	298	667	287
განათლება	47	13	203	173	144
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1725	1263	961	971	407
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	265	128	430	582	426
ქვემო ქართლი	28411	32268	33509	34214	34864
სოფლის მეურნეობა, ნაღირობა და სატყეო მეურნეობა	2387	1326	1592	1920	1767
თევზჭერა, მეთევზეობა	27	25	39	23	44
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1924	1952	2241	2505	2369
გადამმუშავებელი მრეწველობა	9902	11446	10959	11243	10794

ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	1868	1928	1962	1850	1512
მშენებლობა	1497	2653	3494	2825	2844
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	2959	4688	5588	5525	5917
სასტუმროები და რესტორნები	425	785	814	934	1391
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1009	812	1170	912	1064
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა	1157	1527	1632	2041	1691
განათლება	830	820	943	1062	1402
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2995	2685	1617	2116	2096
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განწევა	1432	1621	1458	1259	1973

წყარო: საქსტატი

ცხრილი 4: დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ქვემო ქართლში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)				
	2010	2011	2012	2013	2014
ქვემო ქართლი	571,5	547,5	663,0	679,6	690,2
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	357,2	374,4	541,4	583,7	619,5
თევზჭერა, მეთევზეობა	423,9	160,8	532,4	381,3	330,4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1051,4	1021,8	1140,0	1094,2	1087,2
გადამამუშავებელი მრეწველობა	742,9	697,6	823,4	838,4	908,5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	752,8	929,5	920,4	939,2	1123,7
მშენებლობა	606,9	590,5	887,8	903,4	872,4
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	206,6	197,4	266,9	287,7	353,2
სასტუმროები და რესტორნები	114,6	110,8	161,4	211,3	142,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	472,7	355,8	419,1	567,3	387,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა	260,5	345,6	615,3	603,7	459,6
განათლება	179,5	271,0	195,4	209,8	244,7

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	271,2	271,2	317,3	344,3	432,3
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვება	456,3	440,7	505,4	684,0	677,2

წყარო: საქსტატი

ცხრილი 5: დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სამცხე-ჯავახეთში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)				
	2010	2011	2012	2013	2014
სამცხე-ჯავახეთი	350,8	372,1	441,3	591,4	587,5
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	284,5	166,7	358,5	1209,2	198,5
თევზჭერა, მეთევზეობა	67,2	106,7	133,3	100,0	–
სამთომოპოვებითი მრეწველობა	304,1	307,3	404,3	419,1	488,1
გადამამუშავებელი მრეწველობა	636,6	687,3	768,6	725,7	817,1
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	257,9	333,7	934,9	623,2	1951,4
მშენებლობა	483,5	453,3	481,8	1642,4	1048,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	176,2	289,2	228,6	245,5	291,2

სასტუმროები და რესტორნები	127,1	133,0	163,9	272,4	311,9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	140,8	232,4	379,2	515,1	524,2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა	510,8	342,9	274,6	392,8	357,4
განათლება	189,4	277,2	115,7	144,0	90,5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	263,3	270,8	431,2	396,0	384,3
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	248,7	446,9	243,9	245,7	364,9

წყარო: საქსტატი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებისთვის საქართველოში

დიანა ბოგიშვილი, ანა ნიკლაური

1. შესავალი

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართვის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციაზე მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის 2012 წლის ლიუბლიანის 48-ე რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს ინტეგრაციის პროცესისთვის მედიის ორ მნიშვნელოვან ფუნქციაზე. პირველი – უმცირესობების წარმომადგენელთათვის სწორედ მედია უნდა იყოს ის საკვანძო ფორუმი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, განახორციელონ თავიანთი უფლებები, მაგალითად, თავ-თავისი ენების გამოყენებისა და კულტურის განვითარების უფლება; და მეორე – მედია, როგორც ინფორმაციის მიღება-გავრცელების საშუალება, არსებით როლს უნდა ასრულებდეს იმ გარემოს განმტკიცებაში, რომელიც ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგსა და ურთიერთგაგებას, გარდა ამისა, მედია უნდა გაემიჯნოს შეუწყნარებლობას და დაუპირისპირდეს მის გავრცელებას საზოგადოებაში, აგრეთვე ცრურწმენებსა და უარყოფით სტერეოტიპებს.¹

ამ მიმართულებით საქართველოში 2009-2014 წლებში სახელმწიფომ ჩაატარა გარკვეული ღონისძიებები, რაც შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009-2014 წლების სამოქმედო გეგ-

¹ The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies: Publisher: Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE); Date: 7 November, 2012: <http://www.osce.org/hcnm/96883?download=true>

მაშიც არის ასახული. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელების ყოველწლიური განახლება, უნდა გაზრდილიყო რეგიონებში გადაცემების რაოდენობა, ოპერატიულობა და მასშტაბურობა (2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ყოველწლიურად უმცირესობების ხუთ ენაზე სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამების მომზადებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში კვირაში ერთხელ გადიოდა სატელევიზიო პროგრამები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე). შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტის თანახმად, განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა. პრობლემა იყო ის, რომ რეგიონული და ნაციონალური ტელევიზიების ეთერით ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემების გაშვების შესახებ, ხშირ შემთხვევაში, არ იცოდა არც ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობამ და არც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა. აღნიშნული რეგიონების მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას ის ფაქტიც აფერხებდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალი სრულად ვერ ფარავდა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს.²

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, მართალია, არაერთხელ შეცვალა საინფორმაციო პროგრამის ფორმატი, მაგრამ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესი საინფორმაციო გადაცემების მიმართ მაინც დაბალია. ამასთანავე, 2012³

² შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი: შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი, იენისი, 2014: <http://www.smr.gov.ge/Uploads/—cd492646.pdf>

³ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი: ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა: თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012: <http://www.cso-georgia.org/uploads/publications/80/2-geo.pdf>

და 2014⁴ წლებში ჯავახეთსა (2014 წლის კვლევა განხორციელდა ჯავახეთის ტერიტორიაზე, კერძოდ: ასპინძაში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში) და ქვემო ქართლში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ცენტრალური საინფორმაციო საშუალებები ეროვნული უმცირესობებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამიტომაც ისინი ძირითადად რუსული, აზერბაიჯანული, თურქული (ქვემო ქართლი) და სომხური (ჯავახეთი) არხების მეშვეობით იღებენ ინფორმაციას. ქვემო ქართლისა და ჯავახეთის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ნაწილებში ნაკლებად პოპულარულია როგორც ქართული პრესა, ისე რადიო.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტში მოცემულია იმ დროისთვის (იგულისხმება 2009-2014 წწ.) არსებული მდგომარეობა. ამ მხრივ საინტერესოა 2014 წლის ფოკუსჯგუფებში გამოვლენილი შედეგები, რომელთა თანახმად, საინფორმაციო პროგრამები მოუხერხებელ დროს გადაიცემოდა, მათი ქრონომეტრაჟი მცირე იყო და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან შედარებით უცხოური სიახლეები უფრო მეტად შუქდებოდა. ეს ყველაფერი საინფორმაციო პროგრამების დაბალ რეიტინგზეც აისახებოდა. 2014 წლის კვლევის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არსებობდა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მაინც არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებული. ამ პრობლემის ასახსნელად რამდენიმე მიზეზი დასახელდა. მაგალითად, ისინი ჩაკეტილი იყვნენ თავიანთ „რეგიონულ სამყაროში“ და არ ინტერესდებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით; ამავე დროს, ეროვნული უმცირესობები, ზოგადად, ნაკლებად ენდობოდნენ ცენტრალურ მედიასაშუალებებს, რადგან, ადგილობრივთა შეფასებით, რეგიონული ამბები მხოლოდ ნეგატიურ და მიკერძოებულ კონტექსტში შუქდებოდა.⁵

⁴ გოგსაძე გ., კაჭკაჭიშვილი ი., ბაშელეიშვილი ლ. უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი). ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, იანვარი, 2014: <http://www.mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority-Integration-Georgia-geo-Levan-Mikeladze-Foundation.pdf>

⁵ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი: შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო

გარდა ზემოჩამოთვლილი პრობლემებისა, 2012 წელს ECMI-ის 52-ე სამუშაო მოხსენების თანახმად (ეროვნული უმცირესობები და მედიის მდგომარეობა საქართველოში), ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ართულებდა ტექნიკური ან პროცედურული დაბრკოლებები, მაგალითად, სატელევიზიო ან რადიოსიხშირეების ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა. ამავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ელექტრონულ მედიაგამოცემებზე ზედამხედველობა და ლიცენზიების გაცემა ევალება სახელმწიფო უწყებას – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერება ან გაცემის შეფერხება დიდ პრობლემას უქმნის მაუწყებელს, რადგან ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირების შემთხვევაში სამთავრობო სტრუქტურებს უფლება აქვთ ამის გამო დახურონ ტელევიზია ან რადიო. ამგვარი პრეცედენტი არსებობს, როცა ჯერ კიდევ 2008 წელს, ლიცენზიების უქონლობის გამო, მარნეულსა და ნინოწმინდაში ორი რადიოსადგური დაიხურა.⁶

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშესაწყობად, 2015 წელს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით, შემუშავდა ახალი „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი შუალედური მიზანია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. წინამდებარე დოკუმენტის 2.2 ქვეთავში – „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“ – გეგმის შუალედური მიზანი უფრო დეტალურადაა განხილული.

ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე განისაზღვრა წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი – საქართველოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციისადმი

გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი. ივნისი, 2014: <http://www.smr.gov.ge/Uploads/—cd492646.pdf>

⁶ აკერლუნდი, ტ. ეროვნული უმცირესობები და მედიის მდგომარეობა საქართველოში: ECMI-ის სამუშაო მოხსენება №52. იანვარი, 2012: <http://www.ecmiceucasus.org/upload/publications/working-paper-52-geo.pdf>

ხელმისაწვდომობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეების წარმოჩენა.

2. მეთოდოლოგია

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შესასწავლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: მეორეული წყაროების, კერძოდ, საკანონმდებლო აქტების ანალიზი (desk research), ფოკუსჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. თავდაპირველად, გაანალიზდა მეორეული წყაროები და მომზადდა სადისკუსიო გეგმა ფოკუსჯგუფებისთვის. კვლევის სამიზნე ჯგუფს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენდნენ, ამიტომაც ფოკუსჯგუფების ჩატარება დაიგეგმა ეროვნული უმცირესობებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული ორი რეგიონის დიდ ქალაქებში: ქვემო ქართლიდან – მარნეულში, ხოლო სამცხე-ჯავახეთიდან – ახალქალაქში (ქვემო ქართლის ცენტრალური ქალაქი რუსთავია).

სულ 4 ფოკუსჯგუფი ჩატარდა – 2 ახალქალაქში და 2 მარნეულში. თითოეული ფოკუსჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე 8 მონაწილისგან. სამიზნე აუდიტორია ორ ასაკობრივ კატეგორიად დაიყო – 18-იდან 40 წლამდე და 41-იდან 65 წლამდე. იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ჰეტეროგენურობა, ასაკობრივ კატეგორიებად დაყოფასთან ერთად, ისინი შეირჩნენ განათლებისა (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და დასაქმების სტატუსის (დასაქმებული და დაუსაქმებელი) მიხედვითაც. ფოკუსჯგუფების დისკუსია დაახლოებით 1,5 საათს გრძელდებოდა და გაკეთდა მათი აუდიოჩანაწერები. შემდეგ მოხდა ამ ჩანაწერების ტრანსკრიფცია და მასალის დამუშავება. ანალიზის შემდეგ დაიგეგმა კვლევის მომდევნო ეტაპი და ჩატარდა: 7 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან (თითო პარტიიდან ერთი რესპონდენტი); აგრეთვე 8 ინტერვიუ ექსპერტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობენ; 2 ინტერვიუ

ახალქალაქის და 2 ინტერვიუ მარნეულის მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან; თითო-თითო ინტერვიუ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთან. გარდა ამისა, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელთან. ჯამში სულ 23 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. ყველა მათგანისთვის მომზადდა აუდიოჩანაწერი, გაკეთდა ინტერვიუების ტრანსკრიპტი და კონტენტ-ანალიზი.

3. არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აუცილებელ ვალდებულებად არის განსაზღვრული „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩოკონვენციაში; ასევე, საქართველოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის წარმატებული მიმდინარეობისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება მასმედიას. წინამდებარე დოკუმენტის ემპირიული კვლევის პირველ ეტაპს წარმოადგენს მედიასა და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის საკითხების შესწავლა. არსებული საკანონმდებლო აქტების შესწავლის საფუძველზე ფოკუსჯგუფებისთვის, ექსპერტებისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის განისაზღვრა სადისკუსიო გეგმა, კერძოდ, კონკრეტული თემები და თემებთან შესაბამისი კითხვები. დოკუმენტის მოცემული ნაწილი განიხილავს ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.

ევროპული ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ – ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ მიღებულია 1995 წელს სტრასბურგში და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წლის ოქტომბერში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე კონვენცია მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება.

აღნიშნული კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, რომ ეროვნული უმცირესობის თითოეულ წარმომადგენელს ექნება საშუალება, ჰქონდეს მოსაზრებები, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩაურევლად და საზღვრების მიუხედავად. მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, უზრუნველყოფენ იმას, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიაზე ხელმისაწვდომობის მხრივ.

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე მოითხოვონ სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ან კინონარმოების ლიცენზირება. ასევე, კონვენციის ხელმომწერმა ქვეყნებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა თავისუფლად შექმნან და გამოიყენონ მასმედიის საშუალებები. მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებას.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა – ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ხუთწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესში. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი შუალედური მიზანია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის წარმატებული მიმდინარეობისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება მასმედიას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესებში და მათთვის საინტერესო თემატიკის სათანადოდ გაშუქება; იმავდროულად, არ უნდა დაუშვას სიძულვილის ენის გამოყენება-გავრცელება. ამ

სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფო გეგმავს თანამშრომლობას მედიაორგანიზაციებთან, რათა მათ ერთობლივად შეუწყონ ხელი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის პოპულარიზაციას. ეს კოდექსი ავალდებულებს ყველა მაუწყებელს, დაიცვას თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპები. ამასთანავე, ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათთვის მშობლიურ/გასაგებ ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს როგორც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობას, ისე მთლიანად ქვეყნის საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. საზოგადოებრივ მაუწყებელს ევალება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატიკის გაშუქებისას მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვა.

ზემოაღნიშნული შუალედური მიზნის – ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და ხელმისაწვდომობის მისაღწევად მნიშვნელოვან ამოცანებს წარმოადგენს:

- ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების თემატიკის გაშუქებისა და უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის ხელშეწყობა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „მაუწყებლობის ქცევის კოდექსი“ – საქართველოში მაუწყებლობა რეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით, რომელიც 2004 წელს ამოქმედდა. ამ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ ვალდებულებებში მკაფიოდ არის

ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულება, სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს გამოსცა დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“. ეს კოდექსი საქართველოში მოქმედ ყველა მაუწყებელს თანაბრად ავალდებულებს, დაიცვას დოკუმენტში მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანასწორობის, მიუკერძოებლობისა და შემწყნარებლობის პრინციპები.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მიხედვით, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან შეუწყნარებლობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე; მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის, ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან. აგრეთვე, თავი უნდა აარიდოს უმცირესობებისა და სოციალური პრობლემების შესახებ მცდარი განცხადებების გავრცელებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი. მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა, ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“. ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა ჟურნალისტებისთვის. 2009 წელს საქართვე-

ლოს 139-მა ჟურნალისტმა ნებაყოფლობითი ხელმოწერით დაადასტურა, რომ დაიცავს პროფესიული ქცევის საერთო სტანდარტებს.

ქარტიის მე-7 მუხლი წარმოადგენს ჟურნალისტის ქცევის სტანდარტს სწორედ უმცირესობების თემატიკის გაშუქებისას. „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

4. კვლევის შედეგები

შესაბამისი საკანონმდებლო აქტების განხილვის საფუძველზე დაიგეგმა ემპირიული კვლევის მეორე ეტაპი: ფოკუსჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები ადგილობრივ მედიასთან, ექსპერტებთან ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში და საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ფოკუსჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოვლენილი პრობლემებიდან გამომდინარე, გაიმართა შეხვედრა აგრეთვე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან. საბოლოოდ, კვლევის შედეგები გაანალიზდა და თემატურად ასე დალაგდა:

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში:** ძირითადი საინფორმაციო წყაროები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში; არსებული ბარიერები ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით; ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.
- **ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკის გაშუქება ცენტრალურ მედიასივრცეში:** ეროვნული უმცირესობები ქართულენოვან მედიასივრცეში; ცენტრალური და რეგიონული მედიის ურთიერთთანამშრომლობა.

4.1. არსებული ვითარება ახალქალაქსა და მარნეულში – ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე

4.1.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე ახალქალაქელმა რესპონდენტებმა კრიტიკული აზრი გამოთქვეს. ძირითად პრობლემად ქართული ენის არცოდნა დასახელდა, რის გამოც მოსახლეობა ინფორმაციას მათთვის ხელმისაწვდომ სომხურ და რუსულ ენებზე მეზობელი ქვეყნის სატელევიზიო არხების მეშვეობით ეცნობა. მართალია, რესპონდენტთა თქმით, ახალქალაქის მოსახლეობა ქართული გაზეთების ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ ენის ბარიერის გამო არც მათ კითხულობენ. ახალგაზრდა რესპონდენტები სამცხე-ჯავახეთში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას, უპირატესად, რუსულ და სომხურენოვან საინფორმაციო ვებგვერდ „ჯეინიუსიდან“ (jnews.ge) იღებენ. საინფორმაციო წყაროდ ახალგაზრდები, მათივე თქმით, სოციალურ ქსელებსაც იყენებენ („ფეისბუქი“, „ოდნოკლასნიკი“). ახალქალაქის ასაკოვანი მოსახლეობა ინფორმაციას დიდწილად რუსული არხებით ეცნობა. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები თავიანთთვის სწორედ რუსულენოვან საინფორმაციო გადაცემებს ისურვებდნენ: *„დღეში ერთხელ მაინც რომ გადიოდეს“* (ახალქალაქი, კაცი, 41-65).

უნდა აღინიშნოს, რომ ახალქალაქელ რესპონდენტთა ერთმა ნაწილმა არც კი იცოდა, თუ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე საინფორმაციო გადაცემა არსებობდა. ამგვარი არაინფორმირებულობის ერთ-ერთ მიზეზად ფოკუს-ჯგუფებში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დასახელდა, რის შემდეგაც ისინი ქართულენოვანი ტელეარხების უმრავლესობას ვეღარ უყურებენ. ქართულენოვანი არხების მისაღებად, რესპონდენტთა თქმით, მათ სპეციალური აპარატურის (სატელიტური მიმღების) შეძენა სჭირდებათ, რაც გარკვეულ ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება.

რესპონდენტთა აზრით, ახალქალაქის ადგილობრივი ტელევიზიის მუშაობისა და ინფორმაციის მიწოდების ხარისხის დონე დაბალია. ადგილობრივი ტელევიზია ინფორმაციის გავრცელებას ძირითადად აგვიანებს, რადგან ქართულენოვანი გადაცემების თარგმნას

გარკვეული დრო სჭირდება. რესპონდენტთა თქმით, ხშირად თარგმანიც უხარისხო და დამახინჯებულია. მოსახლეობა ადგილობრივ ტელევიზიას, ფაქტობრივად, მხოლოდ ნეკროლოგების მოსასმენად იყენებს. *„რაც ციფრულ მაუნყებლობაზე გადავიდა, გაითიშა ადგილობრივი ტელევიზია, „იმედს“ და პირველ არხს აჩვენებდა მხოლოდ, ზოგს აქვს სპეციალურად დაყენებული „მაგთისატი“ და სხვა თეფშები, ისე არ იჭერს. ადგილობრივი ტელევიზია არ არის განვითარებული, ძალიან დაბალ დონეზე გადასცემს ადგილობრივ ინფორმაციას. „ატვ 12“ და „ჯავახი“, რომლებიც ერთ-ერთ ტელევიზიასთან არიან შეთანხმებული და მათს გადაცემებს ავრცელებენ, ძირითადად სარეკლამო მასალა და ნეკროლოგებია“* (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

რესპონდენტებმა კრიტიკულად შეაფასეს საინფორმაციო პროგრამების ეთერში გასვლის დრო და ხანგრძლივობაც. ასაკოვან რესპონდენტთა აზრით, კარგი იყო, როდესაც წარსულში „მოამბე“ (საინფორმაციო გადაცემა) სინქრონულად ითარგმნებოდა.

ახალქალაქელი რესპონდენტები, საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებულობის შეფასებისას, თავიანთ თავს ნაკლებინფორმირებულს უნოდებენ. მათი თქმით, ისინი ინფორმაციას ძირითადად ერთმანეთისგან იღებენ. პირად საუბრებში გაცვლილი ინფორმაცია კი, მათივე შეფასებით, სხვადასხვა ინტერპრეტაციას იძენს, საბოლოოდ, დეფორმირდება და ამ სახით ვრცელდება. ერთ-ერთი ადგილობრივი რესპონდენტის თქმით, მათ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. *„ვიციტ, რა ხდება მთელ მსოფლიოში, საქართველოში ვცხოვრობთ და არ ვიციტ, საქართველოში რა ხდება. ეს ძალიან მტკივნეულია“* (ახალქალაქი, კაცი, 41-65).

ახალქალაქელი რესპონდენტების თქმით, მათთვის მნიშვნელოვანია მეტი ინფორმირებულობა საკუთარი უფლებების, მიმდინარე რეფორმების, ახალი კანონმდებლობის, საავტომობილო ჯარიმების შესახებაც კი. ქართული ენის არცოდნის გამო ახალქალაქის მოსახლეობისთვის, ზოგჯერ, ზოგადი ინფორმაციის მიღებაც სირთულეებს უკავშირდება. ერთ-ერთი რესპონდენტი კაცის თქმით, ახალციხესა და თბილისში ის ხშირად აწყდება პრობლემებს, რადგან იქაურ მცხოვრებლებს არ სურთ რუსულად უპასუხონ

(ან რუსული არ იციან). მისი განმარტებით, ქართველები მისგან ქართული ენის ცოდნას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ პასუხობენ. „ძალიან დიდ როლს თამაშობს ენის არცოდნა, თუნდაც ახალციხეში ან თბილისში რომ ჩავდივართ რამე საკითხის მოსაგვარებლად, თავად ვერ ვარხერხებთ ამას, ან ვინმე უნდა ნავიყვანოთ, ვინც ქართული იცის, ან რუსულად უნდა ვილაპარაკოთ. ამ შემთხვევაშიც ხშირად ვერ ვიღებთ დადებით პასუხს, რადგან ადამიანმა შეიძლება რუსულიც არ იცოდეს კარგად. ზოგჯერ ისინი გვეუბნებიან, ქართულად გვითხარი, თორემ არ გიპასუხებთო. რამდენია ასეთი, ვინც პრინციპულად მოითხოვს ქართულად ლაპარაკს. შეიძლება მართლა არ ესმის რუსული“ (ახალქალაქი, კაცი, 41-65).

ახალქალაქელი რესპონდენტების თქმით, ქართული ენის შესწავლით ძირითადად ახალგაზრდა თაობაა დაინტერესებული. ისინი ფიქრობენ, რომ, რაკი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ვალდებულიც არიან, სახელმწიფო ენა იცოდნენ. ენის სწავლებასთან დაკავშირებით ახალგაზრდა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც თვითონ ქართული ენის მასწავლებელმა არ იცოდა სათანადო დონეზე ქართული. განსაკუთრებით საშუალო სკოლებშია ასეთი ვითარება. უფროსი თაობის რესპონდენტების აზრით, ენის სწავლის მხრივ, „მათმა მატარებელმა უკვე ჩაიარა“ და ახალგაზრდებმა უფრო უნდა მოინდომონ ქართული ენის შესწავლა.

მარნეულელ რესპონდენტთა შეფასებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქალაქ მარნეულში და მარნეულის მიმდებარე სოფლებში განსხვავებულია. ახალგაზრდა რესპონდენტების განცხადებით, სოფლებში ქართული ტელევიზია და რადიო შედარებით მიუწვდომელია და ისინი ინფორმაციას ძირითადად აზერბაიჯანული ტელეარხების მეშვეობით იღებენ. ქალაქ მარნეულის მოსახლეობა ძირითადად რადიო „მარნეულს“ უსმენს, რომელიც მაუწყებლობს ორივე ენაზე – ქართულად და აზერბაიჯანულად. ქართულ ტელევიზიაშიც არის გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე, მაგრამ, მარნეულელ რესპონდენტთა თქმით, ისინი ამ გადაცემას ნაკლებად უყურებენ, რადგან არ იციან გადაცემის კონკრეტული დრო (ხშირად იგი სამუშაო საათებს ემთხვევა).

მარნეულის მოსახლეობა ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებითაც ეცნობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასაკოვნები ინტერნეტით არ სარგებლობენ, არასრულწლოვნები კი მას მხოლოდ გართობის მიზნით იყენებენ; აქედან გამომდინარე, მათივე შეფასებით, ინტერნეტის „ინფორმაციული მომხმარებლების“ რაოდენობა ძალზე მცირეა.

რესპონდენტების თქმით, დანარჩენ საქართველოში მომხდარ ამბებს ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობა ძირითადად ჩაიხანებში, ქორწილებსა და ქელეხებში იგებს. ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, პრობლემას ქართული ენის უცოდინრობაში ხედავენ. მათი შეფასებით, ენის პრობლემა და ინფორმაციის მიღება განსაკუთრებით პრობლემატურია მარნეულის მიმდებარე სოფლებში, სადაც კვალიფიციური მასწავლებლებიც კი არ ჰყავთ, რომ ქართული ენა კარგად ასწავლონ. სოფლებში არც ინტერნეტია, იქ მხოლოდ თურქული და აზერბაიჯანული ტელეარხებია, რომლებიც საქართველოს სიახლეებს, ცხადია, იშვიათად თუ ახსენებენ. სოფლის მცხოვრებთათვის ენის არცოდნას ტექნიკური პრობლემატემატება – ქართული მედიაარხები აქ, ფაქტობრივად, არ მაუწყებლობენ. მარნეულში გამოკითხულ რესპონდენტთა შეფასებით, მარნეულისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა საერთაშორისო ამბების შესახებ უფრო უკეთ არის ინფორმირებული, ვიდრე საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით უარყოფითად შეფასდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი. „საზოგადოებრივ არხზე აზერბაიჯანულენოვან გადაცემას რაც შეეხება, ის უფრო მოკლე მიმოხილვითი ხასიათისაა – მოკლე-მოკლედ თუ ჩამოთვლიან. უბრალოდ ფაქტის აღნიშვნაა და არა მისი გაშლა, გაფართოება. საერთოდ, როცა ვუყურებ და ვგრძნობ, ჟურნალისტმა თემა არ მოამზადა, უფრო მეტის თქმა შეიძლებოდა ან არ მაკმაყოფილებს, აუცილებლად ვრთავ სხვა არხზე – მაინტერესებს, როგორ აშუქებს ის არხი ამ პრობლემას. ეს ყველაფერი დამოკიდებულია ჟურნალისტის პროფესიონალიზმზე“ (მარნეული, კაცი, 40-65).

ერთ-ერთმა ასაკოვანმა რესპონდენტმა ქალმა ისურვა ქვემო ქართლში რუსულენოვანი ან აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო გადაცემების რაოდენობის გაორმაგება – უფროსი თაობის მოსახლეობას ეს „ჰაერივით“ სჭირდებაო.

მარნეულელი რესპონდენტებიც უჩივიან ინფორმაციის თარგმანის ხარისხს. „მარნეული ტვ“-ის მიერ გადაცემული ინფორმაცია, მათი აზრით, ცუდად არის ნათარგმნი აზერბაიჯანულად – თარგმნა სინქრონულად მიმდინარეობს და ამ თარგმანში ბევრი რამ იკარგება. მათი აზრით, ვინაიდან ქვემო ქართლის მოსახლეობა ინფორმაციას ძირითადად თურქული და აზერბაიჯანული არხების მეშვეობით იღებს, ამა თუ იმ ფაქტის კონტექსტსაც მათთვის ამ ქვეყნებიდან მონოდებული ინფორმაცია ქმნის. აქედან გამომდინარე, საქართველოს რეალობა, როგორც კონტექსტი, ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის ფაქტობრივად უცხოა, რაც, ბუნებრივია, ართულებს საქართველოს შესახებ მიღებული ინფორმაციის სრულფასოვნად აღქმას. ის, თუ რას ფიქრობს დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა ამა თუ იმ აქტუალურ თემაზე, მათთვის უცნობია. „სოფლის მოსახლეობის 98 პროცენტი აზერბაიჯანულ ტელევიზიას უყურებს და ინფორმაციას იქიდან იღებს. თურქულ არხებზე კი უფრო სერიალებს უყურებენ. რამდენიმე ადამიანი თუ უყურებს რუსულ არხებს და ამას არ აქვს მასობრივი ხასიათი. ანუ ძირითადი საინფორმაციო წყაროები ინტერნეტი და ტელევიზიაა. აზერბაიჯანულ არხებს უყურებენ და, როგორც ის არხი აშუქებს, მათაც ის აზრი უყალიბდებათ. მაგალითად გამოდგება „სოკრთან“ დაკავშირებული ამბები:⁷ აზერბაიჯანული ტელევიზია ამას აშუქებს აზერბაიჯანის ლალატად და ჩვენც ასე გვესმის. თუმცა არ ვიცით, საქართველოსთვის ეს სასიკეთოა თუ საზიანო. აცხადებენ, რომ საზიანოა. აზრის ფორმირება ხდება იმ ტელევიზიების საშუალებით და იმ არხებიდან მიღებული ინფორმაციით ჩამოყალიბებული აზრი შემდგომ ხალხში ვრცელდება“ (მარნეული, კაცი, 18-40).

მარნეულში მცხოვრებ უფროსი თაობის რესპონდენტთა შეფასებით, ქართული ენის არცოდნა სწორედაც რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უმთავრეს ბარიერს ქმნის. ვინც ენა იცის, მას ხელი მიუწვდება საინფორმაციო საშუალებებზე და არც არის ინფორმაციულ ვაკუუმში. ენის ცოდნა ეხმარება რეგიონის მკვიდრს, გაეცნოს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ასაკოვანი რესპონდენტების აზრითაც, საქართველოს მოქალა-

⁷ საუბარია ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებაზე, რომელიც რუსული გაზის შექენის საჭიროებას ეხებოდა. იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=29790>

ქეობა ავალდებულებს მათ, მეტ-ნაკლებად წარმოდგენა ჰქონდეთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამას ისინი შვილების ან შვილიშვილების დახმარებითაც ახერხებენ – ინფორმაციას სიახლეების შესახებ მათ ათარგმნიან. უფროსი თაობის რესპონდენტები, ასაკიდან გამომდინარე, ენის შესწავლის სურვილს ნაკლებად ამჟღავნებენ. ქვეყანაში მომხდარ ამბებზე ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მარნეულში ძირითადად ნაცნობ-მეზობლების საშუალებით ხდება.

აქაურმა რესპონდენტებმა პრობლემის მოგვარების გზებიც დაასახელეს – არსებული მედიარესურსების განვითარება და რეგიონის ტერიტორიაზე ახალი ტელე- და რადიოარხების მაუწყებლობის გავრცელება მათთვის ხელმისაწვდომ ენებზე.

4.1.2. ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკის გაშუქება ქართულ მედიასივრცეში

ეროვნული მაუწყებლობა რესპონდენტებმა კრიტიკულად შეაფასეს როგორც ახალქალაქში, ისე მარნეულში. მათი აზრით, ქართულენოვან ტელევიზიებში ბევრი არაპროფესიონალი ჟურნალისტი, რომლებიც მათს რეგიონში მიმდინარე პროცესებს ხშირად ზედაპირულად, მცდარად აშუქებენ. მათი თქმით, პრობლემაა, რომ ჟურნალისტები ადგილებზე არ ჩადიან და უშუალოდ მკვიდრი მოსახლეობისგან არ იღებენ ინფორმაციას არსებული ვითარების შესახებ, ან არასათანადო სამიზნე ჯგუფებს არჩევენ, რაც, ბუნებრივია, რეპორტაჟსა და ინფორმაციის ხარისხზე უარყოფითად აისახება. ქართულენოვან მედიასივრცეში ეროვნული უმცირესობების შესახებ წარმოდგენილი ზედაპირული ინფორმაცია საქართველოს სხვა რეგიონების მცხოვრებთ სტერეოტიპულ წარმოდგენებს უქმნის მათზე. „სამწუხაროდ, ჩვენთან, ქართულ ტელევიზიებში, ძალზე არაპროფესიონალი ჟურნალისტები არიან. ბევრჯერ ისეთი რამ გაშუქებულა, რაც ახალქალაქში სინამდვილეში არ ხდება. ეს მეტისმეტად ცუდად მოქმედებს მოსახლეობის შესახებ სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე. თვითონ ჟურნალისტი არ ჩამოდის, გაიგებს ქორებს და ამზადებს სიუჟეტს. ყველა ადამიანს თავისი სპეციფიკა აქვს, თავისი აზრი აქვს და თუ ამ ერთმა ადამიანმა გამოხატა აზრი, ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენი მოსახლეობაც ეთანხმება მას. ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. ამიტომ სხვა

რეგიონები ხანდახან ცუდი თვალით გვიყურებენ და აგრესიით არიან განწყობილი ჩვენ მიმართ“ (ახალქალაქი, ქალი, 18-40).

რესპონდენტების აზრით, ქართულ მედიასივრცეში ეროვნულ უმცირესობებს უარყოფითი ასპექტით წარმოაჩენენ, რადგან უმეტესწილად საუბარია ადრეულ ქორწინებებზე, მკვლევლობებსა და გაყრაზე, და არა რეგიონის ისეთ ყოფით პრობლემებზე, როგორებიცაა, მაგალითად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ან მინასთან დაკავშირებული საკითხები, უმუშევრობა, უგზოობა. მათი განცხადებით, ქვემო ქართლში არსებობს ისეთი სოფლები, სადაც დღის 4 საათის შემდეგ ტრანსპორტის მიმოსვლა წყდება. ასევე სოციალური დახმარების მიღებისას არსებობს არაერთი პრობლემა, რომლებიც საერთოდ არ შუქდება. „ჩვენი რეგიონი უმეტესად სასოფლო-სამეურნეოა, თუმცა ამის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდიან. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო მიმართულება დაბალ დონეზე რჩება. ასევე ხალხს ბანკებთან აქვს პრობლემა, გვაქვს სარწყავი წყლის პრობლემაც... ამ პრობლემებს არჩევნების წინა პერიოდში იხსენებენ მხოლოდ“ (მარნეული, ქალი, 18-40).

მარნეულელმა რესპონდენტებმა პრობლემის მოგვარების გზად უმრავლესობა-უმცირესობას შორის მეტი ურთიერთობა დაასახელეს. მათი აზრით, მეტი ინტერკულტურული პროექტები უნდა შეიქმნას, რაც, მათი აზრით, არსებული სტერეოტიპების დაძლევის შეუწყობს ხელს.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ორივე რეგიონში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, იდენტური პრობლემებია. ენის არცოდნა უმთავრესი ბარიერია და ხელს უშლის ინფორმაციის მიღებას. ორივე რეგიონში აღინიშნება თაობათა შორის განსხვავება მათი ინფორმირებულობის მხრივ – ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად ინფორმირებულია. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ახალგაზრდებმა, უფროსებისგან განსხვავებით, უკეთ იციან ქართული ენა. ამასთანავე, ისინი უფრო აქტიურად იყენებენ ინტერნეტს. თუ ახალგაზრდამ ქართული არ იცის, ჩვეულებრივ, ის მონადინებულია, რომ ისწავლოს სახელმწიფო ენა. მოსახლეობა ხედავს, რომ ენის ცოდნა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორ-

მირებულობა, განათლება და ქვეყნის სხვა რეგიონებთან კავშირი საზოგადოებაში ინტეგრაციის გასაღებიცაა.

ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, მართლაც, რთული ვითარებაა. ხაზგასასმელია, რომ არა მარტო ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა იღებს შეზღუდულ ინფორმაციას დანარჩენ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, არამედ, ორივე რეგიონის რესპონდენტთა შეფასებით, საქართველოს სხვა რეგიონებსაც მწირი ინფორმაცია მიეწოდება აღნიშნულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ. მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო გადაცემების მეშვეობით მიღებული ინფორმაცია, წესისამებრ, აცდენილია ქართულ რეალობას, შეცვლილია კონტექსტი. ახალქალაქისა და მარნეულის მცხოვრებნი ნაკლებად ინფორმირებული არიან ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების, ასევე საკუთარი უფლებების შესახებ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ართულებს მათს ურთიერთობას ქვეყნის ეროვნულ უმრავლესობასთან. ინფორმაციის უქონლობა იმგვარ ვაკუუმს წარმოშობს, რომელიც რეალობის მცდარ შეფასებასა და სტერეოტიპების გაჩენას უწყობს ხელს. ვერ ხერხდება ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მიწოდება, რაც დამატებით პრობლემად უნდა მივიჩნიოთ. აქტუალური მოვლენები, რესპონდენტთა შეფასებით, თარგმანის გამო დაგვიანებით შუქდება და ხშირად ნათარგმნიც უხარისხობა.

სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, ქვემო ქართლშიც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად დასახელდა სამაუნყებლო არხებისთვის ლიცენზიის გაცემის საკითხი და ტექნიკური აღჭურვილობა. რეგიონის ეს პრობლემა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენელმაც დაადასტურა. მისი თქმით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ციფრულ მაუნყებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საკმარისი არ იყო და მოსახლეობას დაგვიანებითაც მიეწოდა. მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ასევე რეგიონში სამაუნყებლო ქსელის ტექნიკური გაუმართაობა, უხარისხო ტექნიკა, შეუსაბამო ტელევიზორები.

4.2. ახალქალაქისა და მარნეულის მედიასაშუალებები – არსებული ვითარება ადგილობრივი მედიანარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე

ახალქალაქელი რესპონდენტების თქმით, ყველაზე ხშირად საინფორმაციო მედიანყაროდ რუსულ და სომხურენოვან ვებგვერდ „ჯეინიუსს“ (jnews.ge) იყენებენ. ამიტომაც, ამ კვლევის ფარგლებში, შეხვედრები და ინტერვიუები სწორედ ამ საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლებთან გაიმართა. აღნიშნული ვებგვერდი დააარსა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გახსნილი საზღვრები“. დღეისთვის „ჯეინიუსი“, შეიძლება ითქვას, ახალქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიისთვის ის ძირითადი მედიასაშუალებაა, რომელსაც რეგიონის ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მოსახლეობა მოიხმარს. ვებგვერდი, უმთავრესად, რეგიონის სოციალური პრობლემების განხილვაზეა ორიენტირებული, ჟურნალისტიკები უშუალოდ ადგილზე ეცნობიან ვითარებას და მოვლენებს ისე აშუქებენ. რეგიონის პოლიტიკურ თემებს აქ ნაკლებად განიხილავენ. მედიანარმომადგენლების შეფასებით, პოლიტიკური ცხოვრება რეგიონში „თვითდინებაზეა“ მიშვებული. მათი თქმით, ახალი ამბების თვალსაზრისით რეგიონში ბევრი არც არაფერი ხდება. თუმცა, ახალქალაქის „ჯეინიუსის“ მედიანარმომადგენელთა შეფასებით, არსებობს საკამათო თემები, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყოს მოსახლეობისთვის, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება, სავარაუდოდ, დაპირისპირებას გამოიწვევს; ამიტომ მათ გაშუქებას, როგორც ეს თავად აღნიშნეს, თავს არიდებენ. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გავრცელება-გაზიარება ძირითადად „ფეისბუქით“ ხდება. საქართველოში მიმდინარე სიახლეები ვებგვერდზე მცირე ინფორმაციის სახით თავსდება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ საინფორმაციო ვაკუუმი სრულად ვერც ივსება, ფინანსური სიმწირის გამო ისინი ვერ ახერხებენ ქართული ენის კარგად მცოდნე ისეთი ჟურნალისტიკის სრული განაკვეთით დაქირავებას, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ხარისხიანი ინფორმაციის რეგულარულად მომზადებას შეძლებს.

„ჯეინიუსის“ წარმომადგენელთა აზრით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რა ხდება დანარჩენ საქართველოში; ისინი არ იცნობენ ქვეყნის

სამთავრობო წარმომადგენლებს. თუმცა, იმავდროულად, აღინიშნა ისიც, რომ საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობასაც ნაკლები ინფორმაცია აქვს სამცხე-ჯავახეთში არსებულ მდგომარეობაზე და ამგვარ „ურთიერთგაუცხოებაში“ დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნულ მედიასაშუალებებს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრა ახალქალაქის ტელევიზიის „ატვ 12“-ის დირექტორთან. მისი ინფორმაციით, ახალქალაქში ადგილობრივი ტელევიზია შეზღუდულად ან, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, არ მუშაობს. ამის მიზეზად მან სათანადო კადრების, ტექნიკისა და ლიცენზიის არარსებობა დაასახელა. ტელევიზიის დირექტორის თქმით, ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის შემდეგ ადგილობრივმა „ატვ 12“-მა თითქმის შეწყვიტა მუშაობა; ისინი მხოლოდ საკაბელო ტელევიზიით გადიან ეთერში, თანაც – შეზღუდული დროით. ფინანსური პრობლემების გამო მათ თითქმის ვერ შეინარჩუნეს ჟურნალისტები. „ატვ 12“-ის დირექტორმა ახალქალაქის სომხურენოვანი მოსახლეობისთვის ძირითად საინფორმაციო წყაროდ საზოგადოებრივ მაუნყებელში მომზადებული ათწუთიანი, სომხურენოვანი „მოამბე“ დაასახელა, რომელიც დღეში ორჯერ მიეწოდება მოსახლეობას. იგი „მოამბის“ ამ ფორმატის ოც წუთამდე გაზრდის სურვილს გამოთქვამს.

ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, ახალქალაქის მედიანარმომადგენელთათვის მნიშვნელოვანია ეროვნულ მაუნყებლებთან აქტიური თანამშრომლობა, რათა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა სათანადო დონეზე ხორციელდებოდეს. მათ კრიტიკულად შეაფასეს სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაცია. მათი აზრით, მთავრობას მათდამი არასერიოზული დამოკიდებულება მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ ისინი რეგიონული მედიის წარმომადგენლები არიან.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუში მარნეულის ტელევიზიის დირექტორმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად თანამშრომლობს ტელევიზიასთან და არ გაურბის ჟურნალისტებს. მისი შეფასებით, ზოგადად, მარნეული ძალიან ცოცხალი ქალაქია და ეს გამოიხატება არასამთავრობო სექტორის აქტიურობით და იმითაც, რომ თავად მოსახლეობაც აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისივე აღიარებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ტელევიზიას

ფინანსური პრობლემები აქვს, თუმცა მაინც ახერხებს მაუნყებლობას. დღეში სამჯერ გადის ქართულ-აზერბაიჯანული საინფორმაციო გამოშვება, რომლის ძირითადი პრიორიტეტები ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმოჩენაა. ქვეყნის მასშტაბით სიახლეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აშუქებენ, თუ რალაც ძალიან მნიშვნელოვანი ხდება.

ტელევიზიის დირექტორის ინფორმაციით, შემოქმედებით ჯგუფს ჰქონდა კარგი პროექტები, მათ შორის, იურიდიული და სამედიცინო ტელეკონსულტაცია, როდესაც მაცურებლები პირდაპირ ეთერში კითხვებს უსვამდნენ მოწვეულ იურისტებსა და ექიმებს. ეს გადაცემები ორ ენაზე მიმდინარეობდა და მოწვეული თარჯიმანი სინქრონულად თარგმნიდა. ახლა ეს გადაცემები სწორედ ფინანსური პრობლემების გამო შეჩერდა. დირექტორის თქმით, მათი დაფინანსების ძირითად წყაროს რეკლამა და საგრანტო ფონდებიდან გაცემული თანხა წარმოადგენს. გარდა ამისა, ისინი თანამშრომლობდნენ საზოგადოებრივ მაუნყებელთან – ორსაათიანი წანაცვლებით (2 საათის შემდეგ), საზოგადოებრივი მაუნყებელი მათ უგზავნიდა „მომბის“ აზერბაიჯანულენოვან ვერსიას, რომელსაც მარნეულის ტელევიზია უცვლელად უშვებდა ეთერში. ამგვარი თანამშრომლობა 2014 წელს შეწყდა.

მარნეულის ტელევიზია აქტიურად თანამშრომლობს სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრთანაც. მათ ჰქონდათ ერთობლივი პროექტი – „სკაიპის“ მეშვეობით სამი სატელევიზიო პროგრამის ერთობლივი ტრანსლაცია ხდებოდა. ტელევიზიის დირექტორის შეფასებით, ქართულ მედიასივრცეში მარნეულის პრობლემები არ შუქდება და ეს განპირობებულია იმით, რომ ზოგადად ქართულ მედიას არ აინტერესებს რეგიონები, და არა იმით, რომ მარნეულის მოსახლეობის უმეტესობა ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს. მისი განმარტებით, ჟურნალისტები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიან მარნეულში და სხვა რეგიონებშიც, თუ რაიმე „სკანდალური“ ხდება. სხვა შემთხვევაში, არც ერთი ტელევიზია არ საუბრობს რეგიონების საკითხებზე.

კვლევის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრა მარნეულის სათემო რადიოს დირექტორთან. მისი თქმით, დღესდღეობით ისინი მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით მაუნყებლობენ, რადგან ლიცენ-

ზია ჯერ არ მიუღიათ. სათემო რადიოსთვის პრიორიტეტულია ადგილობრივი პრობლემების გაშუქება; თუმცა, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსაც არანაკლებ ყურადღებას უთმობენ. ცენტრალური მედიით გაშუქებული ყველა სიახლე ითარგმნება აზერბაიჯანულად და თავსდება მათს ვებგვერდზე.

რადიოს დირექტორის დაკვირვებით, მარნეულის მოსახლეობას ყველაზე მეტად ისეთი სახის ინფორმაცია აინტერესებს, რომელშიც აზერბაიჯანულ ენაზე დეტალურადაა განმარტებული სახელმწიფო სერვისები ან საბანკო სფეროს სხვადასხვა პროცედურა. რაც შეეხება სხვა მედიასაშუალებებთან თანამშრომლობას, რადიოს წარმომადგენლობა იმედოვნებს, რომ, მას შემდეგ, რაც FM-ტალღაზე გავლენ ეთერში, მათ ექნებათ სხვადასხვა ტიპის შეთავაზება და საამისოდ თანამშრომლობის სრულ მზადყოფნას გამოხატავენ.

ინფორმაციის მოპოვებაზე საუბრისას მარნეულის რადიოს დირექტორი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დახურული და მიუწვდომელი არ არის რადიოს წარმომადგენლებისთვის, პირიქით, ისინი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობენ. თუმცა, მისი აზრით, პრობლემაა ადგილობრივი თვითმმართველობისადმი თავად ჟურნალისტებისა და მოსახლეობის თავისებური მიდგომა – საზოგადოებაში არსებობს გარკვეული შიში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ. ჟურნალისტები ადგილობრივი თვითმმართველობისგან მიწოდებულ ინფორმაციას უკრიტიკოდ იღებენ და საკამათო თემებზეც კი არ სვამენ კითხვას – „რატომ?“

რაც შეეხება ქართულ მედიასივრცეში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობას, რესპონდენტი ამბობს, რომ, სამწუხაროდ, ქართული მედია მხოლოდ ორ შემთხვევაში აქცევს ყურადღებას ეროვნულ უმცირესობებთან, კონკრეტულად კი, მარნეულში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან დაკავშირებულ საკითხებს – ეს არის ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული ან რაიმე სკანდალური მოვლენა, იქნება ეს მკვლელობა, ყაჩაღობა თუ სხვ. ანუ მედია, უმეტესწილად, ნეგატიურ კონტექსტში აშუქებს ეროვნულ უმცირესობებს, რამაც შეიძლება დანარჩენ საზოგადოებაში გარკვეული სტერეოტიპები გააჩინოს ან უკვე არსებული სტერეოტიპები გააღრმავოს.

მარნეულის რადიოს დირექტორის აზრით, ეროვნულმა მედიასა-შუალებებმა და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელ-მა ცალკეული გადაცემები ან რეპორტაჟები კი არ უნდა მოამზა-დონ განყენებულად, მხოლოდ უმცირესობების შესახებ, არამედ წესად უნდა დანერგონ ნებისმიერი ტიპის გადაცემაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მინგვევა. ამგვარი პრაქტიკა, აღნიშნული წარმომადგენლების მიერ თავიანთი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა ეროვნული მაუწყებლების მეშვეობით, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათი ინტეგრაციის პროცესს.

4.3. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ეროვნული უმცირესობების შესახებ ინფორმაციის გაშუქებასთან დაკავშირებით

4.3.1. კომუნიკაციის ეროვნული კომისია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ლიცენზიასთან დაკავშირე-ბით დასახელებულ პრობლემებთან მიმართებით, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გაეგზავნა რამდენიმე კითხვა. კომისიის წერი-ლობითი პასუხის თანახმად, „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 17 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამი-სად, ტელემაუწყებლობის განხორციელების მიზნით ლიცენზიების გაცემის რთული რეჟიმი მაუწყებლობაზე ავტორიზაციის მარ-ტივი პროცედურით შეიცვალა. შესაბამისად, ტელემაუწყებლობის უფლების მიღების ნებისმიერ მსურველს კომისიაში განცხადების წარდგენისთანავე განემარტება, თუ რა ინფორმაციის მინოდებაა საჭირო მაუწყებლობაზე ავტორიზაციისა და შემდგომი პროცედუ-რისთვის. საამისოდ კანონით განსაზღვრულია შვიდი დღის ვადა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, საქართვე-ლოს მთელ ტერიტორიაზე ციფრული მიწისზედა ტელემაუწყე-ბლობის ქსელით 21 სამაუწყებლო არხი ვრცელდება ღია ეთერით. გარდა ამისა, მთელი საქართველოს მასშტაბით თანამგზავრული მიწისზედა სისტემების გამოყენებით, ღია ეთერით ხელმისაწვდო-მია 2 არხი. ასევე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმი-საწვდომია 3 ეროვნული რადიომაუწყებელი. რაც შეეხება, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს:

- ქვემო ქართლში 3 ადგილობრივი ტელევიზიაა (სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“, შპს „ბოლნელი“ და შპს „მარნეული ტვ“); რაც შეეხება რადიომაუწყებლობას, გარდა 3 ადგილობრივი რადიომაუწყებლისა, ასევე ვრცელდება სხვა ეროვნული 4 რადიომაუწყებელი.
- სამცხე-ჯავახეთში 2 ადგილობრივი ტელეკომპანია ვრცელდება (შპს „ტელერადიოკომპანია „ბორჯომი“ და შპს „იმპერია“), ახალციხეში 1 ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ლიცენზია 2016 წლის თებერვალში გაიცა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ასევე ხელმისაწვდომია სხვა ეროვნული რადიომაუწყებლობაც, სულ 6 რადიო.

ახალქალაქში 2014 წლის 24 აპრილამდე ტელემაუწყებლობის ლიცენზიას ფლობდა შპს „სპექტრი“, რომლის ლიცენზიაც კომისიის №218/4 გადაწყვეტილებით გაუქმდა,⁸ მაგრამ კომისიის ეს გადაწყვეტილება არ უკავშირდება საქართველოში ანალოგური მიწისზედა მაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს.⁹ კომპანია არღვევდა სალიცენზიო პირობებს, რაც საბოლოოდ ლიცენზიის გაუქმების საფუძველი გახდა. კომისიის წარმომადგენლის ცნობით, კომპანია უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს მარეგულირებელ კომისიას მაუწყებლობის ავტორიზაციის მოთხოვნით და განაახლოს მაუწყებლობა.

მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციით, ქ. მარნეულში სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოთხოვნით ამ მომენტისთვის მათთან შესულია განაცხადი და კომისია უახლოეს მომავალში გამოაცხადებს კონკურსს. გარკვეული შეფერხება გამოიწვია რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დასადგენად შესაბამისი კვლევის ჩატარების პროცესის გაჭიანურებამ (საზოგადოებრივი აზრის ამგვარი კვლევა გათვალისწინებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით). დოკუმენტი უკვე დამტკიცებულია და კომისიამ განაახლა სამაუწყებლო ლიცენზიების გა-

⁸ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2014: <http://gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2014-218-4.page>

⁹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2015: <http://www.gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/ra-unda-vicodet-cifruli-mauwyeblobis-shesaxeb.page>

ცემა. „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია რადიომაუნყებლობის ლიცენზიების გაცემის პროცესში ხელმძღვანელობს თავისივე გადამწყვეტილებით რადიომაუნყებლობის პრიორიტეტების შესახებ (რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად).

4.3.2. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა და რეგიონების მედიანარმომადგენლებმა კრიტიკულად შეაფასეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ეროვნულ მედიასივრცეში. სწორედ ამ პრობლემაზე ჩაინერა ერთი ინტერვიუ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ წარმომადგენელთან. მისი თქმით, ეროვნული უმცირესობების შესახებ საქართველოს ეროვნული მაუნყებლის მიერ მონოღებული ინფორმაცია მწირია. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენელი კონკრეტულ შემთხვევებზე არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ მედია ყველაზე ხშირად ქარტიის 1-ლ და მე-7 მუხლებს არღვევს. 1-ლი მუხლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია; ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად. ქარტიის შეფასებით, ქართული მედია ნაკლებად აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას; მისი მოვალეობაა გაიაზროს, ხომ არ უწყობს ხელს დისკრიმინაციის წახალისებასა და სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულებაა, შეამციროს ის მანძილი, რომელიც ეთნიკურ ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს შორის არსებობს. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენლის აზრით, საზოგადოებრივ მაუნყებელს არ გააჩნია განსაზღვრული სტრატეგია, თუ როგორ უნდა გაშუქდეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემები, საეთერო დროის რომელი ნაწილი და რა ქრონომეტრაჟი უნდა დაეთმოს ასეთ გადაცემებს. ასევე დასახელდა წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემები,

რომლებიც ციფრულ მედიაზე გადასვლამ გამოიწვია, უპირველესად, ეს არის უხარისხო ტექნიკა და შეუსაბამო ტელევიზორები. გარდა ამისა, პრობლემაა რეგიონებში სამაუწყებლო ქსელის გაუმართაობა და ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაგვიანებით და არასაკმარისად მიწოდება (თუმცა, როგორც კი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზები ნაწილობრივ აღმოიფხვრა, ინფორმაციის მიღებაც შედარებით გამოსწორდა). საკვანძო პრობლემად დასახელდა წინასწარი ემპირიული კვლევების ნაკლებობა – უცნობია, რა ხდებოდა რეგიონებში და რა ხდება დღეს, რა რაოდენობამ მოახერხა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და რა სირთულეები რჩება ამ მხრივ.

ქარტიის წარმომადგენლის ინფორმაციით, საზღვრისპირა რეგიონებში პრობლემას ქმნის ასევე მეზობელი ქვეყნიდან მომავალი სამაუწყებლო სიგნალი, რომელიც ახშობს ეროვნული მაუწყებლების სიგნალს. მეზობელი ქვეყნები ციფრულ მაუწყებლობაზე არ გადასულან, ამიტომ საზღვრისპირა რეგიონებში მოსახლეობას იოლად შეუძლია მეზობელი ქვეყნებიდან მომავალი ანალოგური მაუწყებლის სიგნალის მიღება.

4.3.3. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა და ადგილობრივი მედიასამუალებების წარმომადგენლებმა კრიტიკულად შეაფასეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ეროვნულ მედიაში. როგორც დოკუმენტის მეორე ნაწილშია (2.3.) აღნიშნული, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებაა, სათანადოდ დრო დაუთმოს საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებს, პატივი სცეს ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის უმცირესობებს, მათს კულტურას, გადაცემებში არ დაუშვას შეურაცხმყოფელი ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება მათ მიმართ და ა. შ. ამასთან დაკავშირებით, ფოკუსჯგუფებში და ადგილობრივ მედიანარმომადგენლებთან საუბრისას დასახელდა კონკრეტული პრობლემები, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთან შეხვედრისას განხილვის ძირითად თემად იქცა (ეს შეხვედრაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში გაიმართა). რესპონდენტმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათი ტელემაუწყებლობა

(საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი და მე-2 არხები) სათანადოდ ვერ აშუქებს ეროვნული უმცირესობების საკითხებს. ერთადერთი საინფორმაციო გამოშვება – საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხის ყოველდღიური 20-საათიანი „მომამბე“ ხუთ ენაზე (რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, აფხაზური და ოსური) ითარგმნება და გადაიცემა ეთერში. თითოეულ ენაზე გასულ ახალ ამბებს დაახლოებით თორმეტი წუთი ეთმობა.

საზოგადოებრივ მაუწყებელს ცხრა რეგიონული კორესპონდენტი ჰყავს, მათ შორის, ერთი რუსთავში, რომელიც ქვემო ქართლიდან აშუქებს მოვლენებს, და ერთი ახალციხეში, რომელიც სამცხე-ჯავახეთიდან მუშაობს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ეს საკმარისი არ არის. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ახალციხის კორესპონდენტი დეტალურად აშუქებს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების მოვლენებს, ხოლო რუსთავის კორესპონდენტი მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისისა და მიმდებარე რაიონების მოვლენებსაც გადმოსცემს.

რაც შეეხება რეგიონულ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლის ინფორმაციით, ისინი რამდენიმე ტელევიზიასთან თანამშრომლობენ. ყოველწლიურად ტენდერის საფუძველზე ხდება რეგიონული ტელევიზიების შერჩევა და მათი საეთერო დროის ყიდვა. თანამშრომლობის ფარგლებში რეგიონულ ტელევიზიებს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ეგზავნებათ ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საინფორმაციო გამოშვების შემცირებული ვერსიები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლის შეფასებით, ზოგადად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, ენობრივი ბარიერის გამო, ამოვარდნილი არიან საქართველოს ძირითადი საინფორმაციო სივრციდან, მათ სათანადოდ არ მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყანაში. პრობლემაა ისიც, რომ ეს ინფორმაცია არც საქართველოს სხვა რეგიონებს მიეწოდება. შესაბამისად, სწორედ ინფორმაციის ნაკლებობის გამო ეროვნულ უმცირესობებს ხშირად უჩნდებათ განცდა, რომ ესა თუ ის „სკანდალური“ მოვლენა მხოლოდ მათთან ხდება და სხვა რეგიონებში უკეთესი მდგომარეობაა. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი განმარტავს, თანამედროვე მედიის სტანდარტების მიხედვით, კარგი ამბავი ახალ ამბად არ მიიჩნევა

და ძირითადი აქცენტი უფრო ნეგატიური მოვლენების გაშუქებაზეა გადატანილი. შესაბამისად, ქართული მედიის ყურადღების ცენტრში სწორედ ამიტომ ხვდება სკანდალური ან ნეგატიური მოვლენები და ეროვნული უმცირესობებიც ხშირად ამ ქრილში არიან წარმოდგენილი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლის თქმით, ტერმინოლოგიის ან ინფორმაციის სტრუქტურის თვალსაზრისით ისინი არ არღვევენ ჟურნალისტური ქცევის კოდექსს და არ ეწევიან ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციას. მათი თქმით, ზოგადად, ეროვნულ მედიას ვერ დავაბრალებთ უმცირესობების მიმართ სტერეოტიპულ ან დისკრიმინაციულ მიდგომას, გარდა რამდენიმე მცირე მასშტაბის მედიასაშუალებებისა, რომლებიც რადიკალიზმით გამოირჩევიან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი ამბობს, რომ, ზოგადად, მათს ტელეეთერში იშვიათად თუ გამოჩნდებიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტელევიზიის რეორგანიზაცია და იგეგმება ისეთი გადაცემების შექმნა, რომლებშიც განყენებულად მხოლოდ ეროვნულ უმცირესობებზე კი არ იქნება საუბარი, არამედ მათი პრობლემები ინტეგრირებულად წარმოჩნდება ქვეყანაში მიმდინარე სხვა საკითხებთან ერთად. ასევე აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი გადაცემაში მონვეულ ექსპერტებსა და სტუმრებს ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით არ არჩევს. მათი აზრით, ზოგადი პრობლემაა, რომ საჯარო სივრცეში სხვადასხვა თემაზე მოსაუბრე უმცირესობების წარმომადგენლები არ ჩანან. „შესაბამისად, ვერავინ დავაბრალებს იმას, რომ ვინმე არ მოგვყავს ეთერში იმის გამო, რომ ის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია“. კიდევ ერთი პრობლემაა ისიც, რომ უმცირესობების საკითხებზე ისევ და ისევ მხოლოდ უმცირესობები საუბრობენ და სხვები ამ საკითხებით ნაკლებად ინტერესდებიან.

რეორგანიზაციის ფარგლებში, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად, საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს საინფორმაციო გამოშვებებისთვის აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი აუდიოსიგნალის გაყოლებას, რაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, პარალელურ რეჟიმში მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ ის ინფორმაცია, რაც ქვეყნის

მასშტაბით ვრცელდება. სამომავლოდ იგეგმება ეთერში გასული ნებისმიერი ტიპის გადაცემის სინქრონულად თარგმნა ეროვნული უმცირესობების ენებზე, აგრეთვე რუსული თარგმანის პარალელურ რეჟიმში, აუდიოსიგნალის სახით გაყოლება ყველა გადაცემისთვის. თუმცა საამისოდ საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი ტელევიზიას ჯერჯერობით არ გააჩნია.

4.4. ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ექსპერტთა შეფასებები

ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ექსპერტთა მოსაზრებებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წევრთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ექსპერტები განმარტავენ, რომ ინტეგრაცია მოიცავს სხვადასხვა პროცესს, რომელთა წარმატებულობა გარკვეული ინდიკატორებით უნდა გაიზომოს. ამასთანავე, ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობისთვის სახელმწიფომ ძირითადად ყურადღება უნდა გაამახვილოს განათლების, ქართული ენის სწავლებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების საკითხებზე. ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა, უპირველესად, მომავალ თაობაზე უნდა იყოს ორიენტირებული. თუმცა არ შეიძლება დაძალებით ენის სწავლება. ექსპერტთა აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოები (როგორც მათი შინაარსი, ისე თარგმანის ხარისხი) და იმ პედაგოგთა კვალიფიკაცია, რომლებიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ასწავლიან. ინტეგრაციის პროცესი გულისხმობს ასევე ეროვნული უმცირესობებისთვის თანაბარი კონკურენციის პირობების შექმნასა და მათს ჩართულობას ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, მასმედია თუ სხვ.

ინტეგრაციის დღევანდელ ეტაპზე, ექსპერტთა შეფასებით, ეროვნულ უმცირესობებში შესამჩნევია თაობათა შორის აშკარა განსხვავება, რაც, უპირველესად, ქართული ენის ცოდნის, ინფორმირებულობისა და სამოქალაქო ცნობიერების სხვადასხვა დონეს უკავშირდება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ინტეგრაციის მხრივ ახალგაზრდა თაობა უფრო წინ არის წასული, ვიდრე უფროსი თაობა. ექსპერტთა აზრით, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის ქართული

ენის არცოდნის პრობლემა მხოლოდ რეგიონებშია – დედაქალაქში ენის ბარიერი არ არსებობს. რეგიონებში, სადაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა, ეროვნულ უმცირესობებს თავიანთი „მინისამყარო“ აქვთ შექმნილი. ქართულ რეალობას ისინი თითქმის მთლიანად არიან მოწყვეტილი და ქართული ენის არცოდნის გამო ძირითადად სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვან ტელეარხებს უყურებენ. გარდა ამისა, უფროს თაობას აქვს თავისი ისტორიული მეხსიერება, რომელიც მათი ინტეგრაციის ხარისხს განსაზღვრავს.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, ინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა. შესაბამისი უწყებები მუშაობენ ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად. თუმცა, ექსპერტთა თქმით, ამ პროცესში ისინიც არაერთ დაბრკოლებას აწყდებიან. ხშირად უმთავრეს პრობლემას უკვე ზუსტად შედგენილი გეგმების იმპლემენტაცია წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ექსპერტთა თქმით, არაერთი კვლევა ჩატარდა, სხვადასხვა დონეზე შესაბამისი განხილვებიც გაიმართა, მაგრამ რეალური წინსვლა მაინც ვერ ხერხდება. ექსპერტთა ნაწილმა ისაუბრა ასევე ამ მიმართულებით სახელმწიფო ხედვის ნაკლებობაზე და მთავრობის სამოქმედო გეგმა (2015-2020 წწ.) კრიტიკულად შეაფასა. მათი აზრით, მართალია, შინაარსობრივად ყველაფერი კარგად, თემატურად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ სათანადო ინდიკატორის არარსებობა ხელს უშლის დაგეგმილი ღონისძიების განხორციელების ეფექტიანობის გაზომვას.

ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ძალისხმევა ეროვნული უმცირესობების ინფორმირების მიმართულებით საკმარისი არ არის. საუბარია იმაზე, რომ პრობლემაა თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგიც. ამასთანავე, მაუწყებლის შეთავაზებული 15-წუთიანი საინფორმაციო გამოშვებაც ხშირად უინტერესოა მაყურებლისთვის. პრობლემურია ასევე საეთერო დროის ხანგრძლივობა – რამდენი საათი შეიძლება იყოს მიზანშეწონილი ეროვნული უმცირესობებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო გადაცემისთვის? ქართულენოვანი სივრცისთვის რთულია აგრეთვე

არაქართულენოვანი საინფორმაციო გადაცემების დროის გაზრდა. საუბრობენ რუსულენოვანი არხის შექმნაზე, რაც თავისთავად ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. სირთულეს წარმოადგენს ჟურნალისტების გადამზადებაც, რაც გარკვეულწილად ასევე დამატებითი ფინანსური პრობლემაა.

ექსპერტთა აზრით, აუცილებელია რეგიონული მედიის სათანადო ტექნიკით აღჭურვა. მათ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად სწორედ რეგიონული მედიის განვითარება დაასახელეს.

ექსპერტები პრობლემურ თემად მიიჩნევენ აგრეთვე ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას (იქნება ეს ბეჭდვითი თუ ინტერნეტგამოცემები). სირთულეს აქაც ყველაზე მეტად ენობრივი ბარიერი ქმნის, რასაც ემატება აზერბაიჯანული დამწერლობის პრობლემა. ახალგაზრდა თაობა ადაპტირებულ ლათინურ შრიფტს იყენებს, უფროსი თაობა კი – ადაპტირებულ კირილიცას შრიფტს. ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე, ექსპერტები ერთ-ერთ ძირითად რეკომენდაციად ქართული ენის სწავლების წახალისებას, ადგილობრივთა მიერ სახელმწიფო ენის ათვისების მოტივაციის გაზრდას ასახელებენ. მათივე აზრით, ენის შესწავლა საბავშვო ბაღიდანვე უნდა დაიწყოს, რადგან ორენოვანი განათლება სკოლამდელი ასაკიდან უფრო ეფექტიანია. სკოლებში, თავის მხრივ, კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობაა. სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე არცოდნა მასწავლებლებსაც დაბრკოლებას უქმნის. ამიტომ, ექსპერტთა მოსაზრებით, აუცილებელია პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაცია და მისით ახალგაზრდების დაინტერესება.

ექსპერტებმა ისაუბრეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებულ პრობლემებზეც. მათი განმარტებით, სახელმწიფო ენის მნიშვნელობა დადგენილია რეგლამენტით და დღესდღეობით ეს რეგლამენტი ყოველდღიურად ირღვევა, რადგან ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო დისკუსიები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს და არა სახელმწიფო ენაზე. ექსპერტებმა ერთ ენაზე (იგულისხმება სახელმწიფო ენაზე) საუბარი უპირველეს და გადაუდებელ აუცილებლობად დაასახელეს. ისინი კიდევ ერთ აუცილებლობად მიიჩნე-

ვენ აქტიურ დიალოგს ეროვნულ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის; მათ მკაფიოდ უნდა გააცნობიერონ, რომ ქვეყნის ეროვნული უმრავლესობა და უმცირესობა ერთი საზოგადოების, ერთი ქვეყნის წარმომადგენლები არიან. ექსპერტების აზრით, საკითხისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა, ამგვარი დამოკიდებულება ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა ინტეგრაციისთვის. მათი შეფასებით, აუცილებელია სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესება, რაც სწორედ ერთმანეთთან დიალოგს, ერთმანეთის პრობლემებზე გულახდილ საუბარს გულისხმობს. სამოქალაქო თანამონაწილეობის საუკეთესო საშუალება კი, როგორც ისინი აღნიშნავენ, ერთ ენაზე საუბარი და საერთო საინფორმაციო სივრცით სარგებლობაა. ექსპერტები განმარტავენ, რომ საზოგადოების სამოქალაქო განათლების დონე პრობლემა არა მხოლოდ ეროვნული უმცირესობის, არამედ ეროვნული უმრავლესობისთვისაც. ექსპერტთა ნაწილის განცხადებით, საქართველოში საუკუნეებია ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები და შეინიშნება მათდამი არატოლერანტული დამოკიდებულება. ხშირად ხდება ადამიანების ეთნიკური ნიშნით გამოყოფა. ექსპერტთა განმარტებით, აუცილებელია, მთლიანად საზოგადოება შეთანხმდეს იმაზე, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყანა და ამგვარი მიდგომა ნორმად უნდა იქცეს. *„ჩვენ უნდა მივიღოთ ის, თუნდაც ძალიან შორეულ პერსპექტივაში, რომ ეთნიკურმა სომეხმა მარტო სომხების პრობლემაზე, ან აზერბაიჯანელმა აზერბაიჯანელების პრობლემაზე კი არ ისაუბროს, არამედ ზოგადად ქართული პოლიტიკის ნაწილი გახდეს“* (ექსპერტი ეროვნული უმცირესობების საკითხებში).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ექსპერტებმა კრიტიკულად შეაფასეს საქართველოში არსებული ვითარება ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. არსებული პრობლემა, მათი აზრით, არ არის ცალმხრივი. ერთმანეთის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია როგორც ეროვნულ უმცირესობებში, ისე უმრავლესობაში; აუცილებელია ერთმანეთთან დიალოგის მეშვეობით უმცირესობა-უმრავლესობას შორის არსებული საინფორმაციო უფსკრულის ამოვსება.

4.5. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ხედვა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე

პოლიტიკურმა პარტიებმაც ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემად ინტეგრაცია დაასახელეს – ინტეგრაცია საზოგადოებაში, ინტეგრაცია სახელმწიფოს ცხოვრებასა და გადწყვეტილებების მიღების პროცესში. ქართველი პოლიტიკოსების საერთო მოსაზრებით, ინტეგრაციის საფუძველს, მეტწილად, საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეც განსაზღვრავს. ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, პოლიტიკოსები ძირითად დაბრკოლებად ქართული ენის არცოდნას ასახელებენ. მათი აზრით, მოსახლეობამ აუცილებლად უნდა იცოდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფოს ოფიციალურ განცხადებებსა და საჯარო გადწყვეტილებების მიღების პროცესს უკავშირდება. თუმცა, მათი შეფასებით, ამ მხრივ პრობლემა მხოლოდ ეროვნულ უმცირესობებში როდია. გამოკითხულ პოლიტიკოსთა აზრით, ქართულენოვანი მოსახლეობაც ნაკლებად მონაწილეობს პოლიტიკური გადწყვეტილებების მიღების პროცესში, ანუ მათთვისაც ნაკლებად არის ცნობილი საჯარო სტრუქტურებში მიმდინარე პროცესები.

ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ასახელებს „სოფლის სახლების“ პროგრამის განვითარებას, რომლის მეშვეობითაც სოფლის მოსახლეობა სახელმწიფო სერვისსა და ყველანაირ ინფორმაციას მიიღებს. აღნიშნული პროგრამა მაქსიმალურად უნდა მოერგოს სოფელში მცხოვრები მოქალაქის სურვილებსა და მოთხოვნებს. გარდა ამისა, პოლიტიკოსებმა ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეკომენდაციად რეგიონული მედიის განვითარება დაასახელეს.

პოლიტიკოსთა შეფასებით, ინტეგრაციის მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებამდე კი აუცილებელია პრობლემის მართებულად განსაზღვრა, შესაბამისი სტრატეგიული ხედვისა და მეთოდოლოგიის შემუშავება და ამის საფუძველზე შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. მართალია, არსებობს 2009-2014 წწ. და 2015-2020 წწ. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიები,

მაგრამ, პოლიტიკოსთა განცხადებით, რადიკალური ცვლილებები მაინც არ ჩანს, არადა, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. მათი აზრით, პრობლემის მცირე დროში მოგვარება შეუძლებელია, რადგან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეროვნული უმცირესობები იზოლირებული იყვნენ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პროცესებისგან.

პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის შეფასებით, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ყველასთვის მისაღები ისეთი კონცეფციის შემუშავება, რომლის საფუძველზეც ეროვნული უმცირესობები თავს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნობდნენ. ქვეყნის უმრავლესობაში ნელ-ნელა მკვიდრდება იმგვარი ცნობიერება, რომ ეროვნული უმცირესობები ქვეყნის სრულფასოვანი, თანასწორუფლებიანი მოქალაქეები უნდა იყვნენ (არიან). ეროვნულ უმცირესობებში, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, აღინიშნება ქვეყნის საერთო ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობა და განცდა იმისა, რომ ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან. პოლიტიკოსთა იმ ნაწილის აზრით, რომელიც ასე ხედავს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ პრობლემებს, აუცილებელია ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობისთვის ისეთი საერთო კონცეფციის შემუშავება, რომლის მიზანი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება იქნება. ეს კონცეფცია უნდა დაეხმაროს უმრავლესობას იმის გაცნობიერებაში, რომ ეროვნული უმცირესობები საქართველოსთვის ტერიტორიებისა და ეროვნული იდენტობის დაკარგვის თვალსაზრისით საფრთხეს არ წარმოადგენენ, ისინი ამ ქვეყნის თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან. ამ მხრივ, აუცილებელია ასევე ხელისუფლების დისკურსის განსაზღვრა, კონკრეტულად კი, სამოქალაქო ცნობიერებაზე დაფუძნებული დისკურსის ჩამოყალიბება, რომელიც ქვეყნის მრავალეთნიკურობასა და ყველა ეთნოსის წარმომადგენელთა თანასწორ მოქალაქეობაზე ამახვილებს ყურადღებას. პოლიტიკოსთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ინტეგრაციული პროცესის დაჩქარება, არის: განათლება, კულტურა, სპორტი და ყველა ის სფერო, რომლებიც მაქსიმალურად დაეხმარება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს გააქტიურებაში.

ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობისთვის გამიზნულ სამთავრობო სტრატეგიებსა და არსებულ სამოქმედო გეგმებს პოლი-

ტიკოსები დადებითად აფასებენ, თუმცა, მათი შეფასებით, პრობლემად რჩება მათი რეალური იმპლემენტაცია. ყოველივე ეს კი სამთავრობო დონეზე არსებულ ინსტიტუციურ სირთულეებსა და შემუშავებული გეგმების რეალიზაციის პროცესში ხშირად გამოვლენილ არათანამიმდევრულობას უკავშირდება. პოლიტიკოსთა ნაწილის აზრით, აუცილებელია, ხელისუფლებამ რეალისტურ გეგმად ჩამოაყალიბოს თავისი სტრატეგიული ხედვები თუ სურვილები და თანამიმდევრული მუშაობით ბოლომდე მიიყვანოს მათი განხორციელების პროცესი. სამთავრობო სტრატეგიაში (2015-2020 წწ.) თითოეულ სამინისტროს კონკრეტული პასუხისმგებლობები ეკისრება. პოლიტიკოსთა შეფასებით, აუცილებელია სახელმწიფო კომისიამ რეგულარული მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ვალდებულებების შესრულებას. მათი აზრით, სასურველია, სამთავრობო სტრატეგიის ფარგლებში შექმნილ კომისიაში ჩართული იყვნენ იმ უწყებების პირველი პირები, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ პროგრამების შესრულებაზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სამოქმედო გეგმების განხორციელება რჩება კონკრეტული სამინისტროს რომელიმე სამმართველოს დონეზე, სადაც ეს პროცესი ყოველდღიურობაში იკარგება და საბოლოოდ სასარგებლო ინიციატივები განუხორციელებელი რჩება.

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან თავად პოლიტიკური პარტიების კომუნიკაციას, კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსების უმეტესობა ამბობს, რომ რეგიონებში ძირითადად ჩადიან წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში და ხვდებიან მოსახლეობას. მათი თქმით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობას სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ნათარგმნი ბროშურები, ბუკლეტები და პარტიის სხვა სახის სააგიტაციო მასალა ურიგდება. გარდა ამისა, კვლევის მიმდინარეობისას რამდენიმე პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან ინტერაქციის გაუმჯობესების მიზნით მათს პარტიას რეგიონებში საკუთარი წარმომადგენლობები აქვთ გახსნილი. პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილის თქმით, ისინი ცდილობენ პარტიის აქტივი ადგილობრივი მცხოვრებლებით, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებით დააკომპლექტონ. თუმცა, პარტიების წარმომადგენელთა აზრით, კომუნიკაციის

ამგვარი ფორმა, რაც მხოლოდ წინასაარჩევნოდ ეროვნული უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომ ენებზე ბროშურებისა და ბუკლეტების თარგმნას გულისხმობს, საკმარისი არ არის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. გამოკითხულ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ამ რეგიონების მოსახლეობასთან რეგულარული ინტერაქციის ნაკლებობას ფინანსურ სირთულეებს უკავშირებს.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რთული ვითარებაა. უმთავრეს პრობლემად უნდა დასახელდეს სახელმწიფო ენის არცოდნა ან არასაკმარისი ცოდნა. ამას ემატება ადგილობრივი მედიის განვითარების არასათანადო დონე, ინფორმაციის მიწოდების დაბალი ხარისხი და, შესაბამისად, მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ართულებს ასევე სამაუწყებლო ქსელისა და შესაბამისი მონყობილობების ტექნიკური გაუმართაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვანი მედიასაშუალებებით მიწოდებულ ინფორმაციას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები კრიტიკულად აფასებენ, რადგან, მათი აზრით, რეგიონში მიმდინარე მოვლენებს ეროვნული მაუწყებლები ზედაპირულად, ვითარების ადგილზე შეუსწავლელად აშუქებენ. ეს კი, მათი განმარტებით, გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული უმრავლესობის ინფორმირებულობის ხარისხზეც.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ეროვნული უმცირესობები გამოთქვამენ სურვილებს, რაც ძირითადად მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) ეროვნული მედიის ჟურნალისტთა მეტ პროფესიონალიზმსა და ადგილობრივ პრობლემებში უფრო უკეთ გარკვევას; ბ) ეროვნულ მედიაში უპირატესად რუსულენოვანი საინფორმაციო პროგრამების არსებობას; გ) ადგილობრივი მედიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტენსიურ ურთიერთთანამშრომლობას; დ) საინფორმაციო პროგრამების სინქრონულად თარგმნას; ე) საინფორმაციო გადაცემების ქრონომეტრაჟის გაზრდას; ვ) რეგიონული მედიის განვითარებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემა, რესპონდენტთა შეფასებით, ცალმხრივი არ არის, ანუ ინფორმირებულობის ხარისხი ერთმანეთის შესახებ დაბალია როგორც ეროვნულ უმცირესობაში, ისე უმრავლესობაში. მათი შეფასებით, საჭიროა უმცირესობასა და უმრავლესობას შორის წარმოქმნილი საინფორმაციო უფსკრულის ამოვსება ერთმანეთთან აქტიური დიალოგის საფუძველზე.

არსებული მდგომარეობის გაანალიზების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები:

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ძირითადი საინფორმაციო წყაროები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში; არსებული ბარიერები ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით; ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ).

- სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს რეგულარულად მიანოდონ ინფორმაცია მათი აქტივობების შესახებ;
- სასურველია სახელმწიფო უწყებების ოფიციალური საინფორმაციო ვებგვერდების თარგმნა ეროვნული უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომ ენებზე;
- სასურველია მედიასაშუალებების (ტელევიზია, რადიო, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია) საინფორმაციო ვებგვერდების თარგმნა ეროვნული უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომ რომელიმე ენაზე;
- სასურველია ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების დეტალური შესწავლა და გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა (მოსახლეობისთვის კონსულტაციების განევის მიზნით, სასურველია სატელეფონო ცხელი ხაზის 24-საათიანი სერვისის შეთავაზება);
- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად, სასურველია, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოახერხოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების არა მარტო საინფორმაციო პროგრამებით უზრუნველყოფა მათთვის

გასაგებ ენაზე, არამედ შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი გადაცემების მიწოდებაც. ეს გულისხმობს ყველა ასეთი გადაცემის სინქრონული თარგმანის აუდიოსიგნალის მიწოდებას პარალელურ რეჟიმში, რაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, უფრო აქტიურად ჩაერთონ ერთიან ეროვნულ მედიასივრცეში.

ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკის გაშუქება ეროვნულ მედიასივრცეში (ეროვნული უმცირესობები ქართულ მედიასივრცეში; ეროვნული და რეგიონული მედიის ურთიერთთანამშრომლობა).

- სასურველია, მედიასაშუალებებმა მეტი ადამიანური რესურსის (კორესპონდენტები, თარჯიმნები, გადამღები ჯგუფები) მობილიზება მოახერხონ კონკრეტულად იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობების კომპაქტური დასახლებებია;
- სასურველია ცენტრალური მედიის ჩართულობის ამაღლება, სპეციალური რეპორტაჟების რეგულარული მომზადება ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან;
- სასურველია საზოგადოებრივ მაუწყებელში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ხშირი მინვევა და ღია დისკუსიების გამართვა, როგორც მათი რეგიონებისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხებზე;
- სასურველია ადგილობრივი მედიის განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ადგილობრივ მედიასა და ეროვნულ მაუწყებლებს შორის მეტი ურთიერთთანამშრომლობა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ინფორმაციის გაცვლას მთლიანად ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ და, მეორე მხრივ, პროფესიული უნარ-ჩვევების გაზიარებას (ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების შესწავლას, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას და ა. შ.). სასურველია, ადგილობრივ და ეროვნულ ტელევიზიებს შორის პირდაპირ ეთერში დისტანციური ჩართვების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

აკერლუნდი, ტ. ეროვნული უმცირესობები და მედიის მდგომარეობა საქართველოში: ECMI-ის სამუშაო მოხსენება №52, იანვარი, 2012: <http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/working-paper-52-geo.pdf>

გოგსაძე გ., კაჭკაჭიშვილი ი., ბაშელიშვილი ლ. უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი). ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, იანვარი, 2014: <http://www.mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority-Integration-in-Georgia-geo--Levan-Mikeladze-Foundation.pdf>

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩოკონვენცია (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის №1938 – II ს დადგენილებით): <http://www.diversity.ge/files/files/ec-157-geo.pdf>

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. თბილისი, 2009: <http://www.gncc.ge/files/7060-7177-303673-Code%20of%20Conduct.pdf>

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. თბილისი, 2004: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866%23!>

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. თბილისი, 2009: <http://qartia.org.ge/charter/>
სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. თბილისი, 2015: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2014: <http://gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2014-218-4.page>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2015: <http://www.gncc.ge/ge/regulation/digital-broadcating/ra-unda-vicodet-cifru-li-mauwyeblobis-shesaxe.page>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი: ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012: <http://www.cso-georgia.org/uploads/publications/80/2-geo.pdf>

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი: შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი. ივნისი, 2014: <http://www.smr.gov.ge/Uploads/—cd492646.pdf>

The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies: Publisher: Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE); Date: 7 November, 2012: <http://www.osce.org/hcnm/96883?download=true>

პუბლიკაციის ონლაინ ვერსიის ან სხვა პუბლიკაციების ჩამოსატვირთად ეწვიეთ:
www.nimd.ge

მისამართი: შარაშიძის №7, 0179, თბილისი, საქართველო
contact@nimd.ge / www.nimd.ge / www.nimd.org

აღნიშნული პუბლიკაცია დაფინანსდა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის (ეუთო ეუუკ) მიერ. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ გამოხატავს ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს ეუუკ ოფისის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

ეუუკ ოფისი მხარს უჭერს მთლიანი საზოგადოებების ინტეგრაციას, რაც გულისხმობს, ინტეგრაციის მიმართულებით, როგორც უმრავლესობების, ისე უმცირესობების მიერ განხორციელებულ ძალისხმევებს. ამ მიმართულებით ეუუკ ოფისის სახელმძღვანელო პრინციპების გასაცნობად, იხილეთ მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციის შესახებ ლიუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები: <http://www.osce.org/hcnm/integration-guidelines>